

ელიზა მარქარაშვილი, ომარ მუკბანიანი,
თინათინ ჩოგოვაძე

სამედიცინო დანიშნულების
სილიციუმორგანული
ნაერთები



გამომცემლობა „ენივერსალი“
თბილისი 2011

წიგნში ასახულია სილოქსანური ნაერთების გამოყენება მედიცინაში. განხილულია სილოქსანური ნაერთების გამოყენების სუეროები ქირურგიაში, ოფთალმოლოგიაში სტომატოლოგიაში, ოტორინოლარინგოლოგიაში, უარმაკოლოგიაში და სხვ.

წიგნი განკუთვნილია დამხმარე სახელმძღვანელოდ ქიმიის, მედიცინის და ბიოლოგიის მიმართულების სტუდენტებისათვის, აგრეთვე სამედიცინო დანიშნულების პოლიმერული მასალებით დაინტერესებული ფართო ფენებისათვის.

რედაქტორი: პროფ. მედ. მეცნ. დოქტორი თ. შიო შეიძლი

რეცენზენტები: პროფ. მედ. მეცნ. დოქტორი თ. შიო შეიძლი

© ე. მარქარაშვილი, თ. მუჯანიანი, თ. ჩოგოვაძე, 2011

გამომცემლობა „ენიცენსატი“, 2011

თბილისი, 0179, გ. ვაკევაძის გამზ. 19, ჟ: 22 36 09, 8(99) 17 22 30

E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-17-288-5

წინასიტყვეობა

მედიცინის აღმოცენება და მისი შემდგომი წარმატება მჭიდროდ არის დაკავშირებული ქიმიის მიღწევებთან, რაც შესაძლებლობას აძლევს ექიმს ებრძოლოს აღამიანის სხვა-დასხვა დაავადებას.

მას შემდეგ, რაც კაცობრიობა არსებობს, აღამიანის ჯანმრთელობისათვის გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალო მცენარე, მინერალი, ცხოველის კანი. თაობიდან თაობას გა-დაუცემა ასეთი წამლების ძეირფასი თვისებები, რომელიც დადებით ეფუძნება. ასე შეიქმნა სახალხო მედიცინა, რომელიც უძველესი დროიდან არის ცნობილი.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებამ ქი-მიკოსებს საშუალება მისცა დაეწყოთ სამკურნალო მცენა-რეული საშუალებების წარმოება დაავადებების საწინააღ-მდეგოდ და მიზანმიმართულად შეექმნათ ახალი, უფრო ეფუძნებური საშუალებები. სილიციუმირგანულ ნაერთებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. ამ ნაერთების მიმართ ფართო ინტერესი გამოწევეულია არა მარტო ძირითადი ჯაჭვის სტრუქტურით, არამედ სილიციუმის ატომთან მდგარი ორგა-ნული რადიკალებითაც. აღნიშნული ნაერთები არ ვნებენ ორგანიზმს, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ ისინი გა-მოყენებული იქნან მედიცინაში და კოსმეტიკაში. ამ მიმარ-თულებით მთელ მსოფლიოში ფართო კვლევები მიმდინარე-ობს ახალი სილიციუმორგანული სამედიცინო პრეპარატების შესაქმნელად.

I სამკურნალო დანიშნულების სილიციუმორგანული ნაერთები

დედამიწის ქერქსა და ატმოსფეროში გავრცელების მიხედვით, სილიციუმი მეორე ადგილზეა ქიმიურ ელემენტებს შორის უანგბადის შემდეგ. მისი შემცველობა ზღვის წყალში ($3 \cdot 10^{-3}$ მგ/გ) აღემატება ფოსფორის შემცველობას. სილიციუმი წარმოადგენს ყველა ცოცხალი ორგანიზმისათვის აუცილებელ სასიცოცხლო ელემენტს. ცხოველებისა და აღამიანის ქსოვილებში სილიციუმი წყალში ხსნადი სილიკატებისა და სილიციუმის მჟავას რთული ეთერების სახით არსებობს. მიუხედავად ამისა, სილიციუმი XX საუკუნის 60-იან წლებამდე ბიოლოგიურად ინერტულ ელემენტად ითვლებოდა.

ამავე დროს, ძველინდური აიურვედების ფარმაცევტულ პრაქტიკაში [1], ინდურ-ტიბეტურ მედიცინაში [2] და დასავლეთის მრავალი ქვეყნის სახალხო მედიცინაში გამოიყენებოდა ისეთი „სილიციუმიანი“ მცენარეებისაგან დამზადებული ნაყენი და ექსტრაქტები, როგორიც არის ჭინჭარი, წიწაკა, ბამბუკი, ასფურცელა და სხვა [3-5]. არც თუ ისე დიდი ხნის წინ სილიციუმის შემცველ მცენარეებს მიაკუთვნეს ცნობილი უენ-შენი [6].

ძველ ინდოეთსა და ჩინეთში ჯერ კიდევ 2000 წლის წინ გამოიყენებოდა ბანზალოგანი (ამორფული კაჟმიწის სახეობა), რომელიც წარმოიქმნება ბამბუკის კვანძებს შორის და არაბულ მედიცინაში ცნობილია „თაბაშირის“ სახელწოდებით [1, 7-10]. ეს და სხვა ფიტოსილიციუმიანი პრეპარატები გამოიყენებოდა ტუბერკულოზის, რეკმატიზმის, რაღიცულიტის, პოდაგრის, კუჭის წყლულის, სასუნთქი გზების, კანის დაავადებების სამკურნალოდ [1-5, 7, 8] მანამ, სანამ აღმოჩნდებოდა, რომ სილიციუმი არის ბიოაქტიური ელემენტი [9,11].

სილიციუმის არაორგანული ნაწარმები თითქმის საუკუნეება გამოიყენება პომეოპათიურ პრაქტიკაში რაქიტის, ლიმფური დიათეზის, ათეროსკლეროზის, ანემის, ქრონიკული ბრონქიტების, ნეურიტების, ფარინგიტის, კუჭის წყლულის, ინფექციური და ანთებითი პროცესების დროს და ა.შ. [9]. მედიცინაში სილიციუმის ნაერთების გამოყენების ყველაზე ნათელ მაგალითს წარმოადგენს პილიორგანოსილოქსანები – სილიკონები. ამჟამად ისინი ფართოდ და წარმატებით გამოიყენება ქირურგიაში, კოსმეტილოგიაში, პემატოლოგიაში, დერმატოლოგიაში, ურილოგიაში, გინეკოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, სტომატოლოგიაში და სხვა [9]. სწორედ მათმა გამოყენებამ მედიცინაში გამოიწვია სილიციუმის ნაერთების „მეორედ დაბადება“ და შემდგომი განვითარება. ეს საკითხები უცრო დაწვრილებით გადმოცემულია ორიგინალურ მონოგრაფიაში „სილიციუმი და ცხოვრება“ [9] და სხვა სპეციალურ მიმოხილვებში [12-17].

ფიზიოლოგიურად აქტიური მონომერული სილიციუმირგანული ნაერთების (სონ) ძიებისას მეტად მნიშვნელოვანი იყო ვორონეცოვისა და მისი თანამშრომლების მიერ XX საუკუნის 60-იან წლებში არილსილატრანების მაღალი ტოქსიკურობის აღმოჩენა. 70-იან წლებში მიღებული იქნა სილიციუმირგანული ნაერთები, რომლებიც ხასიათდება ჭრილობის შემახორცებელი, იმუნომასტიმულირებელი, ნეიროტროპული, ანტიმიკრობული, სიმსიგნის საწინააღმდეგო, ინსექტიციდური მოქმედებით [9,18-21]. ეს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყანაში სილიციუმირგანულ ნაერთთა ქიმიის – ბიოტრგანული ქიმიის განვითარების და სილიციუმის, როგორც ბიოაქტიურ ელემენტად ცნობის საფუძველს [11].

გერმანულ და ინგლისურ ლიტერატურაში ფართოდ გამოიყენება ტერმინი „სილა-ფარმაკა“ ფარმაცევტული (ფარმა-

კა) ნაწარმების სილიციუმორგანული (სილა) წარმოებულების აღსანიშნავად [17,22,23]. ამჟამად ახალი „სილა-ფარმაქა“-ს შექმნისათვის გამოიყენება სამი ძირითადი მიღწოდა:

- ცნობილი სამკურნალო საშუალების მოლეკულის ნახ-შირბალოვანი ფრაგმენტის ჩანაცვლება სილიციუმით;
- იზოსტრუქტურული ორგანული ანალოგის მოლეკულაში წყალბალის ატომების ჩანაცვლება სილილური ჯგუფებით;
- იმ სილიციუმორგანული ნაერთების ფარმაკოლოგიური მოქმედების სინთეზი და შესწავლა, რომელთაც არა აქვთ ნახშირბალოვანი ანალოგები;

ადრე ცნობილი სილიციუმორგანული ნაერთები, რომლებიც შეიცავს $\equiv\text{Si}-\text{NC}$, $\equiv\text{Si}-\text{F}$, $\equiv\text{SiCH}_2\text{R}_F$ და სხვა პმებს, დაშლის პროცესში წარმოქმნის ტოქსიკურ მეტაბოლიტებს: HCN, HF, FCH_2COOH . არილსილატრანები ორგანიზმში იშლება უსაყრ-თხო კომპონენტებად – ტრიეთანილამინი ან მისი პილროქ-ლორიდი და შესაბამისი სილანტიოლი. მაგრამ სილატრანე-ბის ტოქსიკურობა 2-ჯერ მაღალია, კიდრე სტრიხნინის და სინილური მჟავებისა (ცხრილი 1) [9,21], ამიტომაცაა, რომ სილიციუმორგანული ნაერთების ქრონიკული ტოქსიკურობი-სადმი მიძღვნილი შრომების უმრავლესობა სწორედ სილატ-რანებს ეხება [24-35].

სილატრანების, სილაზოცინებისა და მინათესავე პოლიედრული
სისტემების სიცოცხლისათვის საშიში საშუალო დოზები
[9, 21, 30, 31, 36, 37]

ნაერთი	ЛД ₅₀ *, გ/კგ
4-ClC ₆ H ₄ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N**	14
PhSi(OCH ₂ CH ₂) ₃ N	0,3
სტრიბნინი **	5-15
R ₂ Si(OCH ₂ CH ₂) ₂ NMe ₆ ***	1800±200
(O)P(OCH ₂) ₃ CPh	1,5
(O)P(OCH ₂) ₃ P(O)	189
(S)P(OCH ₂ CH ₂) ₃ N	260
ClCH ₂ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N	1500
ClCH ₂ C(OCH ₂) ₃ CMe	526
P(OCH ₂) ₃ C-CHMe ₂	0,22
R'COO(CH ₂) ₂ N(CH ₂ CH ₂ O) ₂ SiMe ₂	7110±350
MeP(O)(OCH ₂ CH ₂) ₂ NR	3000±250
	0,24

* აქ და შემდეგშიც თეთრი თაგვებისათვის მუცლის აპკის დრუში;

** სასიკედილო დოზა ადამიანისა და მაიმუნებისათვის;

*** R=Me, Ph, R = Ph, , C₆H₁₁.

დიდი მოცულობის ექსპერიმენტული მასალის არსებობამ შესაძლებელი გახადა ჩატარებულიყო თეორიული კელე-ვა სტრუქტურასა და ბიოლოგიურ აქტივობას შორის კავშირის გამოვლენის მიზნით. მიზნობრივ ფუნქციად სილატრანების მწვავე ტოქსიკურობის პარამეტრები იქნა აღებული [34,35]. რიგ შრომებში [34] გამოყენებული იქნა სპეციალური

ალგორითმი, სილატრანების, სილაციულოპენტანების და სილილირებული ციკლოპექსანების მაგალითზე გამოვლენილი იქნა სილიციუმორგანული ნაერთების ტოქსიკურობის დამახასიათებელი ტიპიური ნიშნები.

აციკლური სილიციუმორგანული ნაერთების ტოქსიკურობა (ორგანილპალოგენ- და ალკოჰესილანების და მათი კარბოფუნქციონალური წარმოებულების) ძირითადად დაკავშირებულია მოლეკულაში პეტეროატომის ან ფუნქციონალური ჯგუფის (F, Cl, Br, S, CN, SH, CNS, FCH₂ და სხვ.) არსებობასთან. ეს უკანასკნელი შხამიანი მეტაბოლიტების პოტენციურ წყაროს წარმოადგენს. სილიციუმთან დაკავშირებული ჰალოგენის ატომის ბუნების გაელენა ჰალოგენსილანების ტოქსიკურობაზე ნაკლებად არის შესწავლილი, მაგრამ, ზოგადად, ქლორის ატომის ფორმით შეცვლა იწყევს ტოქსიკურობის მნიშვნელოვან ზრდას. ანალოგიური კანონზომიერება შეიმჩნევა ბენზოილის მუავას სილილმეთილურ ეთერებში, განსაკუთრებით ისეთ ცნობილ და დეტალურად შესწავლილ ფიზიოლოგიურად აქტიურ შენაერთებში, როგორიცაა ჰალოგენალკილსილატრანები (ცხრილი 2) [21,31].


ცხრილი 2

$X(CH_2)_2Si(OCH_2CH_2)_3N$ ჰალოგენალკილსილატრანების და ბენზოილის მუავას $YC_6H_4COOCH_2SiR_3$ სილილალკილეთერების ტოქსიკურობა ($Y=H, Me, MeO, F$) [21, 31]

X	ლ.Д ₅₀ , მგ/კგ	R	ლ.Д ₅₀ , მგ/კგ
ClCH ₂	2240	OEt	2500±450
FCH ₂	223	≤(OCH ₂ CH ₂) ₃ N	1600±330
CF ₃	3,7	F*	10-50

როგორც წესი, ალკოჰესისილანების მოლეკულაში ფუნქციონალური ჯგუფის შეყვანა მნიშვნელოვან გაელენას ახ-8

დენს ტოქსიკურობის ზრდაზე. ლД₅₀ (Летальная доза – სასიკ-ლილო დოზა) ჰექსამეთილდისილაზანისა (0,64 გ/კგ) და 3-ამინოპროპილტრიეტოქსისილანისათვის (1,78 გ/კგ) მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ჰექსამეთილდისილოქსანის (26 გ/კგ) და 3-ციანპროპილტრიეტოქსისილანის (4,9 გ/კგ) [9,38]. აცეტილენური ჯგუფის შეყვანა $\text{ClCH}_2\text{SiMe}_2\text{OR}$ ქლორმეთილ-სილანოლის მოლეკულაში, სადაც



და სხვა, იწვევს ტოქსიკურობის მნიშვნელოვან ზრდას ეთილენური კავშირის შეყვანასთან შედარებით. აციალური და ალიციალური აზოტშემცველი სილიციუმორგანული ნაერთების ტოქსიკურობა (გარდა ამონიუმის მარილებისა) მოცემულია შრომებში [9,40].

სილიციუმის ატომის შეყვანა ბიოგენური ნაერთის მოლეკულაში ძირითადად იწვევს ტოქსიკურობის შემცირებას. ეს კარგად იღუსტრირდება ტრიეთანოლამინის [41], ქოლინის [32, 41], ბენზოილის და ფტორალკანკარბონმჟავების [28], სინთეზური ფიტორეპორნების და სხვა შენაერთების სილილირებით, რომელთათვისაც დამახასიათებელია ტოქსიკურობის შემცირება სილილირებული ანალოგის სპეციფიკური ფიზიოლოგიური მოქმედების დანაკარგის გარეშე.

სილილირებული კარბონილშემცველი ნაერთების (კეტონების, დიკეტონების, ოქსი- და კეტომჟავები, ოქსიალდეპილები, ოქსიკეტონები და სხვა) საშუალო მომაკვდინებელი დოზა 800 მგ/კგ-ს აღემატება [42], მაშინ, როცა ყველა ეს ნაერთი ამჟღავნებს საკმაოდ გამოხატულ ბიოლოგიურ აქტივობას.

სულ სხვა შედეგი მოიღება ორგანულ ან სილიციუმორგანული ნაერთების მოლეკულაში პეტეროციკლური ან პოლიედრული ჩონჩხის შეფენისას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს ტრიეტოქსისილილური ჯგუფის შეცვლა სილატრანული პოლიედრით (ცხრილი 3). ამ შემთხვევაში სილიციუმის ტეტრაედრული ატომის შემცველი სილიციუმორგანული ნაერთებიდან, ბიპირამიდული „ხილური“ სილიციუმის შემცველ პოლიედრულ სისტემებზე გადასცლისას შეიმჩნევა ტოქსიკურობის ზრდის ტენდენცია.

ცხრილი 3

სილანების და სილატრანების ზოგიერთი ამინოსპირტის და კარბოფუნქციური წარმოებულების მწვავე ტოქსიკურობის ცვლილების დინამიკა


ნიჟოურება	ЛД ₅₀ მგ/კგ	ნიჟოურება	ЛД ₅₀ მგ/კგ
N(CH ₂ CH ₂ OH) ₃	1500	N(CH ₂ CH ₂ OSiMe ₃) ₃	3500
Me ₂ NCH ₂ CH ₂ OH	200	Me ₂ NCH ₂ CH ₂ O SiMe ₃	620
[Me ₃ NCH ₂ CH ₂ O SiMe ₃]I	238	[Me ₂ NCH ₂ CH ₂ OSi(OCH ₂ CH ₂) ₃ N	70
EtSi(CH ₂) ₂ Si(OEt) ₃	2900	EtSi(CH ₂) ₂ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N	6.0
[Ph ₃ P*CH ₂ Si(OEt) ₃]I ⁻	1120	[Ph ₃ P*CH ₂ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N]I ⁻	2.2
HS(CH ₂) ₂ Si(OMe) ₃	170	HS(CH ₂) ₂ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N	55.0
NCS(CH ₂) ₃ Si(OEt) ₃	-	NCS(CH ₂) ₃ Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N	0.2

ეს ტენდენცია დაკავშირებულია აგრეთვე სილიციუმორგანული ნაერთების მოლეკულაში „ხილური“ აზოტის ატომის შეფენისთან. ღიაჯაჭვიან და ალიციკლურ სილიციუმორგანული ნაერთებს შორის, როგორიცაა ამინები, ამინკეტონები, კარბამატები, სპირობარბიტურატები და ქოლინის ნაწარმები, არ აღმოჩნდა ძლიერმოქმედი მომწამელები ნივთიერებები [9,21,32,40,41], თუმცა აღმოჩნდილი იქნა ისეთი ნაერთები, რომლებიც არ შეიცავს პოტენციურ შხამიან მეტაბოლიტებს, მაგრამ შეიცავს აზოტის ატომებს კუატერნიურებულ მდგომარეობაში. ასეთი ტიპის ნაერთები აღმოჩნდა 10

სილილირებული ამონიუმის მარილების ანალიგების: ბის(3-დიმეტილამინოპროპილდიმეთილსილილ)მეთანის, ბის(3-პიპერიდინოპროპილდიმეთილსილილ)მეთანის და 1,3-ბის(3'-დიმეთილამინოპროპილ)1,1,3,3-ტეტრამეთილდისილოქსანის ამონიუმის მარილები [43]. ამ ნაერთებისათვის L_{D50} -ს მნიშვნელობა შეაღენს შესაბამისად: 1,14; 0,32 და 1,91 მგ/კგ-ს, [43]. მეთილენური ხილის სიგრძის შემცირება α- და β-ჩანაცვლებული ამონიუმის მარილების ბის(დიმეთილამინომეთილდიმეთილსილილალკანების, ბის(2-დიმეთილამინოეთილდიმეთილ)-სილილ ალკანების და ბის(3-დიმეთილამინოეთოქსილიმეთილსილილ)ალკანების და სილოქსანების მოლეკულებში იწყებს ტოქსიკურობის შემცირებას შესაბამისად 2,9-6,7 და 3,11-6,8 მგ/კგ-მდე [44-47]. სილატრანებისაგან განსხვავებით, ამ ნივთიერებებს აქვთ გამოხატული ქოლინოლიზური მოქმედება. ისინი ამცირებს აღგზნების გადაცემას მამოძრავებელი ნერვული ნივთიერების კუნთებზე.

კურარეს მსგავსი მოქმედებით ხასიათდება აგრეთვე ტრიალკილამინომეთილური ჯგუფებით ბლოკირებული ზოგიერთი ოლიგომეთილსილოქსანი [48,49] და C-სილილჩანაცვლებული ამინოსპირტების იოდმეთილატები [50]. მეთილური ჯგუფების რიცხვის შემცირება აზოტისა და სილიციუმის ატომებს შორის იწყებს კურარეს მსგავსი აქტივობის შემცირებას.

ამ სამკურნალო საშუალებების კონსტრუირების პრინციპი გულისხმობს აზოტის რიცხვის ატომის ერთმანეთისაგან დაცილებას 14 Å-ით [17,43]. საბაზისო ნაერთში ნახშირბადის ატომების სილიციუმით შეცვლისას, „სილა“ ანალოგის (I) მოქმედება იზრდება, მაგრამ იზრდება ტოქსიკურობაც ($L_{D50} = 1,14$ მგ/კგ) [43].



ინტერესი ახალი კურარეს მსგავსი სილიციუმორგანული ნაერობის მიმართ სულ უფრო და უფრო იზრდება [43-50].

ზემოთ განხილული სილიციუმორგანული ქოლინოლიტებისაგან განსხვავებით, წარმოებულები – (2-ამინოეთილ)-ციკლოალკილურენილსილანოლი და ლიფენილ(2-პიპერიდინო-ეთოქსიმეთილ)სილანოლი – ანტიმუსკარინული აქტივობით [51,52] ხასიათდება და შესაძლებელია, ისინი ქოლინომიმეტიკებს მივაკუთვნოთ [43-47, 51, 52].

სილატრანების ტოქსიკური მოქმედების მექანიზმი დღემდე ბოლომდე არ არის დადგენილი. იყო ცდები, დაეკავშირებინათ არილსილატრანების ტოქსიკურობა ხუთკოორდინირებულ სილიციუმის ატომთან და $\text{R}_3\text{N} \leftarrow \text{Si} \leftarrow \text{N}$ კავშირთან [53-55]. ამერიკელი მკელევარების აზრით, სილატრანების ტოქსიკურობა ეფუძნება კარდიალურ დეპრესიას, რაც იწვევს კარდიოგასკულარულ კოლაფსს [56]. უორონკოვი [9, 20, 53, 57] თელის, რომ არილსილატრანები არ სპიბს ქოლინ- და აცეტილქოლინესტერაზებს. ბენეტმა გამოთქვა მოსაზრება [21], რომ ფენილსილატრანების ტოქსიკურობა გამოწვეულია ცენტრალური ქოლინერგიული სტიმულაციით, მაგრამ სიკედილის მექანიზმი განპირობებულია უფრო კარდიალური ეფექტით, უიდრე ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე მოქმედებით.

სილატრანების ნეიტრალური და მეაცერი პილოლიზის შესწავლისას აღმოჩენილი იქნა ურთიერთკავშირი მათ ტოქსიკურობასა და პილოლიზის სიჩქარის მუდმივებს შორის [21, 31, 58]. ამაზე დაყრდნობით, გამოითქვა მოსაზრება, რომ ტოქსიკურობა განისაზღვრება არა პილოლიტური დაშლის


პროდუქტებით, არამედ თვით სილატრანის მოლეკულების გაელენით. შემდგომ [34] აყტორებმა განსაზღვრეს მახასიათებელი ფრაგმენტები, რომლებიც ტიპურია ტოქსიკური სილიციუმირგანული ნაერთებისათვის (ცხრილი 4).

ცხრილი 4

ტოქსიკური სინ-თვის დამახასიათებელი ზოგიერთი ფრაგმენტული თვისება [34]

ფრაგმენტის კოდი	ფრაგმენტი	ინფორმატულობის შეფასება
3	Si(OCH ₂ CH ₂) ₃ N	-0,233
11	- F	-0,233
12	- S -	-0,327
304	N - R	-0,233
1223	S - C = C	-0,233
10304	≡ Si - R-N	-0,233
12312	Si - C = C - S	-0,233

განსაკუთრებით პერსპექტიულია აღნიშნული ტოქსიკური ნაერთების მიღება სილიციუმის ატომთან თიენილის ან პ-ჩანაცელებული ფენოლის ციკლებით [34]. ტოქსიკური მოქმედების ანომალიის უაქტები შენიშნეს აგრეთვე ლუკევიცმა და სხვ. [29] ფურილ- და თიენილსილატრანებიდან სილატრანების წარმოებულებზე გადასცლისას. პირველ შემთხვევაში, ფურილსილანების პიდროქლორიდები



სადაც, n=1-3, 1,5-ჯერ უფრო ტოქსიკურია, ვიდრე თიენილსილანები (X=S). სილატრანებში თიოფენის ციკლის ფურანით შეცვლა ტოქსიკურობას ერთი რიგით ამცირებს.

ჩინელმა მკულევარებმა აღმოაჩინეს [35] ანტიბატური და მოკიდებულება $\equiv\text{Si}-\text{C}$ ჯავშირის ენერგიასა და LiD_5 -ს მნიშვნელობას $\text{XSi}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ ($\text{X}=\text{H}, \text{Me}, \text{Ph}, \text{MeC}_6\text{H}_4$) სილატრანებში და გამოთქვეს მოსაზრება, რომ $\equiv\text{Si}-\text{C}$ ჯავშირის გაწყვეტას სილატრანის მოლეკულაში, შეიძლება მოჰყვეს ტოქსიკური ინტერმედიატის წარმოქმნა.

უკელაზე ორიგინალური და დამაჯერებელი მონაცემები ბიციელური სტრუქტურის მქონე ნაერთების, მათ შორის სილატრანების ტოქსიკური მოქმედების შესახებ გამოთქვეს კასიდმა [30], კუპერმა [26] და ტურინმა [34].

ავტორების [30] მოსაზრებით, „უჯრედული“ ჰეტეროციკლების მაღალი ტოქსიკურობა განისაზღურება მთელი რიგი სტერეოელექტრონული ფაქტორით, მათ შორის ვან-დერ-ვა-ალსური მოცულობითი ჩამნაცვლებლებით ხილურ ატომთან და მასზე ჭარბი ელექტრონული სიმკერივის შექმნით. ასეთ მოლეკულებს აქვთ დიდი დიპოლური მომენტი: 2,7-3,2 D – კარბოციკლო(2,2,2)-ოქტანებისათვის, 3,8-4,1 D – ფოსფაბიციკლო-(2,2,2)-ოქტანებისათვის [30] და 5-7 D – სილატრანებისათვის [21].

კუპერმა და მისმა თანამშრომლებმა [26] აჩვენეს, რომ მეთოლის ჯგუფის შეცვლა ეთილის ან იზოპროპილის ჯგუფით ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერების მოლეკულაში ($\text{LiD}_5=0,15-0,20$ მგ/კგ; პ-ტოლილსილატრანი) იწვევს ტოქსიკურობის მნიშვნელოვნად შემცირებას.

განხილულია აგრეთვე ნერვულ მემბრანებზე ბიციელური „უჯრედული“ სტრუქტურების მონაწილეობის შესაძლებლობა $\text{Ca}^2, \text{Na}^+, \text{K}^+$ იონების დამკერის როლში [30]. ფრანგმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ სილატრანები შეიძლება გა-

მოვიდეს კრიპტანდების როლში, რომლებიც იჭერენ Li-ის იონებს [59].

სამედიცინო თვალსაზრისით ყველაზე პერსპექტიული პეტეროციკლური და პოლიედრული სილიციუმორგანული ნაერთების ტოქსიკური მოქმედება შემდეგი ფაქტორებით განისაზღვრება:

- პეტეროციკლის ან პოლიედრის კონფორმაციით და ანომალურ ვალენტურ მდგომარეობაში აზოტის ან სილიციუმის „ხილური“ ატომების არსებობით;
- სილიციუმის ატომთან ჩამნაცვლებლის ბუნებით;
- მოლეკულის ელექტრული ასიმეტრიით და მაღალი დიპოლური მომენტით;
- ჩამნაცვლებლისა და ჩონჩხის გახლების სიჩქარით, ე.ი. მეტაბოლიტურ ციკლში მოლეკულის დაშლით აქტიური ინტერმედიატის წარმოქმნით.

ტოქსიკური სილიციუმორგანული ნაერთებით ლაბორატორიული ცხოველების მოწამვლისას, საერთო კლინიკური სურათი ერთნაირია და ხასიათდება ძლიერი აღგზნებით, მოუსვენრობით, კრუნჩხეით, მუცლის კუნთების სპაზმით და ა.შ. კურარეს მსგავსი სილიციუმორგანული ნაერთები კი პირიქით – იწვევს აქტივობის შემცირებას და სრულ პარალიზებას. ფოთორშემცველი სილატრანის შევევანისას ცხოველებში აღინიშნება სისხლდენა ცხვირიდან [21, 24, 31]. აღკორქსისილანების სხვადასხვა ამინიჭარმოებულებით ინტოქსიკირისას კლინიკური სურათი გამოხატულია ცენტრალური ნერვული სისტემის შეღარებით სუსტი ფუნქციური ცვლილებებით, დეიმლისა და თირკმელების ფუნქციის დარღვევით, ერითროციტების რიცხვისა და პემოგლობინის შემცველობის

დაქეცითებით [9, 60]. ყველა შემოხვევაში, დაღუპუის ვადა დამოკიდებულია ნაერთის ტოქსიკურობაზე.



მრავალჯერადი ინალაციისას, მცირე კონცენტრაციის დაბალტოქსიკური სილიციუმორგანული ნაერთებიც კი (მაგალითად (ამინოალკილ)ტრიალკოქსისილანები, ტეტრაეთოქსისილანი, I-ეთოქსისილატრანი), კუმულატიური მოქმედებისაა [60, 61].

დაშლის, გარდაქმნის და ორგანიზმიდან სილიციუმორგანული ნაერთების გამოყენის მეტაბოლური მეთოდები ნაკლებად არის შესწავლილი. შეარცის აზრით [62], სილიციუმს განსაზღვრული პოზიცია უკავია უჯრედშრომისი ნივთიერების მაკრომოლეკულურ და სუპრამოლეკულურ სტრუქტურაში, მაგალითად, სილანოლატური ხიდი გლიკოზამინოგლიკანების ჯაჭვში. ამიტომ მისი შემცველობის გაზრდამ ქსოვილებში, ლიმფაში, ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს არასასურველი შედეგი. ამავე დროს, სილიციუმის ნაკლებობამაც ორგანიზმში შეიძლება გამოიწვიოს ისეთი მძიმე დაავადებები, როგორიცაა ტუბერკულოზი, კიბო, ათეროსკლეროზი და სხვა [9, 63]. შარნომ გამოთქვა მოსაზრება, რომ ადამიანის ორგანიზმში არის სპეციალური ფერმენტი – სილიკაზა გარედან მიღებული სილიციუმის ნაერთების დასაშლელად. მოგვიანებით შეარცმა [62] გამოყო და აღწერა ასეთი ფერმენტი ცხოველის კუტკვეშა ჯირკულიდან, კუჭიდან და თირკმელიდან.

მნიშვნელოვან როლს თამაშობს მიღებულის გეომეტრია და პილოროლიზურად არამდგრადი კაფშირები და ჯგუფები ($\equiv\text{Si}-\text{O}$, $\equiv\text{Si}-\text{N}=\text{}$, $\text{Cl}(\text{CH}_2)_n-\text{Si}\equiv$, $\equiv\text{Si}-\text{S}-\text{C}\equiv$ და სხვა). სილიციუმორგანული ნაერთების მეტაბოლიზმის შესწავლას თან ახლავს ზოგიერთი სირთულე, რადგან ქსოვილიდან მათი გამოყოფისას, მაგალითად ეთანოლით ექსტრაქციის ან ეთ-


ერ-ეთანოლის ნარევით, შესაძლებელია ეთილსილიკატის, პოლიალისტროქსილურ ნაერთებთან და აგრეთვე უფრო რთულ მოლეკულებთან (ალბუმინი, პეპსინი, კოლაგენი) სილიციუმის მეავას კომპლექსების წარმოქმნა. გამოითქვა მოსაზრება, რომ შარლგამომყოფ ორგანოებში ქვების წარმოქმნა დაკავშირებულია სილიციუმპროტეინული კომპლექსების წარმოქმნასთან [9, 64]. გარდა ამისა, სილიციუმშავამ, არახსნადი სილიკატების სახით შეიძლება შეაკავშიროს მეტაბოლიტური პროცესებისათვის აუცილებელი ისეთი კათიონები, როგორიცაა მაგნიუმი, რკინა, სპილენძი.

ყესენდენის, კუნისა და პარტმანის [65-67] მიერ განხილულ იქნა ზოგიერთი სამეურნალო ნაერთის და მათი „სილა“ - ანალოგების მეტაბოლური დაშლის გზები და აჩვენეს, რომ პილროლიზურად მდგრადი $\equiv\text{Si}-\text{C}$ კავშირი ორგანიზმში განიცდის ბიოლოგიურ უანგვას და უანგვით დეალკილირებას.



ყველა შესწავლილ შემთხვევაში CO_2 -მდე დაუანგვა არ ხორციელდება. ინტრავენურად ან პერორალურად შეუყანილი ტრიმეთილსილანი და პექსამეთილდისილოქსანი დღვ-დამის შემდეგ სრულად გამოიყოფა შარდით (მაიმუნები, ვირთხები) (70-85%), ფილტვებით (10-30%) და ექსკრემენტებით (~1%). დიმეთილსილანდიოლი ძირითადად გამოიდევნება შარდით. რვაწევრა ციკლები ოქტამეთილციკლოტეტრასილოქსანი და 2,6-ცისდიფენილპექსამეთილციკლოტეტრასილოქსანი (პრეპარატი ცისობიტანი) პერორალურად შეუყანისას 48 სთ-ში 60-

65%-ით გამოიღეს ნება შარდით, 28 და 20% – ექსერემენტებით, 3,3 და 2,8% – ამოსუნთქვით [68-70]. ცისობიტანის პერორალური შეცვანისას მეტაბოლიზმის პროდუქტებს შორის შარდში იღენტიფიცირებულია 4 სახის სპირტი [70]:






დიფენილსლანდიოლის მეტაბოლიზმის პროდუქტებში იღენტიფიცირებულია შემდეგი ტრიოლები [17]:



სილილური ფრაგმენტების შეცვანა ცნობილი სამკურნალო საშუალებების მოლეკულებში, როგორც წესი, ცვლის ხსნადობას, ამცირებს ტოქსიკურობას, ზოგჯერ ცვლის გემოს (მაგალითად, ილოტიცინის „სილა“-ანტიბიოტიკის მწარე გემო (ქრება) [71], აადვილებს „სილა“-ფარმაკას მოლეკულების შეღწევას ლიპოფილური მემბრანებით.

მეტაბოლური დაშლისა და მოქმედების მექანიზმის გზებს შორის განსხვავების ყველაზე ცნობილი და ლიტერატურაში ყველაზე ხშირად ციტირებული მაგალითია ტრანკვილიზატორი მეპრობამატი (II) და მისი „სილა“-ანალოგი (IIIa) [9, 16, 17, 41].



სადაც, R=CH₂OCONH₂.

მათი ტოქსიკურობა მცირედ განსხვავდება (ЛД₅₀=770 და 1000 მგ/კგ, შესაბამისად), თუმცა, „სილა“-ანალოგი, ორალუ-

რი შეუვანისას (IIa) არ ამჟღავნებს სპეციფიკურ აქტივობას, რადგან, სავარაუდოდ, ის სწრაფად იშლება კუჭში მეავური ფერმენტული პიდროლიზის გამო. ტრანკვილიზატორული მოქმედება (IIa) 4-ჯერ უფრო ნაკლებ დროში ულინდება, ვი- დრე მეპრობამატის შემთხვევაში. ლიტერატურაში ფესენდე- ნის შედეგები განსხვავებულად არის ახსნილი. ვორონეკოვი და ლუკევიცი [41] თვლიან, რომ ამ ნაერთების მეტაბოლიზ- მი მკვეთრად განსხვავებულია. იაპონელი ავტორების აზრით [17], მათი მეტაბოლური დაშლის გზები ერთნაირია, განსხვა- ვება მხოლოდ ორგანიზმში მათ მოქმედებაშია ორალური თუ ინტრავენური შეუვანისას. ავტორების აზრით, მეტაბო- ლიზმისას დისილოქსანის (IIa) ნაერთის წარმოქმნის ფაქტი მიუთითებს მათი მეტაბოლიტური დაშლის სხვადასხვა გზა- ზე, რაც ამტკიცებს სილიციუმორგანული ნაერთებისათვის დამახასიათებელ $\equiv\text{Si}-\text{C}\equiv$, $\equiv\text{Si}-\text{C}-\text{O}$, $\equiv\text{Si}-\text{OH}$ ქავშირების თერ- მოდინამიკურად დასაბუთებულ გადააღგილებას $\equiv\text{Si}-\text{C}-\text{Si}$ პო- ლისილოქსანურ ჯაჭვში.

ეუჭის წევნში მეტაბოლური დაშლის პროცესების მოდე- ლირებისათვის ($\text{pH } 1\text{-}2,5; \text{ } T=40^\circ\text{C}$) შესწავლილია 1-ქლოორმე- თილსილიატრანის ფერმენტული მეავური პიდროლიზი პეპსი- ნის თანაობისას სუსთა მარილმეავაში [31, 71]. 25°C -ზე მო- სალოსნელია დაშლის დაჩქარება პეპსინის მონაწილეობი- სას ($K_2^{25} 1,15$) სუსთა HCl -თან ($K_2^{25} 1,05$) და წყლიან მეავე არ- ესთან ($K_2^{25} 0,62$ $\text{HCl}=2,0\cdot10^{-3}$ მოლი/ლ) შედარებით [72]. 40°C - ზე $\text{pH}=1,5$ შემთხვევაში პეპსინის მონაწილეობისას კი სილა- ტრანი იშლება იმდენად სწრაფად, რომ კუჭის წევნის ძირი- თად ფერმენტებთან მისი ურთიერთქმედების შესწავლა შე- უძლებელია.

ბენზილრილური ეთერის, დიფენიდოლის კლასის სხვა-
დასხვა სილა-ფარმაკას სწრაფი გაქრობის“ ანალიგიური შე-
დეგებით აღწერილი ვანაგატის, ტაკეს და სხვათა შრომებში
[22, 23, 73-76]. სილა-ფარმაკას ეს ფენომენი შეიძლება წარმა-
ტებით იქნას გამოყენებული ტკიფილგამაყუჩებელი, ანტიკონ-
ვულსიური და სხვა სამკურნალო საშუალებების შექმნისას.
ამ დროს არ არის ორგანიზმში შესული სილიციუმორგანუ-
ლი ნაერთების სწრაფად დაშლის და მათი SiO_2 -ად გარდაქ-
მნის საშიშროება, რომელიც დაახშობს ცოცხალი ორგანიზ-
მის ყველა გამოყენა არს, ლიმფურ კვანძებს ან აორტას.
შედარებით პატარა მოლეკულები (მაგალითად, პექსამეთილ-
დისილოქსანი) ორგანიზმიდან გამოდის შარდის საშუალე-
ბით დღულამის განმავლობაში, ხოლო დიდი მოლეკულები
განიცდის სხვადასხვა ფერმენტატული სისტემის ზემოქმედე-
ბას, მაგალითად, გლუკონის მჟავას ზემოქმედებით წყალში
ხსნადი სუბსტრატების სახით ასევე გამოიყოფა შარდთან
ერთად [65-67].

როგორც წესი, სილიციუმორგანული ნაერთების როუ-
ლი მოლეკულები იშლება სილიციუმის ცენტრალურ ატომ-
თან. დარჩენილი მოლეკულები, როგორც ზემოთ არის აღ-
ნიშნული, ორგანიზმიდან გამოდის სხვადასხვა გზით, ზია-
ნის მიყენებისა და გვერდითი ფარმაკოლოგიური მოქმედების
გარეშე.


არც თუ ისე დიდი ხნის წინ შემოთავაზებული იქნა სი-
ლიციუმორგანული ნაერთების მეტაბოლიზმის შესწავლის
ახალი მეთოდი პარამაგნიტური რეზონანსის საშუალებით
[76].

სილიციუმორგანული ნაერთების ტოქსიკური მოქმედება
და მეტაბოლიზმი დიდ ინტერესს იწვევს, ეს განსაკუთრებით
ეხება სილატრანებს, რომლებიც მეტად პერსპექტიულ ნაერ-
20

თებად ითვლება მედიცინასა და სოფლის მეურნეობაში გამოყენების თვალსაზრისით [21,77].

სილა-ფარმაგა, რომელსაც არა აქვს ნახშირბადოვანი ანალოგი. მთელი რიგი კლინიკური კლევები ჩატარდა და ტარდება საფრანგეთში, შვეციაში, ამერიკაში, რუსეთში DNR-სა [78] და ცისობიტანზე [79,80] – ათეროსკლეროზისა და პროსტატის სიმსივნის სამკურნალოდ, მონომეთილტრისილანოლსა და ო-პიდოროქსიბენზოატთან მის კომპლექსზე [81, 82] – პოლიცისტოზური ჩასტოპათიებისა და სენილური ოსტეოკოროზის სამკურნალოდ, მივაღიზე [18-21, 31, 57, 83-85] – არაინფიცირებული ჭრილობების, დამწვრობის და ზოგიერთი სახის სიმელოტის სამკურნალოდ.

სილატრანები და სილაზოცინები. ტრის(2-ოქსიალკილ)ამინების სილიციუმორგანული ეთერები, სილატრანები (III) და მათი მონოცისლური ანალოგები – სილაზოცინები (IV) და „ფსევდო-სილატრანები“ (V) სილიციუმის საშუალო (8-11-წევრა) ცისლების – მრავალრგოლიანი პეტეროცისლური ნაერთების [21, 36, 37, 86-89] ყველაზე მეტად ცნობილი და შესწავლილი წარმომადგენლებია.




ქიმიური თვალსაზრისით, ეს ცისლები გამოირჩევა ორი დამახასიათებელი ნიშნით: პირველ რიგში, თავისებური გეომეტრიით, რომელსაც არ გახვდება ლიაჯაჭვიან სილიციუმორგანულ ნაერთებში, მცირე (3-4-წევრა) და ჩეულებრივ (5-7-წევრა) ცისლურ სისტემებში და მეორეს მხრივ – გადიდებული კონფირმაციული ენერგიით, რომელიც გამოწვეულია

ე.წ. „შიდამოლექულური სივიწროეის“ წარმოქმნით წრიული ატომების ტრანს- და ინტრაკულარული ურთიერთქმედების შედეგად [90]. მრავალჯაჭვიან ციკლებს მიეკუთვნება ფარმაკოლოგიაში ცნობილი ისეთი ნიეროერებები, როგორიცაა ალკალოიდები – ტუბოკურანინი, კრიპტინინი; ანტიბიოტიკები – გრამიციდინი; ერითრომიცინის ჯგუფი; პორმონები – ოქსიტოცინი; ტერპენები – გუმულენი, კარიოფილენი და ა.შ.

საშუალო ციკლების ზემოთ აღნიშნული თავისებურებები აღბათ ნათელს ხდის სილატრანების ბიოლოგიური თვისებების მთელი კომპლექსის გამოყლინებას [21].


სილატრანების მიღების ძირითადი მეთოდები დამყარებულია ტრიალკილოქსი- ან ტრიალოგენსილანების რეაქციებზე ტრიეთანილამინთან და მის წარმოებულებთან (სქემა 1) [21, 31]:

სქემა 1




სადაც, $R=Alk, Ar$, ალკოქსი, ჰალოგენალკილი და ა.შ.; $X = Cl, F, n = 0,1$.

ვორონევმა და დიაკოვმა [21,31] შემოგვთავაზეს სილატრანების კარბოფუნქციონალური წარმოებულების მიღების მეთოდები 1-ჰალოგენალკილსილატრანებში ჩანაცვლების რეაქციების საშუალებით (სქემა 2):




ևագաց $\text{X}=\text{Cl}, \text{Br}, \text{I}; \text{R}=\text{Alk}, \text{R}'=\text{Alk}, \text{Ar}$, արագույղ և 1-զինօլեսո-ընալիքրանյեծան մուրտեծուն բայկալուն (Ելլիթ 3):



ևագաց, $\text{R}=\text{Alk}, \text{Ar}, \text{R}'=\text{CF}_3, \text{C}_3\text{F}_7, \text{C}_4\text{F}_9$ և ևեցա.

Տոնտե՞նիսատցուն ալրյ մելած մուսա՞լվում 1-ացույլովի-
ևո-, 1-ԾՐՈՎՄԵԴՈԼՍԱԼՈՎՋԵՍԻ- և 1-ՏՈԼԱԾՐԱՆՈԼՈՎՋԵՍԻՏՈԼԱԾՐԱ-
ՆԵՅԵԾԱՏՑՈՒՆ ՇԵՄՈՒՏԱՅԱՆԵՅԵՑՄՈՎԱ ՏՈԼԱԾՐԱՆՈԼԵՅԵԾԱՆ ախալու բայ-
կալուն (Ելլիթ 4) [91]:



ևագաց, $\text{R}, \text{R}'=\text{Alk}, \text{Ar}$ և ևեցա.

$\text{RC}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ թունուն Տոլածրանյեծան նաև Շործադուզանո
անալուցյեծան մուրցեա և այմառու մելունա. 5-աԿածուցույլու[3,3,3]-
շնդյեկան (թանյեսին) $\text{HC}(\text{CH}_2\text{CH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ -ուն յու և այմառու մելունա

მისაღები და არასტაბილური ნაერთია, რომლის ფარმაკო-ლოგიური თვისებები აღწერილი არ არის [92].

კარბო- და სილიციუმინაცვლებული სილატრანებს შორის სამედიცინო თვალსაზრისით მეტად საინტერესოა 1-ალკინებისილატრანები და $X-(C)_n-Si(OCH_2CH_2)_3N$ ტიპის კარბო-ფუნქციონალური წარმოებულები, სადაც $X = F, Cl, Br, I, CF_3, CN, HS, NCS, RS, RO, RCOO, (RO)_2P(O)$ და ა.შ.; $n=1-4$ [21].

მედიცინაში პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით, ყველაზე ცნობილი, კარგად შესწავლილი და პერსპექტიულია პრეპარატი მიკალი-(1-ქლორმეთილსილატრანი) [21, 31, 77]. მას არა აქვს მუტაგენური, კანცეროგენური, ემბრიოტოქსიკური მოქმედება, არ იწვევს შინაგანი ორგანოების პათოლოგიურ და დისტროფიულ ცვლილებებს ხანგრძლივი მიღებისას [83, 85, 93-97] და შეიძლება რეკომენდებულ იქნას გარეგანი მოხმარებისათვის ჭრილობის, დამწერობის, წყლულის, დერმატიტის სამკურნალოდ მაღამოს, საცხის სახით [95-97].

კიშნევსკის მაღამოს საფუძველზე დამზადებულ მიკალის ლინიმენტს ჭრილობის შემახორცებელი და ანთების საწინააღმდეგო მკაფიოდ გამოხატული ეფექტი აქვს [83, 96]. ამ დროს ქსოვილის უჯრედებში იზრდება კოლაგენის, PHK-ს, გლიკოპროტეინების და გლიკოზამინოგლიკანების შემცველობა [89, 98]. მივაღის პილოტროპული აქტიურობა [85, 96, 97] 30%-ით აღემატება ისეთი ცნობილი პორმონალური პრეპარატის აქტიურობას, როგორცაა ლორინდენ-C. მივაღი დაღებითად მოქმედებს სისხლის მიმოქცევის სისტემაზე – ამაღლებს პეპარინის დოზეს სისხლში [99, 100] და ამჟღავნებს ანტიკოაგულაციურ მოქმედებას თრომბოზური აგენტების შეუვანისას [101].

მიეაღის ანალოგი $\text{ICH}_2\text{Si}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ – 1-იოდმეთილსილატრანი – ანტიბლასტიურად აქტიურია და ამასთან, ამჟღავნებს მასტიმულირებელ მოქმედებას, რაც გამოიხატება მნიშვნელოვან ლიმფოიდურ-პისტოციტურ ინფილტრაციაში, პერიუასკულარული და პერიფერული სიურცის გაფართოებასა და რეაქტიული ცენტრების გადიდებაში [102].

$\text{R}_f\text{CH}_2\text{CHISi}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$, ტიპის 1-(აიოდმეთილ)სილატრანის β -ფტორწარმოებულები – (სადაც $\text{R}_f = \text{H}(\text{CF}_2)_4, \text{H-C}_4\text{F}_9, \text{H}(\text{CF}_2)_6, \text{CF}_3(\text{CF}_2)_7$, ისევე, როგორც 1-პროპილსილატრანის γ -ფტორწარმოებულები: $\text{F}_n\text{CH}_{3-n}(\text{CH}_2)_2\text{Si}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$, სადაც $n = \text{H}, \text{Me}, \text{CF}_3; n=1,3$, ნეიროტროპული მოქმედებით ხასიათდება [103, 104].

მკეეთრად გამოხატულ ფსიქოტროპული მოქმედებას ამჟღავნებს პერფორირალკანკარბონმეავების სილატრანილპროპილური ეთერები – $\text{R}_f\text{COO}(\text{CH}_2)_3\text{Si}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$, სადაც, $\text{R}_f = \text{CF}_3, \text{C}_3\text{F}_7, \text{C}_4\text{F}_9; \text{R}=\text{H}, \text{Me}$. ეს ნაერთები ტოქსიკური არ არის ($\text{LD}_{50} \geq 3 \text{ г/кг}$) და ადრე შესწავლილი სილატრანების ფთორწარმოებულებისაგან განსხვავებით, ისინი ამაღლებს ცხოველთა მოძრაობით რეაქციებს, ააქტიურებს ორგანიზმის დამცავ მექანიზმებს [28, 103, 105]. გარდა ამისა, ამცირებს ანთებით მოყლეებს რეპარაციულ-რეგენერაციულ პროცესებში [106].

მაღალ ფარმაკოლოგიურ აქტიურობას ამჟღავნებს გოგირდშემცველი სილატრანები და მათი მარილები. 1-(2'-ეთილსულფანილეთილ)სილატრანი ამჟღავნებს შედარებით გამოხატულ ინიბიტორულ მოქმედებას თრომბოციტების ფუნქციაზე, საწყის სილატრანილალეილსულფილებთან შედარებით [107]. აღნიშნული ნაერთი არ იწვევს უჯრედული მებრანების შეღწევადობის და პეპატოციტების უჯრედშორისი

კონტაქტების ცელილებას, ღვიძლის ქსოვილის და მისი ბუ-ფერული თვისებების დაზიანებას, მაშინ, როცა ბაზისური ნივთიერება – $\text{EtSCH}_2\text{CH}_2\text{Si}(\text{OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ – სილატრანილდიე-თილსულფიდი იწვევს პეპატოციტების უჯრედშორისი კონ-ტაქტების სტრუქტურის შეუქცევად ცელილებას [108]. მე-თილკარბოქსიმეთილსილატრანილმეთილსულფონბრომიდი არ ამჟღავნებს პემოლიზურ მოქმედებას და არ იწვევს ადა-მიანის ერითროციტების აგრეგაციას (*in vitro*) მუავური პემო-ლიზის პროცესში [109].

სილატრანილმეთილდიეთილმეთილსულფონიოდი ინ-ტენსიურიცირებას უკეთებს უჯრედების პროლიფერაციას ეპი-თელიზირებულ ჭრილობებზე [106]. ამ გამოკულევებმა გამო-ავლინა სილატრანების სულფონური მარილების ანტიულცე-როგენული (წყლულსაწინააღმდეგო) მოქმედება [110, 111].

მეთილეთილ(სილატრან-1-ილმეთილ)სულფონიოდი 5-ჯერ ამცირებს სეროტონინით გამოწვეული კუჭის ექსპერი-მენტული წყლულების რაოდენობას თეთრ ვირთხებში და 18-ჯერ – პისტამინური წყლულების რაოდენობას. ქრონიკუ-ლი წყლულის მკურნალობისას შეხორცება ხდება მე-7-10 დღეს, კონტროლისას – 50-ე დღეს [117]. ცხოველებზე ექსპე-რიმენტისას ეს პრეპარატი უფრო ეფექტური აღმოჩნდა, ვიდ-რე კარგად ცნობილი ვიტამინი U – 3-ამინო-3-კარბოქსიპრო-პილ(დიმეთილ)-სულფონქლორიდი [111].

1-თიენილსილატრანი (VIa, b) ამჟღავნებს ნეიროტროპულ მოქმედებას [112, 113]:



VIa – 2-თიენილ;

VIb – 3-თიენილ;




VIIa – 2-ფურილ;

VIIb – 3-ფურილ;

გოგირდის ატომის შეცვლა ჟანგბადით (Vla, b) იწვევს ტოქსიკურობის (Vla და VIIb-სათვის ლდა 0,3 და 125 მგ/კგ-ის ტოლია, შესაბამისად) და ნეიროტროპული აქტიურობის შემცირებას [113].

ფარმაკოლოგიური მოქმედების უართო სპექტრს ამჟღავნებს აზოტშემცველი სილატრანები როგორც ალიფატური და არომატული, ისე პეტეროციკლური რიგის ჩამნაცვლებლებით. ამ უკანასკნელთა მისაღებად შემოთავაზებული იქნა 3-ამინოპროპილსილატრანის კონდენსაციის რეაქციები ალდეჰიდებთან [114] და დიკინილსულფოქსიდთან [115] (სქემა 5):

სქემა 5



საღაც, R=H, Me; R'=4-ClC₆H₄; 4-O₂NC₆H₄; 4-MeOC₆H₄ და სხვა.

სილატრანებს, რომლებიც აზირიდინურ, მირფოლინურ, აცეტამილურ და სხვა ჯგუფებს შეიცავს ორგანულ რადიკალში, ახასიათებს სიმსივნის საწინააღმდეგო აქტიურობა [114, 116]. სილატრანილმეთილმორფოლინი 30-40%-ით უხანგრძლივებს სიცოცხლეს ერლიხის ასციტური სიმსივნით და აუადებულ თაგვებს, ხოლო აკატოლის ადენოკარცინომის შემთხვევაში – 47%-მდე.

უცრო ეცექტური სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს ქინოლინის წარმოებულებს [117-119]. მაგალითად, 4-(3'-სილატრანილპროპილამინო)-7-ქლორქინოლინი ერლიხის სიმსივნით დაავადებულ თაგვებს 50-60%-ით უხანგრძლივებს

სიცოცხლეს. ანალიტურ ეფექტს ამჟღავნებს 2-3-4-[3'-სილაცირანილპარბამოილ] ქინოლინები:

- $\text{RC}_9\text{H}_6\text{NC(O)NH(CH}_2)_3\text{Si(OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ ($\text{R}=4-\text{H, OH}$) და ქინოლილპარბონული მჟავების სილატრანილალკილამილები - $\text{C}_9\text{H}_7\text{NC(O)NH(CH}_2)_n\text{Si(OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$ ($n=1,3$) [117, 120, 121]. ორგანილსილატრანების ქინოლინური წარმოებულები ამჟღავნებს აგრეთვე საქმაოდ მაღალ ანტიტუბერკულოზურ აქტივობას (12-24 მგ/მლ კონცენტრაციისას, ისინი სრულად აჩერებენ ბაქტერიების ზრდას) [117].

C-მეთილჩანაცელებული γ-ამინოპროპილსილატრანები $\text{H}_2\text{N(CH}_2)_3\text{Si(OCH}_2\text{CH}_2)_n(\text{OCHMeCH}_2)_{3-n}\text{N}$ ($n=0-2$) [102] და ჩაუნაცელებული $\text{H}_2\text{N(CH}_2)_3\text{Si(OCH}_2\text{CH}_2)_3\text{N}$, ციკლოფოსფამილთან ან ნატრიუმის 4-ამინოსალიცილატთან ერთობლიობაში აინიბირებს სარკომის ზრდას 70%-ით [122].

ლუკევიცი [114] აღნიშნავს განსაკუთრებულ თავისებურებებს: სილატრანების ანტიბლასტიკური თევისებები ყრყელთვის არ არის მდგრადი, რაც სხვა კლასის სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალებებში არ შეიმჩნევა. ეს იმას ამტკიცებს, რომ სილატრანები არ აკლენს ციტოტოქსიკურ მოქმედებას, მაგრამ მოქმედებს იმუნორეაქციულ ან პორმონულ სისტემებზე.

ნახშირბაძის სილატრანული წარმოებულები ზომიერ კატალეპტიკურ ეფექტს აკლენს, არ მოქმედებს თიოპენტალნატრიუმის ნარკოზის ხანგრძლივობაზე [123], 40 დღემდე ზრდის დაკონსერვებული სისხლის შენახვის ვალას და შეიძლება გამოყენებული იქნას თრომბოციტების აგრეგაციის ინიბირებისათვის [124].

N-მეთილლაქტამის მოლეკულაში სილატრანული პოლიელრის შეყვანა იწყევს ნაერთის ტრანკვილიზატორული ეფ-

ექტის გაზრდას ტოქსიკურობის მნიშვნელოვანი მომატების გარეშე. მსგავსი ეფექტი არ აღინიშნებოდა საწყის N-მეთილ-ლაქტამში საკულეუკი დოზების მთელ დიაპაზონში (50-600 მგ/კგ) [125].


სინთეზური ფიტოპორმონების სილატრანული წარმოებულების – $\text{XC}_6\text{H}_4\text{OCH}_2\text{COO}(\text{CH}_2)_n\text{Si(OCHRCH}_2)_3\text{N}$, სადაც X=H, Me, MeO, Hal, R=H, Me; n=1,3, ფარმაკოლოგიური აქტივობა არ არის კარგად შესწავლილი [21,31]. აღსანიშნავია, რომ ისინი არატოქსიკურია, ხოლო ჭრილობის შემახორცებელი მოქმედებით უახლოედება მიერთების მოქმედებას [126].

განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს ფართო ფარმაკოლოგიური მოქმედების საექტრის სილიციუმჩანაცვლებული ალკოქსისილატრანები, რომლებიც ავლენს აღაპტოგენურ [127, 128], ჭრილობის შემახორცებელ [83, 98, 126, 129-131] მოქმედებას და პილოტოპულ აქტიურობას [85, 96, 132]. DMCO-ში I-ეთოქსისილატრანის ხსნარი წარმოადგენს ეფექტურ სამკურნალო საშუალებას [133]. არაინფიცირებული ფასციალური ქსოვილის, კანის ჭრილობებისა და დაზიანების სამკურნალოდ რეკომენდებულია I-ეროპოქსი- ან 1-იზოპროპოქსისილატრანების 0,5%-იანი მაღამო, რომელიც დამზადებულია ლანოლინ-გაზელინის ან ლანოლინისა და აბუსალათინის ზეთის ნარევის საფუძველზე. [83, 134]. უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაღამო ამცირებს ანთებით პროცესებს [135] და აქვს დამკავი ანტიკოაგულაციური მოქმედება თრომბოზური აგენტების მიმართ [101].

სილატრან-სილაზოცინების (IV) და „უსევედოსილატრანების“ მონოციკლური ანალოგების ფარმაკოლოგიური აქტივობა ნაკლებად არის შესწავლილი.

უორტილანი და მისი თანამშრომლები [37, 89, 136, 137] გვამცნობენ 1,1-დიმეთილ-2,8-დიოქსა-5-(2-ოქსიეთილ)-1-სილა-5-აზაციკლოპენტილის ან მისი წარმოებულების საფუძველზე მიღებული ახალი პერსპექტიული ათეროსკლეროზის საწინა-აღმდეგო საშუალებების შესახებ, რომლებიც არეგულირებს ლიპიდურ ცვლას და ამასთან ერთად, შეიცავს სინთეზური ფიტოპარმონების ნაშთებს (სქემა 6):


სქემა 6



სადაც, $R^1, R^2 = Ph$, თიენილი, ციკლოპექსილი, $R^3 = H$;
 $R^7 = 4-\text{ClC}_6\text{H}_4\text{O}$; $R^2, R^3 = Me$; R^1, R^2, R^3 – მალეინის, ფურმარინის, ტარტრინის და ლიმონის მჟავას ნაშთები.


პ-ქლორფენოქსიიზოერბომჟავას 1,1-დიმეთილ-2,8-დიოქსა-5-(β -ოქსიეთილ)-1-სილა-5-აზაციკლოპენტიან-(1,3,6,2-დიოქსაზასილოცინანთან) რთული ეთერი ავლენს სპაზმოლიზურ, ლიპიდო-პროტეინტორულ და ჰიპოქსილეტერინულ მოქმედებას. მიოტროპული ეფექტით ($1,1 \cdot 10^{-6}$ დ/მლ) ის არ ჩამორჩება პაპაჟერინს ($2,5 \cdot 10^{-6}$ დ/მლ) [137]. ფრანგი მკელევარების აზრით, ზემოთაღნიშნული 8-წევრიანი აზასილატრანები პესპექტიულია კორონარული უქმარისობის (ინფარქტის), არტერიული და დიაბეტური ათეროსკლეროზის, პერიფერიული სისხლძარღვების უქმარისობის სამკურნალოდ.

ნახშირბადოვანი ოზოსტრუქტურული ანალოგების მსგავსად, ამიტრიპტილინი, იმიპრამინი ჰიდროქლორიდთან (ანტიდეპრესანტები), ლოკსაპინი, კლოზაპინი (ნეიროლეპტიკები) სილეპინების (IX) და სილოქსანების (X) ტრიციკლური წარმოებულები ამჟღავნებენ ფსიქოტროპულ მოქმედებას [138-143]. სილიციუმის ატომის შეცვანა ყველა შემთხვევაში იწვევს ამ წამლების Si-ანალოგების ფარმაკოლოგიური მოქმედების შემცირებას.




ფსიქოტროპული წამლის – პერატივპინის (ჰიდროფურმარატი IX) სილიციუმიანი ანალოგის ნეიროლეპტური აქტივობა ასევე მცირდება სილიციუმის ატომის შეცვანით (141, 142).


(XI) ტიპის სილოქსანების ბიციკლური წარმოებულები მიიღეს სილილირებული ნუკლეოზიდების – ნეპლანოცინ A ($R=H$) და ბენზოილნეპლანოცინის ($R=PhCO$) სინთეზის პროცესში [144].



წევლებრივი და ქონდენსირებული ციკლები. (XII) და (XIII) ტიპის 5-წევრიანი ციკლური კარბოსილაზანები უმნიშვნელოდ აუკრჩხებს *E. coli*-ს და *St. aureus*-ის ზრდას [145].




4-ქლორმეთილ-1,3-დიოქსა-2-სილაციკლოპენტანი:




გამოყენებულ იქნა ვირთხების ღვიძლსა და თირკმელებზე პისტოფიზიოლოგიური გავლენის შესასწავლას [146].

ბარსზამ მიორელაქსანტების სახით დააპატენტა 1-ოქსა-4-აზა-2,6-დისილაციკლოპენტანის წარმოებულები [147] და მათი (XIV) ტიპის ბის-ჩანაცვლებულების ტიპი (XIV):




ისინი რეკომენდებული იქნა ფარმაცევტული შემაღენლობების აქტიურ თნგრედიენტებად გლიკოგენის ინპიბირებისათვის და დიაბეტის სამკურნალოდ [148]. აღმოჩენილ იქნა 4-ქლორფენილჩანაცვლებული β - და γ -ამინოალკილსილაციქლოჟესანების (XV) და მათი პილროქლორიდების სააზმოლიზური მოქმედება [149]. ისინი მიღებული იქნა სქემა 7-ის მიხედვით:

სქემა 7



საღაც, $\text{R}=\text{Cl}(\text{CH}_2)_3, \text{CH}_2=\text{CH}; n=2,3.$

აზოციკლოჟესანები (XVI) კონდენსირებული არომატული ბირთვით, შემოთავაზებულია, როგორც ძილისმომგერელი საშუალებები [150].



საღაც. $\text{R}, \text{R}^1, \text{R}^2, \text{R}^3=\text{H}, \text{Me}, \text{Et};$

$\text{R}^4=\text{Alk}, \text{OAlk}, \text{Ar}$ და სხვა;


$\text{R}^5=\text{Alk}; \text{R}^6=\text{H}, \text{Alk}.$

სპირციკლური ციკლოჟესანის (XVII a) მოღეპულაში ნახშირბადის ატომის შეცვლა სილიციუმით არ იწვევს სი-




ლილირებული ანალოგის (XVII ბ) სიმსიუნისსაჭინააღმდეგო აქტივობის მნიშვნელოვან ცვლილებას [151].

პრომაზინის და მისი წარმოებულების სილილირებული ანალოგების (XYIII) მოქმედება ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე არ განსხვავდება ნახშირბადის იზოსტრუქტურული შენაერთების მოქმედებისაგან [152]. ლიმეტაკრინის (XIX) სილილირებული წარმოებულების ფსიქოტროპული აქტიურობა ასევე არ განსხვავდება მნიშვნელოვნად იზოსტრუქტურული ნახშირბადოვანი ანალოგების შესაბამისი მოქმედებისაგან [153].



XVIII




XIX

სადაც: $X = \text{Me}_2\text{Si}, \text{RMeSi};$ სადაც: $R=\text{H}, \text{Cl}; R'=\text{Me}, \text{Et}.$

$Y = \text{MEt}, \text{CH}_2, \text{CHR}.$



ცნობილი ფსიქოტროპული პრეპარატის – ფენტიაზინის მსგავსი სტრუქტურის 9-სილა-აზაანტრაცენები (XX) [154] მოღებული იქნა შემდეგი სქემის მიხედვით:






საფო(3), R = H, Me; R', R'' = Me, Ph.

ცნობილია აგრეთვე სილაზანტრონების (XXI) და 10-ამინო-9-სილა-3-აზაანტრაცენების (XXII) [154] სინთეზის შესახებ, მაგრამ ყვენტიაზინის ამ მეტად საინტერესო და პერსპექტიული სილა-ანალოგების ყარმაკოლოგიური მოქმედების შესწავლის შედეგები (in vivo) არ არის ცნობილი.



აციკლური ნაერთები. კარბონმჟავების და მათი ეთერების ო-ტრიორგანისილოქსინარმოებულები მიიღება სქემა-8-ის მიხედვით:


სქემა 8



სადაც, R=Alk; R¹, R²= Alk, Ar, AlkAr; n=0-3, ამჟღავნებს ანთების საწინააღმდეგო [42, 155-164] და ანალგეტიკურ აქტიურობას [158, 161, 163, 165].




კარბალკოქსიბენზილოქსიტრიალკილსილანები [166, 167], რომლებსაც პიპოთერმული მოქმედება ახასიათებს, მიღებუ-

ლია მე-8 სქემის მიხედვით, ან პექსაალკილდისილატრანს-ბით ნუშის მჟავას ეთერების სილილირებისას [167].



საღაც, $R = \text{Me, Et; } R' = \text{Et, Pr, H - Br}$. ეს ნაერთები ამინაზინზე უფრო აქტიურია.

დი-(α -ჯარბალკოქსიმეთოქსი) დიეთილსილანები (XXIII) მიიღება მჟაუნმჟავას ეთერების დიეთილსილანით სილილირებისას და ამჟღავნებს ნეიროტროპულ აქტიურიას [168]. (XXIV) ტიპის ციკლოპენტენონპაროპანული მჟავების ტრიმეთილსილიქსინარმოებულები, საღაც, $X = \text{CHO, CH} = \text{CHPh; } R = \text{H, Ac, Hal, NO}_2$ და სხვა, და (XXV), საღაც, $R = \text{Alk}$, ჯარბოქსიალკოლ, $R^1 = \text{H, Alk}$, დაპატენტებულია, როგორც ანტითრომბული მოქმედების საშუალება [169, 170].



ჯარბოქსილური ჯგუფით სილილირებული ცხიმოვანი არომატული მჟავები $\text{RR}'\text{R}^2\text{CC(O)OSiR}_3^3$, საღაც, $R = \text{Ar}; \text{R}^1, \text{R}^2, \text{R}^3 = \text{H, Alk}$, ამჟღავნებს ანთების საწინააღმდეგო, ანალგეზური აქტიურიას და სიცხის დამწევ მოქმედებას [171].

ჯარბოქსილური მჟავების და ჯარბამინური მჟავების –

$\text{Me}_3\text{SiOCOC}\equiv\text{CC(O)NHCH(R)COOR}$ ეთერების მოლეკულაში აცეტილენური ჯგუფების შეყვანა, სადაც $R=\text{Alk}$, ტუბერკულოზის სამკურნალოდ მათი გამოყენების საშუალებას იძლევა [171].

სტრუქტურით მსგავსი $\text{R}_3\text{SiC}\equiv\text{CH(COOR}^1\text{)}\text{NHCOOR}^2$, C-სილილჩანაცელებული აცეტილენ-N-კარბოქსიგლიცინის მჟავები – სადაც, $R^1, R^2 = \text{Alk}$, C_1-C_4 -ით, ამჟღავნებს ანტიბაქტერიულ თვისებებს [173].

α -ტრიმეთილსილილკარბონმჟავების ($\text{Me}_3\text{SiRCHCOOR}^1$, სადაც, $R^1 = \text{Alk}$) [160], β -ამინოკაპრონმჟავას და β -ამინოკროტონმჟავას რთული ეთერები [161, 162], ამიდოპირინთან შედარებით, ნაკლებად გამოხატული ანთების საწინააღმდეგო ეფექტით ხასიათდება.

C-სილილალკანური მჟავებისა და მათი მარილებისათვის:



სადაც, $R = \text{Alk}$ (C_1-C_6); $R^1 = \text{H}$, ტუტე მეტალი; A – ალკილენი, $X = \text{Cl}, \text{Br}$, დაღგენილია სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიპაპერტენზიური აქტივობა.

ბირთვები სილილირებული $\text{n-Me}_3\text{SiC}_6\text{H}_3(\text{R})(\text{CH}_2)_n\text{COOH}$ (სადაც, $R=\text{Ar}$; $n=0-3$) ტიპის ცხიმოვანი მჟავები რეკომენდირებულია ათეროსკლეროზისა და გულსისხლძარღვთა სისტემის სამკურნალოდ [176].

ამინოორგანოსილანები და მათი გარბოფუნქციონალური წარმოებულები. აზოტშემცველ სილიციუმორგანულ ნაერთებს შორის ამინოორგანილსილანები და მათი წარმოებულები ყველაზე უფრო შესწავლილ კლასს წარმოადგენს სი-

ლატრანების შემდეგ. მათი ფარმაკოლოგიური თვისებები განხილულია მთელ რიგ შრომებში [9, 17, 40, 116, 117, 177]. აღმოჩნდა, რომ α-, β-, γ-ამინოალკილსილანებს მკვეთრად გამოხატული ანტიმიკრობული და ანტივირუსული მოქმედება ახასიათებს [9, 40, 41, 116, 117, 178-181]. დადგინდა, რომ ნახ-შირბად-წყალბადოვანი ჯაჭვის სიგრძე სილიციუმისა და აზოტის ატომებს შორის ნაკლებად ახდენს გავლენას ანტი-მიკრობულ აქტივობაზე, მაშინ, როდესაც მეტად მნიშვნელოვანია აზოტის და სილიციუმის ჩამნაცვლებლის ბუნების გავლენა [180, 182] (ცხრილი 5).


სილიციუმთან ჩამნაცვლებლის ბუნების ცვლილებისას ხშირად იცვლება ნაერთის ფიზიოლოგიური მოქმედების ხა-სიათიც.

$\text{RR}_2^1\text{Si}(\text{CH}_2)_n\text{NR}^2\text{R}^3$ (სალაც, R, R¹ = ფენილ, 2-ურილ, 2-თიენილ; R², R³ = H, Alk, ციკლოალკილ) ორგანილამინოალკილსილანების და მათი პიდროქლორილების ნეიროტროპული მოქმედება იზრდება ფენილის ჯგუფის რაოდენობის გა-ზრდით და მცირდება ფურილისა და თიენილის ჩამნაცვლებლების რაოდენობის გაზრდით [112, 113]. თუ ამინოპილსილანების პიდროქლორილები აძლიერებს ქლორალჰიდ-რატის ძილისმომგერელ ეფექტს, α-ამინოალკილსილანების პიდროქლორილები, პირიქით, ამცირებს ნარკოზის ხანგრძლივობას [112].

ამინოალკილსილანების Si-ჰეტეროციკლური წარმოებულები ამჟღავნებს სპაზმოლიზურ და ანტიისტამინურ მოქმედებას [185], ხოლო პიროლიდინის [184], ქინოლინის [185], პერ-პიდროაზეპინის [116] N-ციკლური წარმოებულები ნეიროლეპტიკებია და ასევე, პიფამპიცინისა და იზონიაზიდის დანამატები.

ცხრილი 5

ამინოალკილსილანების სტრუქტურული ფრაგმენტები და
მისი ანტიბიოტიკური ეფექტი [180]

ფრაგმენტი	აქტიურობის გა- მოვლენის ალბა- თობის კოეფიციენ- ტი (W)
$\text{HN} \swarrow \text{Si} \equiv$	0,10
$>\text{N}' \quad \text{`Si} \equiv$	0,38
$\text{HN} \swarrow \text{Si} \equiv$	0,42
$\text{N} \swarrow \text{Si} \equiv$	0,59
$-\text{C}\equiv\text{C}-\text{Si} \equiv$	0,80
	0,83


$[\text{R}_3\text{Si}(\text{CH}_2)_m\text{NMe}_2\text{R}^1]^+\text{Cl}^-$ (სადაც, $\text{R}^1=(\text{CH}_2)_n$; $m=1,4-6$; $n=13-17$) ამინოალკილსილანების ქლორმეთილატები დაპატენტებულია სამეცნიერო დანიშნულების ქსოვილების აპრეტებად [179].

$\text{R}_3^1\text{SiR}^2\overset{+}{\text{N}}\text{R}^3\text{R}^4\text{R}^5\text{X}^-$ (სადაც, $\text{R}^1-\text{R}^5=\text{Alk}$, ალკოქსილი, ალ-
კილენი; $\text{X}=\text{Hal}$) ტიპის ნაერთები რეკომენდებულია სტომატო-
ლოგიაში გამოყენებისათვის კბილებზე ლაქების წარმოქმნის
ინციბირებისათვის [186].

(ამინოპროპილ)ტრიალკოქსილანების კომპლექსები:

$(RO)_3Si(CH_2)_3NR_2^1 \cdot C_6X_5OH$ ფენოლებთან, საღაც, R=Me, Et; R¹=H, Me; X=Alk, Cl, Br, NO₂, შესაძლებელია გამოყენებული იქნას სოკოს, ვირუსებისა და ბაქტერიების საწინააღმდეგოდ მკურნალობისას [187].


აზოვით სილილირებული 4,4-დიფენილპიპერიდინები



R=Me, Et, $\text{H}_3\text{C}_2\text{H}_5$, $\text{O}-\text{Bu}$, Ph,

ცნობილ პრეპარატი – მესამეული-ბუტილ-4,4-დიფენილპი-პერიდინთან ერთად რეკომენდებულია პარკინსონის დაავადების სამკურნალოდ [188].


სილილირებული ამიღები, შარდოვანები, ოქსიმები და იმინოეთერები. კარბოფუნქციონალური სილიციუმორგანული ამიღების, ამიღინების იმინოეთერების, შარდოვანებისა და ოქსიმების ბიოლოგიური აქტივობა კომპლექსურად არ არის გამოკვლეული. მიუხედავად ამისა, გარკვეული შეღებები მეტად საყურადღებოა. მაგალითად, 4-, 4- და 2-ქინოლინჯარბონული მჟავების (XXVI) და 2-ჩანაცვლებული 4-ქინოლინჯარბონმჟავების (XXVII) [120, 121] ტრიორგანილსილილურ და სილაგრანილურ ამიღებს შორის:



$\log P$, R, R^1 = Alk, C₁-C₄; R^2 = Ph,  . ; n=1,3.


აღმოჩენილია მაღალი ანტიბლასტური ეფექტის მქონე ნაერთი.

ბარსზამ დაასინთეზა ცხიმოვანი მუავების სილილირებული ამიდების დიდი რაოდენობა და დაპატენტა ისინი ანტისკლერიტულ საშუალებებად [189]. ტოიოსიმამ წარმოადგინა ახალი, ნაკლებად ტოქსიკური სიმსივნის საწინააღმდეგო საშუალება ტრიალკილსილილალკანკარბონმჟავების საყუმელზე [190]:




საღაც, $R=alk$, $n=1-3$.

ტრიალკილსილილ-6-ამინონიკოტინამიდები



დაპატენტებულია ფუსორიაზის სამკურნალოდ [191].


შესაბამისი კარბონმჟავებიდან სილიციუმშემცველი იმინოეთერების სინთეზის ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა გამოყოფილი იქნას ნაერთები, რომლებიც აინიბირებს ამინექსიდაზას და პერსპექტიულია პიპერტონიისა და სულიერი დეპრესიის სამკურნალოდ [192].




საღაც, $R=alk$, $R^1= Ph$, აღამანტილ-1, ფურილ-2. გარდა ამისა, ისინი წარმოადგენენ ნახევარფუაბრიკატებს სედატიური მოქმედების წამლების მისაღებად.

აზოტით შარდოვანებისა და თიოშარდოვანების სილილირება ამცირებს სისხლში შაქრის რაოდენობას [193, 194].

და ამჟღავნებს მონოამინოქსიდაზის საწინააღმდეგო ოქტიკორბას [195]. მათ იღებენ შესაბამისი შარლოუანალან ჩვეულებრივი მასილილირებელი აგენტებით სილაზანციანატების ამინირებისას:



საღაც, $R=Me, Ph, p\text{-}MeC_6H_4$; $R^1=Me, Et, p\text{-}Bu, (CH_2)_4$, ან იზოციანატების და მათი თიაანალოგების სილილირებით:




საღაც, $R=4\text{-Cl}, 4\text{-CH}_3O; X=O, S$.

ტრიოსიმამ დააპატენტა ტრიორგანოსილილჩანაცვლებული ოქსიამინოალკანები, როგორც ანტიბლასტური საშუალებები [196, 197], ხოლო ლუკეპიცის მიერ შემოთავაზებული იქნა γ -ჩანაცვლებული $RR_2^1Si(CH_2)_3ON=CMe_2$ (ტრიორგანოსილილპროპილ)-ოქსიმები, საღაც, $R, R^1= Me, Et, n\text{-}Bu, C_2H_5O$, როგორც ანტიმიკრობული საშუალება [198].


უოსფორისა და გოგირდის სილიციუმფარმოებულები. ალკილალკოქსი(ორგანილთიო)ქლორსილანები – $CISiEt(OR)SR^1$, საღაც, $R=n\text{-}Bu, R^1=n\text{-}Bu, Ph, C_6H_{13}$, ამჟღავნებს ბაქტერიოციდულ მოქმედებას [199] *St.aureus* 209-P და *Esh. coli* M-17-თან დაკავშირებით, თავისი აქტივობით ბევრად უკეთესია ქლორამინზე. მათთან ახლოს მდგრმ ანალოგებს – ორგანილთიოქლორსილანებს ($Et_nSi(SPh)Cl_{3-n}$, საღაც, $n=1-2$, ახასიათებს ანტიბაქტერიული და სოკოს საწინააღმდეგო აქტიურობა [200].

დიეთილ-ბის(უენილთიო)სილანს აქვს არამკუეთრად გამოხატული ანალგეზიური მოქმედება [201].




6) ტიპის სილილირებული ამინოალკინლსულფიდები, მათი ჰიდროქლორიდები და აცეტატები *in vitro* და *in vivo* ტესტებში თრგუნავს ერლიხის სიმსივნის, ლუისის ფილტვის სიმსივნის და B-16 მელანომის უჯრედების ზრდას [202].

2-(3'-ტრმეთილსილილპროპილ)ბენზატიაზოლის მისაღებად, რომელიც ასევე დაპატენტებულია სიმსივნის საწინააღმდეგო, მცირედ ტოქსიკურ საშუალებად, გამოყენებულია ო-ამინოთიოფენოლის რეაქცია ტრიმეთილსილილცხმოვანი მჟავას ქლორანდიდრილთან [203, 204]:



ფოსფონური მჟავების სილიციუმორგანული ფენოლიატები ამჟღავნებს ანტიოლინესტერაზულ აქტივობას [205].




ბის(ტრიორგანოსილილალკილ)ფოსფიტები $[R_3Si(CH_2)_nO]_2PHO$ (საღაც, R=Alk, C₁-C₆, ალკენილი, Ar; n=1-3) შეიძლება გამოყენებული იქნას სიმსივნის საწინააღმდეგო და ანტიპერტენზიულ საშუალებად [206].

ცნობილი სამკურნალო საშუალებების სილა-ანალოგები C/Si – იზოსტრუქტურული ნაერთები სილიციუმჩანაცვლებული ამინოსპირტები. β-ამინოეთოქსილური ფრაგმენტისა და

სილილური ფუნქციის შეთავსება განხორციელებული იქნა სილიციუმის ქიმიაში მიღებული კლასიური მეთოდით:


- ქლოროსილანების ეთერიფიკაცია ამინოსპირტებით;
- ამინოსპირტების ან შესაბამისი ვინილური ეთერების პიდროსილიდირება;
- ამინოსპირტების ალკილირება ქლორმეთილსილანებით.

პირველი მეთოდით მიღებულია, მაგალითად, პარკინსონის დაავადების სამკურნალო პოტენციური საშუალებები [207]:




სადაც, $\text{R}=\text{H}, \text{Me}; \text{R}^1=\text{Ph}, 4\text{-CH}_3\text{C}_6\text{H}_4, 4\text{-ClC}_6\text{H}_4$, ციკლო-C₆H₁₁.

პისტამინის და კარბახოლის ანტაგონისტების სილა-ანალოგები – ქლორყენოქსიმინი, კლოყენეტამინის მეფენალრამინი და მებროფენილრამინი – 4-BrC₆H₄MePhCO(CH₂)₂NMe₂ მიღებულია შემხევედრი სინთეზით, მაგალითად, შემდეგი სქემით [74]:




სადაც, $\text{R}=\text{Ph}, 4\text{-ClC}_6\text{H}_4, 4\text{-BrC}_6\text{H}_4; \text{R}^1=\text{Me, Et}; \text{X}=\text{H, Cl}$, და განხილულია [22] შრომაში.


რეაქტანმა და მისმა თანამშრომლებმა [207-209] პარკინსონის სამკურნალო ახალი საშუალებების – ამინოეთოქსიალკილსილანების – $\text{RR}^1\text{R}^2\text{Si}(\text{CH}_2)_n\text{O}(\text{CH}_2)_2\text{NR}^3\text{R}^4$ (სადაც, $\text{R}, \text{R}^1, \text{R}^2, \text{R}^3, \text{R}^4 = \text{Alk, Ar}$, ციკლოალკილ; $n=1-3$) სინთეზისათვის გამოიყენეს მეორე მეთოდი [208]:



ან მესამე მეთოდი [209]:



ყინულამძლეობის კოეფიციენტი, -60°C	იყო-ჩება	-	იყინგბა	-	-
პლასტიკურობა ასხლების მიხედვით, %	25	25	25	28	30

გაჯირჯვება, %


ბენზოლში	119	-	179	-	15
ინორქტანში	150	-	-	-	-
ა(კეტონ)ში	16	-	-	-	150
75%-იან გოგირდშეჟაფაში	1,6	-	-	-	-
გამოყენების ტემპერატურული ინტერვალი	-60-დან 250-მდე	-	-60- დან 300- მდე	-	-75-დან 220-მდე

პოლიდიმეთილსილოქსანური პოლიმერების ძვირფას თვისებას წარმოადგენს მათი მაღალი აირშეღწევადობა და სელექტიურობა აირშეღწევადობისადმი, სუსტი მოლეკულათ-შორისი ურთიერთქმედება, მაღალი მოქნილობა. პოლისილოქსანის შეღწევადობა პოლიენილქლორიდთან შედარებით 6-ჯერ მაღალი რიგისაა, უანგბადისა და CO₂-ის მიმართ და 3-ჯერ მაღალი წყლის ორთქლის მიმართ (ცხილი 8).

ზოგიერთი პოლიმერების აირშეღწევადობა

მასალა	ფარდობითი შეღწევადობა			
	O ₂	CO ₂	H ₂ O	P _{CO₂} /P _{O₂}
პოლიენილქლორიდი	1	1	1	0,76
პოლიეთერი	10,7	24,8	6	1,76
პოლიეთოლენი	138	446	1	2,45
პოლიპროპილენი	181	819	2,8	3,42
ტეფლონი	1068	3850	1,3	2,72
სილიკანი	95 000	665 000	680	5,30


სამედიცინო დანიშნულების კაუჩუკების დებულობები მეთიდორგანოციელოსილოქსანების ანინური პოლიმერიზაციით (ან თანაპოლიმერიზაციით) კატალიზატორის მონაწილეობით მოლეკულური მასის რეგულირებით [3,4].



სადაც $m=3 \cdot 10^6$, $n=3-6$, AB – მოლეკულური მასის რეგულატორი.


შემუშავებულია 2% ციკლოსილოქსანის შემცველი კაუჩუკის მიღების ტექნოლოგია. ციკლოსილოქსანი რაოდენობრივად ისაზღვრება პოლიმერში გაზურთხევადური ქრომატოგრაფიით.

თხევად დიმეთილსილოქსანურ კაუჩუკების სილიციუმის ატომთან ეინილის ჯგუფებით გამოიყენებენ ორკომისონენტიან სილიციუმის კომპოზიციებში, რომლებიც მყარდება პიდროსილილირების რეაქციებით კატალიზური რაოდენობა პლატინის ან როდიუმის თანაობისას:



გამყარების პირობებისა და საწყისი კომპონენტების სტრუქტურასთან დამოკიდებულებით ამ დროს შეიძლება წარმოიქმნას მყარი ან გელის მსგავსი პროდუქტი [5]. ქალის მკერდის და მამაკაცის სათესლე ჯირკვალის პროთეზების დამზადებისას გამოიყენება გელი, რომელიც წარმოიქმნება დიმეთილმეთილენიდან სილოქსანური კაუჩუკის (CKTHB-ნ – სამედიცინო) რადიაციული დასხივებით. გელის კონსისტენცია და მისი სიბლანტის მდგრადობა დამოკიდებულია დასხივების დოზაზე, კაუჩუკის მოლეკულურ მასასა და ჯაჭვში მეთილენიდან სილოქსანის რგოლის შემცველობაზე [6].


დაბალმოლეკულური სილოქსანური კაუჩუკები კიდურა სილანოლური ჯგუფებით, გამოიყენება ოთახის ტემპერატურაზე გამყარებისას ან ცოცხალი ორგანიზმის ტემპერატურაზე ერთ- ან ორკომპონენტიან კომპოზიციებში. ერთკომპონენტიან კომპოზიციაში პოლისილოქსანი მყარდება მეთილტრიაცეტოქსისილანით პაერის ტენის მოქმედებით შეკერილი პოლიმერისა და ძმარმუავას წარმოქმნით:



ვინაიდან გამყარების სისქარე ლიმიტირებულია პაერის წყლის ორთქლის დიფუზიით შეკერილი პოლიმერის ფირის წარმოქმნით, ასეთი კომპოზიციები შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ თხელებდლოვანი ნაერობების მისაღებად.

ორკომპონენტიან კომპოზიციებში უულკანიზატის წარმოქმნა და ამავე დროს ეთილის სპირტის გამოყოფა მიმდი-

ნარეობს პოლიმერის ურთიერთქმედებით ტეტრაეტოქსისილანთან კატალიზატორის – კალას ოქტაატის თანაობისას:



ორეომპონენტიან სილიციუმორგანულ სისტემებს იყენებენ მედიცინაში ნებისმიერი ზომის ნაკეთობის მისაღებად პაერზე, დახურულ სივრცეში და წყლიან გარემოში (სისხლში, ლიმფაში, კუჭისქვეშა ჯირკვალში და სხვა).

ციეი გამყარების კომპოზიციებში შედარებით მყარი ვულკანიზატების მისაღებად ხშირად გამოიყენება გამაძლიერებელი შემავსებელი – როგორც წესი, მაღალი სისუფთავის წერილდისპერსიული ტიტანის დიოქსიდი.

თხევადი კომპოზიციების გამოყენება საშუალებას იძლევა მიღებული იქნას ინდივიდუალური დანიშნულების იმპლანტაციები მოკლე დროში (დაახლოებით 1 სთ-ში) უშუალოდ კლინიკაში ოპერაციის მსელელობისას. შრომაში [7] აღწერილია ოპერაციის დროს ყბა-სახის ქირურგიაში პროთეზის დამზადების მეთოდიკა თხევადი კომპოზიციდან პოლისილოქსანის სილიკატ-382-ის შემავსებლის, ვულკანიზაციის აგენტის (ტეტრაპროპოქსისილანის) და კატალიზატორის (კალას ოქტაატის) ბაზაზე.

პაციენტის სახის დეფექტური ნაწილები იფარება ნიღაბით, რომელზეც შემდეგ იდება განსაზღვრული რაოდენობის გასამყარებელი კომპოზიცია. კომპონენტების შერევა ხორციელდება 3-5 წუთის, და გამყარება 3-5 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. მზა იმპლანტატი შემდეგ პერფორირდება სპეციალური პერფორატორის საშუალებით

ქსოვილზე კარგად მისამაგრებლად, ირეცხება გამოხდილი წყლით, სტერილური და აეტოკლავში და ინერგება პაციენტის ორგანიზმში.

დაბალმოლექულური სამედიცინო კაუჩუკის – CKTH-Б-ს ბაზაზე, რომელიც სხვადასხვა მოლექულური მასით და 0,1-100 პ. წმ. სიბლანტით იწარმოება, მზადდება ცივი გამყარვების კომპოზიცია, რომელიც გამოიყენება ენდოპროთეზირებაში [2, 8]. კომპოზიცია პანკრეასილი, რომელიც გამოიყენება პანკრეატიტის სამკურნალოდ, შეღება სამედიცინო CKTH-Б-საგან, სიბლანტე $<0,3$ პა.წმ, ტეტრაეტოქსილანისაგან, კალას ოქტოატისა და ოქტოტრინოკონტრასტული ნივთიერებისაგან [9]. პანკრეასილის გამყარების დრო რეგულირდება კომპონენტების თანაფარდობის რეგულირებით (რომლებიც ერთ-ვა ოპერაციის დროს), 30-50 წუთის განმავლობაში. გამყარვება ჩქარდება კალას ოქტოატისა და ტეტრაეტოქსისილანის რაოდენობის გაზრდით. დადგენილია, რომ წარმოქმნილი პოლიმერი პრაქტიკულად არ შეიცავს შეუკერავ მოლექულებს, რომლებისაც შეუძლიათ ჩიგრირება პროთეზის შემოგარენში [10]. გამყარებული კომპოზიცია მდგრადია ფიზიოლოგიური ხსნარის მოქმედების მიმართ 100°C , რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ ის დიდი ხნის განმავლობაში უცელელი ინახება ენდოპროთეზირების პირობებში.


პანკრეასილის კომპოზიციის შეუვანა, 0,1-16 შმ დიამეტრის ბიოინერტული ფტოროპლასტური ბურთულებით, წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული სისხლძარღვების სუპერსელექტრიური ემბოლიზაციისას. რამდენადაც ბურთულები განკუთვნილია კომპოზიციის გასაჩერებლად მის გამყარვებამდე მკაცრად განსაზღვრული სისხლძარღვის საყრდენზე, ბურთულების დიამეტრი ირჩევა თითოეულ კონკრეტულ შემ-

თხევეაში სისხლძარღვთან დამოკიდებულებით და ბურთულები კომპოზიციას ემატება კომპონენტების შერევისას ორგანიზმში შეყვანის წინ [11].

სამედიცინო CKTH კაუჩუკის საფუძველზე აღწერილია ორკომპონენტიანი კომპოზიცია 4-10 პა.წმ სიბლანტით, გამიზნული ჰემოსტაზისა და პირის ღრუს ჭრილობის ზედაპირის იზოლაციისათვის ზედა ყბის რეზექციის დროს [8]. კომპოზიცია თხევად მდგომარეობაში შევავთ ჭრილობის არეში. 10-30 წუთის შემდეგ ის მყარდება და არის უთანაბრობის გამო კარგად ჩერდება ჭრილობის მოშუშებამდე საჭირო დროის განმავლობაში. ის ასრულებს ჰემოსტატიკურ ფუნქციას, არ ჩირქდება.

შეხორცების შემდეგ (3-4 კვირა) კომპოზიცია მისი სრული ადგეზიის უქონლობის გამო ცოცხალი ქსოვილის არიდან ადვილად იხსნება როგორც ერთი მყარი ბლოკი, რომელიც არაფრით არ განსხვავდება საწყისი მასისაგან. ეიდურა სილანოლური ჯგუფებით თხევადი პოლიმეტილსილოქსანის ბაზაზე ცივი გამყარების ვულკანიზატების თვისებების გამოკვლევაშ სხეადასხეა პერიოდით აჩვენა, რომ მასალაში მნიშვნელოვანი ცელილებები არ მიმდინარეობს. მასის დაკარგვის მეტი სიჩქარე აღინიშნება იმპლანტაციისას 12 თვის განმავლობაში, შემდეგ მასის დანაკარგი უმნიშვნელოა. ფიზიკურ-ქიმიური თვისებები არ უარესდება [12].

სამედიცინო CKTH კაუჩუკის საფუძველზე მიღებული ორკომპონენტიანი კომპოზიცია სილოქსანური ოლიგომერის დამატებისას, რომელიც შეიცავს სილიციუმიდრიდულ დაჯგუფებებს შეიძლება სწრაფად გამყარდეს შემდეგი რეაქციით:



ამ დროს წარმოიქმნება მსუბუქი ფორმები მასალა. ასეთი ტიპის კომპოზიცია გამოყენებულია თხევადი სახით ყურის ხერელში შესაყვანად, ყურთასმენის გასაძლიერებლად ავადმყოფებში, რომელთაც დაზიანებული აქვთ ყურის მემბრანა. გამყარების შემდეგ მასალა დიდი ხნით (წელი-წადზე მეტი) აძლიერებს სმენას. აუცილებლობისას, ის შეიძლება უმტკივნეულოდ იქნას ამოდებული ყურის ხერელიდან [8].

მაღალმოლეკულური სილოქსანური კაუჩუკები გამოიყენება მედიცინაში მხოლოდ ვულკანიზატების სახით, როგორც წესი, შევსებული სამედიცინო ხარისხის წერილდის-პერსიული SiO_2 -ით. ვინილის ჯგუფების დიმეთილსილოქსანური კაუჩუკის ბაზაზე მიღებული სილოქსანური რეზინის ვულკანიზაცია ხილციელდება რადიაციული, პეროქსიდული ინიციატორების გამოყენებით და პიდროსილილირების რეაქციით.

პეროქსიდებით ვულკანიზაციისას, ნაკეთობის მიღებისას, რომელიც იმპლანტირდება ორგანიზმი, მავულკანიზირებელ აგენტად გამოიყენება მხოლოდ 2,4-დიქლორბენზორი, რომელიც შეიცვალება რეზინულ ნარევში 1%-მდე რაოდენობით. ვულკანიზაციას ატარებენ $100\text{-}120^{\circ}\text{C}$ -ზე. პეროქსიდის დაშლის პროდუქტების მოსაცილებლად, ვულკანიზაციის დამთავრების შემდეგ რეზინები დამატებით ცხელდება პაერზე $200\text{-}250^{\circ}\text{C}$ ტემპერატურაზე.

პიდროსილილირების რეაქციით კაუჩუკების ვულკანიზაციისას, შედარებით აქტიურ კატალიზატორს წარმოადგენს პლატინა და როდიუმი [13]. ვულკანიზაციის ამ მეთოდის უპირატესობას, პეროქსიდებთან შედარებით, წარმოადგენს პეროქსიდის 2,4-დიქლორბენზორის დაშლის პროდუქტების

არაარსებობა, რომლებიც საზიანოა ორგანიზმისათვის, ნაკეთობის მოცულობაში ვულკანიზაციის შედარებით თანაბარი ხარისხი, შედარებით მაღალი სიმტკიცე გაჭიმვისას, მზა ნაკეთობიდან ექსიტრაგირებული ნივთიერებების შედარებით დაბალი დონე, სუნის არქონა და რეზინის ფერის ცვლილება [14]. სანიტარულ-ქიმიური გამოკვლეულის მონაცემებით, პოლიმიერთებით მიღებული რეზინებიდან დაჟანგული პროდუქტების მინარევების რაოდენობა წყლით გამორჩევისას ორჯერ ნაკლებია, ვიდრე პეროქსიდური რეზინის შემთხვევაში [15].

ვულკანიზაციის სხვადასხვა მეთოდით მიღებული რეზინების დახასიათება მოცემულია მე-9 ცხრილში [13].

ცხრილი 9

სილოქსანური რეზინის თვისებები

რეზინის თვისებები	მავულკანიზირებული აგენტი		
	2,4-დიქლორბენზოლი	რადიაცია	სილოკუმ-პიდრიცებული ოლიგომერი
ვულკანიზაციის I სტადია (165°C , 10 წთ)			
სიმაგრე შარის მიხედვით სიმტკიცე გაწვევებისას, მპა	58	54	55
სიმტკიცე გაჭიმვისას, მპა ფარდობითი წაგრძელება, %	1,2 6,4	2,5 9	40 7,5
	590	300	650
ვულკანიზაციის II სტადია (200°C , 4 სთ)			
სიმაგრე შარის მიხედვით სიმტკიცე გაწვევებისას, მპა	62	56	59
სიმტკიცე გაჭიმვისას, მპა ფარდობითი წაგრძელება, %	1,2 6,8	1,8 8,8	3,8 6,9
	420	300	420

რადიაციული რეზინების იმპლანტაციისას მოსაზღვრე ქსოვილების რყევა შედარებით ნაკლებია, ვიდრე პეროქსი-

დურით [15]. იმ შემთხვევაში, როდესაც პროთეზირებისათვის საჭირო მასალების შედებვაა საჭირო, მაგალითად ყბა-სახის ქირურგიაში, პროთეზის დამზადებისას, სილოქსანურ რეზინებში შეცვალთ არაგამჭვირვალე შემავსებელი და პიგმენტი [16]. ამ დროს მნიშვნელოვანია ნაკეთობის ფერმედეგობა (ფერის შეცვლა დროის განმავლობის სინათლის სხივების მოქმედებით, სიგარეტის კვამლის მოხვედრისას, კოსმეტიკური საშუალებების მოქმედებისას და ა.შ.). ნაჩვენებია, რომ [16] რეზინულ ნარევში 10% მასური ნაწილი სილოქსანური ზეთის დამატება დაბლა სწევს ნაკეთობის სიმაგრეს და მოქნილობას და აუმჯობესებს მის ხარისხს. სილოქსანური რეზინის დაბალი აღსენიის გამო მისგან დამზადებული ნაკეთობა ცუდად ეწებება მრავალ აღსენიებს, რომელიც გამოიყენება კლინიკაში. სილოქსანური რეზინები შედარებით მტკიცე მასალად ითვლება ბიოლოგიური სითხეების მოქმედების მიმართ. ოთახის ტემპერატურაზე მათი გაჯირჯვება წყალში, 10%-იანი NaCl-ის ხსნარში ან 2%-იანი Na₂CO₃-ის ხსნარში, აბუსალათინის ზეთში, არ აღემატება 1%-ს, მასის მიხედვით [17]. სილოქსანური რეზინები უმნიშვნელოდ იცვლის სიმაგრის მაჩვენებელს დიდი ხნის განმავლობაში (20 თვემდე) 3%-იანი NaCl-ის ხსნარში და 40 თვის განმავლობაში 10%-იანი NaCl-ის ხსნარში მოთავსებისას [18].

აგრესიულ გარემოში სილოქსანური რეზინის საფუძვლზე დამზადებული თირკმელისა და შარდწვეთის მექანიკური თვისებების ცვლილება ასევე მცირეა: 40 თვის შემდეგ კათეტერის მოთავსებისას თირკმელში რეზინის სიმტკიცე 23%-ით შემცირდა, ხოლო 9-თვიანი იმპლანტაციის შემდეგ ძაღლის ნაღვლის ბუშტში ნიმუშის ცვლილება არ აღმოჩნდა. პოლიმერული მასალების მრავალი გამოკვლევის შედე-

გად აღმოჩნდა, რომ ყველაზე ინერტულს დეიმლის ქსოვილის მიმართ პოლისილოქსანი წარმოადგენს [19].


ძალლის კანის ქვეშ სილოქსანური რეზინის იმპლანტაციისას მისი ფიზიკურ-მექანიკური თვისებები (სიმტკიცე, ფარდობითი წაგრძელება, მოდული 200%-იანი წაგრძელებისას) ორი წლის განმავლობაში უმნიშვნელოდ იცვლებოდა (10-20%-ით). ამ დროს მოსალოდნელია იმპლანტაციის მასის ზრდა 0,9%-ით მოსაზღვრე ქსოვილებიდან ლიპიდების შთანთქმის ხარჯზე. ფოსფოლიპიდები და პროტეინები რეზინში არ აღმოჩნდა [20]. დადგინდა პირდაპირი დამოკიდებულება ორგანიზმში სილოქსანური იმპლანტაციის შეყვანის დროის ხანგრძლივობასა და ლიპიდების შთანთქმას შორის [21, 22].

სილოქსანური ბურთულოვანი გულის სარქეელების დინამიკური მოდული არ შეიცვალა ცოცხალ ორგანიზმში მათი შეყვანიდან 8 წლის განმავლობაში. ლიპიდების შთანთქმის შედეგად შეიცვალა მხოლოდ რეზინის ფერი [23]. მწარმოებელი უირმების მონაცემებით სილოქსანური ბურთულების დაზიანება აორტულ პროთეზებში შეადგენს 1,5%-ს, ხოლო მიტრალურში – 0,5%. იმპლანტაციის შემდეგ მოსალოდნელია როგორც გაზრდა, ასევე ბურთულების მასის შემცირება. მასალაში, რომელშიც გამოყენებული იქნა ბურთულა აღმოჩნდილი იქნა ამინომჟავა და მცირე რაოდენობა შეუძრავი პოლიმერი. ასე მაგალითად, შეინიშნება, რომ არაშევსებული პოლიდიმეთილსილოქსანური ვულკანიზაციი იმპლანტაციისას იწვევს მოსაზღვრე ქსოვილების ნაკლებ გადიზნანებას, ვიდრე შეესებული ვულკანიზაციი [16].

შემავსებლის გამოყენების გარეშე სილოქსანური ელასტომერების სიმტკიცის გაზრდა შესაძლებელია ბლოკური ან დამყნილი სტრუქტურის მაკრომოლექულების სინთეზის

გზით, რომლებიც მოქნილ სილოქსანურ ბლოკებთან ერთად შეიცავს ორგანულ პოლიმერულ ჯაჭვებს.

დამყნილი პოლიმერები წარმოიქმნება დაბალმოლეკულურ სილიციუმორგანულ კაუჩუკებზე, რომლებიც შეიცავს ვინილურ ჯგუფებს სილიციუმის ატომთან, უჯერი მონომერ-რების – სტიროლის, ალკილმეტაპრილატის, ვინილაცეტატის და სხვათა მოქმედებით თავისუფალი რადიკალური ინიციატორების მონაწილეობით [28]:



დამყნილი თანაპოლიმერების უულკანიზატებს, გამყარების კიდურა პოლისილოქსანის სილანოლური ჯგუფებით, გამაძლიერებლის შეყვანის გარეშე აქვს ფიზიკურ-მექანიკური თვისებები, რომლებიც არ ჩამოუვარდება, რიგ შეთხევებში, აღემატება კიდეც მონაცემებით ცივად გამყარებულ შევსებულ კომპოზიციებს.

პიდროფობური სილოქსანური მოლეკულის პიდროფილური მონომერით, მაგალითად, N-ვინილ-პიროლიდონით, აკ-

რილამიდით, 2-პიდროქსიეთილმეტაკრილატით დამყნისას წარმოიქმნება მასალები, რომელსაც აქვს მაღალი პიდროფილური სიმტკიცე [29].

მოქნილ პოლიდიმეთილსილოქსანს აქვს შედარებით მაღალი ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლები, ვიდრე სილოქსანურ რეზინებს [30] (ცხრილი 5).

პოლიარილატპოლისილოქსანურ ბლოკ-თანაპოლიმერებს, მიუხედავად აგებულების ხასიათისა, აქვთ მკვეთრად გამოხატული მიკროჰეტეროგენური სტრუქტურა. პოლიმერის მექანიკური თვისებები შეიძლება ვცვალოთ ბლოკის მოლეკულურ მასასთან დამოკიდებულებით (ცხრილი 10).

ცხრილი 10


პოლიარილატპოლისილოქსანური ბლოკ-თანაპოლიმერის მექანიკური თვისებები

ბლოკის ზომა		მექანიკური თვისებები					
		200°C			200°C		
x	y	სიმტკიცე გაწყვეტა- ზე, კბ/ს/ს ²	ფარდობი- თი წაგრ- ძელება, %	ნარჩენი წაგრძე- ლება, %	იმტკიცე გაწყვე- ტაზე, კბ/ს/ს ²	ფარდო- ბითი წაგრძე- ლება, %	ნარჩენი წაგრძე- ლება, %
10	20-40	400-300	30-80	20-40	200-150	80-100	10-30
10	80-100	250-150	120-220	30-40	120-100	150-250	5-10
10	180- 200	80-120	200-250	10-20	10-20	200-300	2-3

სილოქსანური თანაპოლიმერები, რომლებიც შეიცავს მოუქნელ ბლოკებს (პოლიკარბონატული, პოლისულფონური, პოლიარილატური, პოლიფენილოქსიდური), ინარჩუნებს მაღალ მექანიკურ მაჩვენებლებს მოუქნელი ბლოკის დაშლის ტემპერატურამდე.

ასეთი რეგულარული აღნაგობის ბლოკ-თანაპოლიმერები პომოპოლიმერების მინარევების გარეშე შეიძლება სინთე-

ზირებული იქნას პეტეროფუნქციონალური პოლიკონდენსაციით შემდეგი სქემით:



სადაც A და B მოუქნელი არასილოქსანური ბლოკის რგოლია (პოლისულფონი, პოლიარილატი და სხვ); a და b – მოუქნელი და მოქნილი ბლოკების რგოლებია, შესაბამისად; – R, R', R'' – ორგანული რადიკალია.

ბლოკ-თანაპოლიმერები მონაცელე დიორგანოსილოქსანური ბლოკებით ხასიათდება სხვადასხვა ბუნებით, მაგალითად დიფენილოსილოქსანდიმეთილოსილოქსანურს ღებულობენ სხვადასხვა პექტინორგანოციკლოტრისილოქსანების თანმიმდევრული პოლიმერიზაციით არაწონასწორული პროცესის კატალიზატორების თანაობისას (კერძოდ – სილოქსანოლიატი [31]).

ABA ტიპის სამბლოური თანაპოლიმერი, სადაც A – პოლისილოქსანური ბლოკია, B – პოლისტიროლური, შეიძლება სინთეზირებული იქნას დილითიპოლისტიროლით ციკლოსილოქსანების პოლიმერიზაციისას [32].

ბლოკ-თანაპოლიმერების აირშედწევადობა განისაზღვრება მხოლოდ სილოქსანური კომპონენტების შემცველობით და პრაქტიკულად არ არის დამოკიდებული ორგანული ბლოკის ბუნებაზე. ის იზრდება სილოქსანური ბლოკის გაზრდით და შეიძლება შეადგენდეს პოლიდიმეთილსილოქსანის აირშედწევადობის 80%-ს.

მაღალი ფიზიკურ-მექანიკურ მახასიათებლები აქვთ აგრეთვე ფირებს, რომლებიც მიიღება პოლიფუნქციონალური სილოქსანური ფისებისა და მცირე რაოდენობა უჯერი ჯგუ-


ფის შემცველი მაღალმოლექულური სილოქსანური კაუჩუკის გახსნის მეთოდით [34].

ზემოთ აღწერილი ყველა მასალიდან, რომლებიც სილოქსანურ რგოლს შეიცავს, შედარებით მტკიცე და პემოთავსებადს წარმოადგნას საფეხი მასალა ავკოტინ-51 ან კარდიოტიან-51. ეს თანაპოლიმერები მაღალმოლექულური სეგმენტირებული პოლიურეთანები (90% მას.) და დაბალმოლექულური განტორვილი პოლიდიმეთილსილოქსანებია (10%). ავკოტინი წარმოიქმნება ამინის ჯგუფის შემცველი ურეთანის და აცეტოქსი ჯგუფის მქონე სილოქსანის ურთიერთქმედებით; ინახება 12,5%-იანი ტეტრაჰიდროფურანის და დიოქსანის ხსნარში, რომლებიც აღებულია 2:1 თანაფარდობით [35]. ფირების ჩამოსხმისას და გამხსნელის აორთქლებისას პაერზე ტენის მოქმედებით მიმდინარეობს Si-N ბმის გაწყვეტა და მტკიცე სტრუქტურის წარმოქმნა „ბადე ბადეში“, მაღალმოლექულური სწორხაზობრივი პოლიურეთანის მოლექულისა და სივრცითი სილოქსანური კომპონენტების ბადისა, რომელიც მცირე სახით განაწილებულია ურეთანის მატრიცაში. ფირების სიმტკიცე 400-500 კგ/სმ² ფარდობითი წაგრძელებისას 100% [35].

მასალის პემოშეთავსებადობა დაფუძნებულია ზედაპირის მოლექულურ სტრუქტურაზე და მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფირების დამზადების მეთოდზე ხსნარის ერთი და იგივე კონცენტრაციის შემთხვევაში. ფირის ზედაპირის მოლექულური სტრუქტურა, გამხსნელის აორთქლების სიჩქარესთან დამოკიდებულებით პაერზე, სხვადასხვა ხარისხით მდიდრდება სილოქსანური კომპონენტებით, რასაც მივყავართ თრომბორეზისტენტობის გაზრდასთან [35].

პოლისილოქსანების გამოყენება მედიცინაში. სილოქსანური რეზინების პირველი გამოყენება მედიცინაში 1948 წელს მოხდა, როდესაც გამოქვეყნდა ამ მასალის ტოქსიკოლოგია [36]. 1950 წელს სილოქსანური მილი გამოყენებული იქნა ურეტრის კათეტერის სახით [37], ხოლო 1955 წელს პირველად იქნა გამოყენებული სილოქსანური შუნგი პიდროცეფალიის სამკურნალოდ [18]. მომდევნო სამი ათწლეულის განმავლობაში თანდათან გაიზარდა მოცულობა და გაფართოვდა სილოქსანური ელასტომერული მასალების გამოყენების სფერო, განსაკუთრებით ენდოპროთეზირებაში. ეს სრულიად კანონზომიერი პროცესია, ეინაიდან ხელოვნური ორგანობის და სხვადასხვა იმპლანტირებული მოწყობილობების შექმნა ყველაზე მეტად აუცილებელია, აქტუალურია და სწრაფად კითარდება მედიცინის განვითარებასთან ერთად. ამერიკელი სპეციალისტების შეფასებით ამ პროდუქტების რეალიზაციის მოცულობა მსოფლიოს განვითარებულ ქაშნებში 3-4 მილიარდ დოლარს შეადგენს წელიწადში [38]. დღეს მსოფლიოში ყოველწლიურად კეთდება მილიონი ოპერაცია სილოქსანური პროთეზების გამოყენებით და ფაქტიურად არ არსებობს ადამიანის სხეულის არც ერთი ნაწილი, რომელიც პოლისილოქსანური პროთეზით იმპლანტირებული არ იყოს. გარდა ამისა, სილოქსანური პოლიმერები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა დაავადების დიაგნოსტიკისა და მკურნალობის, სხვადასხვა ტექნიკური მოწყობილობის, დიალიზატორების, ხელოვნური სისხლის მიმოქცევის აპარატების, სისხლის ფილტრაციისა და გადასხმის, ოქსიგენატორების მემბრანების, ელექტროკარდიოსტიმულატორების იზოლაციის, შპრიცების, დეტალების, სხვადასხვა დრენაჟის, პე-

რენტალური კვების მიღების, შუნტების, კათეტერების, სისხლშემცვლელების და სხვათა დასამზადებლად..




ენდოპროტეზები სილოქსანური სახეევი კათეტერი პოლისილოქსანების ბაზაზე დამზადებული ნაკეთობები მაღალი თერმული, პიდროლიზური და პოლიმერული ფუძის ქიმიური მდგრადობით პრაქტიკულად შეიძლება სტერილიზაცია მედიცინაში გამოყენებული თითქმის ყველა მეთოდით: მშრალი ჰაერით 180° C-ზე; ავტოკლავში $120-130^{\circ}$ C-ზე ცხელი ორთქლით; γ-გამოსხივებით 2,5 M რად. დოზით; წყალში ხანგრძლივი დუღებით; ეთილენის ოქსიდის ან ფორმალდეჰიდის წყალხსნარით დამუშავებისას.

შედარებით დაწვრილებით პოლისილოქსანების გამოყენების სფეროების განხილვა მოცემულია ქვემოთ.

პოლისილოქსანების გამოყენება გულ-სისხლძარღვთა ქირურგიაში. სილოქსანური პოლიმერების გამოყენება მნიშვნელოვანია გულის სარქველის პროთეზირებაში. გულის სარქველების წარმატებული პროთეზირება დაიწყო 60-იან წლებში. 1980 წლამდე გამოჩნდა დაახლოებით სარქველის 50-ზე მეტი მოდელი, მაგრამ მათგან ბევრი შემდგომში უარყოფილი იქნა. დროის გამოცდას გაუძლო გაუმჯობესებულმა პროთეზებმა, როგორიც იყო ბურთულოვანი სილოქსანური მოწყობილობა და დისკური სილოქსანური პროთეზები, რომლებიც იმპლანტირებული იქნა თითქმის 100 000-ჯერ.



გულის სარქველის
პროთეზი



სარქველების მექანიკუ-
რი პროთეზები



შიგააორტალური
ბალონი

ბურთულოვან მოდელებს, რომლებიც გულის სარქველუ-
ბის პროთეზირებისას გამოიყენება, აქვს განსხვავებული
კონფიგურაცია, თითოეული სარქველის ანატომიური აგებუ-
ლების შესაბამისად. ყველაზე წარმატებულად ითვლება
მიტრალური სარქველის პროთეზირება (5 წლამდე ვადით).

სილოქსანური რეზინა, გაძლიერებული დაკრონის ბა-
დით, წარმატებით გამოიყენება ქირურგების მიერ გულის
ოპერაციების შემდეგ პერიკარდის დეფექტის დასახურად. 5
თვის შემდეგ სილოქსანური დანაფარის შეხორცების შემ-
დეგ წარმოიქმნება გლუვი ფიბრიზული ქსოვილი ეპიკარდი-
უმზე ფიბრინის თხელი ფენით [39].

ინფარქტისას გულის დროებითი დახმარებისას და გუ-
ლის მძაფრი უკმარისობისას რეკომენდირებულია გამოყენე-
ბული იქნას შიგააორტალური ბალონები, რომლებიც დამზა-
დებულია პერიშეთავსებადი პოლიურეთანსილოქსანური თა-
ნაპოლიმერით ავეოტანით (ანუ კარდიოტანი-51). ასეთი დასა-
ბერი ბალონების გამოყენება სისხლის ექსტრაკორპორალუ-
რი მიმოქცევისას განისაზღვრება 1-15 დღემდე [35,40].

სისხლძარღვების სელექტიური გაწმენდა შეიძლება
განვიხილოთ, როგორც დამატებითი მკურნალობის მეთოდი
ზოგიერთი ზუსტად ლოკალიზებული ახალწარმოქმნილი
ბარღვებით [40-47].

ძარღვები იცხება სპეციალური ფეროსილიციუმორგანული პრეპარატით, რომელიც თხევად მდგომარეობაში შეიყვანება ანგიოგრაფიული კათეტერით და მაგნიტური მოწყობილობის საშუალებით მაგრდება საჭირო ადგილას [48].

ფერომაგნიტური სილიციუმორგანული მიკროსფეროს საშუალებით მკურნალობის ანალოგიური მეთოდიკა ითვლება პერსპექტიულ მეთოდად უროლოგიური სიმსიგნების, რენალური პეპერტონიის და სხვა დაავადების დროს. მიკროსფერო ინექციისათვის საჭიროებს 2,5 მლ-ს და 2,5 წუთს [43].

ტეინის არტერიის ემბოლიზირებელ მასალად ტეინის სიმსივნის დროს, ძალლებზე და 16 პაციენტზე გამოცდილი იქნა სილოქსანი. ანგიოგრამაში 9 თვის შემდეგ აჩვენა, რომ სიმსივნემ ზრდა შეაჩერა და კიდეც შემცირდა [50].

სელექციური ემბოლიზაციისას აუცილებელია, რომ ამოვსების პროცესი მიმდინარეობდეს თანაბრად, განსაკუთრებით, თუ საქმე გვაქვს დისტალურ ძარღვებთან. ყველაზე კარგად ეს მიიღწევა თხევადი, ცივად გამყარებული სილიციუმორგანული კომპოზიციით [51].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება ორთოპედიაში, ორთოპედიული მოწყობილობები – ხელოვნური სახსრები, კავშირები, მყესები და სხვა, შეადგენენ იმპლანტანტების ჯგუფს, რომელსაც გამოყენების მიხედვით, მეორე ადგილი უკავია გულის მოწყობილობების მზა პროდუქციის შემდეგ [38].

მყარი სილოქსანური რეზინიდან მიღებული იმპლანტატი სახსრის პლასტიკა გათვლილია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მოიცავს ხელებისა და ფეხების თითების წერილი სახსრების, კერძოდ, სახსრის შეცვლას ძვალსა და ფალანგას შორის [52], ხელისგულის ძვლის და მტევნის [54-59],

იდაყვის ძვლის, მუხლის სახსრის, ხელისა და ფეხის თითის და ა.შ.



სილოქსანური ფირფიტები, ბურთულისმაგვარი გამაფართოვებლები, გამჭიმავები გამოიყენება ართოზით დაზიანებული ხელის ძვლის არტროპლასტიკაში. აღსანიშნავია, რომ პაციენტებს, ასეთი პროთეზირებისას 90%-ით უმცირდებათ ტკივილი და ხელში ემატებათ ძალა. მხოლოდ მტევნის მოძრაობის დიაპაზონი რჩება შემცირებული [60].

ოპერაციის დროს სილოქსანური კაუჩუკის ბლოკიდან სკალპელის დახმარებით ძვლის ზომის შესაფერისი პროთეზის საშუალებით მიმდინარეობს ნახევარმოვარის ძვლის პროთეზირება [59, 60].

ყველაზე დიდი გამოყენება პპოვეს სვანსონის ორთოპედიულმა მოდელებმა, რომელთა პირველი ვარიანტი გამოჩნდა 1962 წელს [59,61]. არსებობს აგრეთვე ცნობები სხვა მოდელებზეც, მაგალითად, ბურთულწარმომქმნელ გამფართოვბელზე ხელის დიდი თითის პროთეზირებისათვის, ე.წ. ხელაკის მოდელზე [62].



ორთოპედიული იმპლანტანტების ერთ-ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს გარეცხვისას ზედაპირიდან შეწოვა, რაც იწვევს პროთეზის დაშლას და შემდგომ მის გაბრევას ორგანიზმში. ასეთი საფრთხე მით მეტია, რაც უფრო წვრილია სახსარი, რომლის პროთეზირებაც ხდება, როდესაც მასზე დატვირთვა დიდი არ არის [54].

სილოქსანური ელასტომერების ბაზაზე შემუშავებული იქნა გაჭიმვის მიმართ მტკიცე მასალის ტექნოლოგია. გამოჩნდა ახალი, შედარებით გამძლე და საიმედო პროთეზული მასალა ფირმა Dow Corning (Silastic Condylar Implants HP)-გან [56].

არსებობს ცნობები იმის შესახებ, რომ სილოქსანური რეზინიდან შექმნილია იმპლანტანტები, თითების მოქნილი ბურთულოვანი თანაწევრები, რომელიც უძლებს წინააღმდეგობას გაწყვეტაზე – 54 კგ/სმ²-ს [63].

სილოქსანური იმპლანტანტები გამოიყენება დაზიანებული მუხლის სახსრის [64], დეფორმირებული ტერფის სახსრის [65], ფეხის ტერფისა და თითების ნაჭრილობების [66] მზევნის გულების [67] იმპლანტაციისათვის.

საყოველთაოდ ცნობილია დაზიანებული ხელის მტევანზე თითების მოსახრელი მყესების მკურნალობა. ამ დროს, როდესაც შეუძლებელია მყესის შეკერვა ან გადანერგვა, პრაქტიკულია მყესის ბუდის ორსტადიანი აღდგენა. სილოქსანური ჩანერგვით და 6-8 თვის შემდეგ მისი ამოღებით ბუ-

დე აღდგება ლეროს გასწვრივ წარმოქმნილი ფიბროზული კაპსულებით, რომლის შემადგენლობა თითქმის არ განსხვავდება ბუნებრივი მყენის ბუდის ქსოვილისაგან. ამ კაპსულაში [1,68] არხი ხორცულება მყენის აუტოტრანსპლანტაცით. აღნიშნული მეთოდიკა კარგად არის დანერგილი ქ. ბრნოში, პრაეტრიკული ქირურგიის ქლინიკაში. დადგენილია, რომ დროებითი სილოქსანური პროთეზების გამოყენება, აუმჯობესების მყენების გადანერგვას 25-50%-ით [69].

სილოქსანური ლეროს ჩანერგვა როგორც დროებითი საშუალება, იძლევა საშუალებას ასევე შენარჩუნებული იქნას მყენების მოძრაობა სამხედრო მოქმედებების დროს სწრაფი სამედიცინო დახმარების შემთხვევაში, როდესაც ხელის ნაწილი მეტად დაზიანებულია ტყვით [70].

მყენების აღდგენის ქირურგიაში გამოცდას გადის აგრეთვე სილოქსანური ზეთი – Medical Fluid 360 და Silol 350, რომლითაც იფარება დაზიანებული ადგილი, შემდეგ იკერტბა მყენი, რათა არ დაზიანდეს მის გარშემო ქსოვილები [71].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება რბილი ქსოვილების პლასტიკაში და აღდგენით ქირურგიაში. თავდაპირველად აღდგენით ქირურგიაში, განსაკუთრებით კოსმეტიკური მიზნით, ფართოდ გამოიყენეს თხევადი სილოქსანური პოლიმერის ინექცია: სახის [72], ძუძუს [73], საკერცხის [74] და სხეა არეში [75]. მოგვიანებით ქირურგების დიდი ნაწილი იყენებს მხოლოდ გელის და რეზინის სილოქსანურ პროთეზებს. 1963 წელს ფირმა Dow Coming Corp-მ დაიწყო სახის რბილი ადგილების გელის პროთეზების გამოშეება [76].

ყველაზე მეტად პოპულარულია მერდის აღდგენითი ქირურგია. აშშ-ში ყოველწლიურად მზადდება თითქმის 125 000-მდე მკერდის იმპლანტაცი 100-550 სმ² ზომით [77].

ცნობილია მკერდის ჯირკვლის სილოქსანური პროთეზების სტანდარტული ვარიანტები, რომელიც წარმოადგენს 100-150 მმ სისქის სილოქსანური რეზინის სფეროს, რომელიც ავსებულია ფიზიოლოგიური ხსნარით ან სილოქსანური გელით, რომელიც არ შეიძლება ჩაითვალოს ოპტიმალურად [6]. ასეთ ვარიანტებს წარმოადგენს მკერდის ჯირკვლის პროთეზები, რომელიც დამზადებულია სილოქსანური გელიდან, რომელიც დაფარულია პოლიურეთანის ფენით [80]. გაბერილი პროთეზები, რომლებმაც ვერ ნახეს ფართო გამოყენება კერძო შემთხვევაში დაზიანებისა და პაერის შესვლის გამო, გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ შემთხვევაში, კერძოდ მკერდის ჯირკვლის ასიმეტრიის შემთხვევაში [81]. არსებობს აგრეთვე პროთეზები ორმაგი სფეროთი.



პროთეზები ორმაგი სფეროთი

ქვედა ნაწილში იმყოფება მარილმჟავას ხსნარი და პრედნიზოლონის ან კორტიზონის ტიპის პრეპარატი [82].

მკერდის ჯირკვლის ფორმის აღსაღენად ქირურგიაში რიგ შემთხვევაში მიღიან ფიბროზული კაპსულების გამოყენებაზე გადასახერგ სილოქსანურ იმპლანტაციებში. სქელი კაპსულის წარმოქმნის შემდეგ იმპლანტაციებს ამოიღებენ.

ლიტერატურაში აღწერილია სილოქსანური რეზინის ნაჭრების გამოყენება თიაქარის ნახევრების დასაფარად. 8

დღის განმავლობაში თანმიმდევრულად მცირდება შეკერილი ადგილის დიამეტრი, ხოლო 16 დღის შემდეგ ცილდება მას. ნაწილურის ირგვლივ წარმოქმნილი ფიბონაციური ფსევდომემბრანა ხელს უწყობს კუნთის გამაგრებას. 6 წლის განმავლობაში პაციენტებზე დაკავირვებამ აჩვენა, რომ კედლების დარღვევა არ აღინიშნებოდა [84].

აღწერილია აგრეთვე დიაფრაგმალური თიაქარის შეურნალობის ორიგინალური მეთოდიკა ახლადდაბადებულ ბაჭშებში [85, 86].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება კუჭ-ნაწლაფური ტრაქტის, ძუძხებებისა ჯირკვალისა და სანაღვლე მილების მშერნალობისას. საჭმლის ხელოვნური მომნელებლის პირველი ვარიანტი შემუშავებული იქნა იაპონიაში და დამზადებული იქნა ნატურალური კაუჩუკის ლატექსიდან. მაგრამ მისი უარყოფითი მხარე იყო უმდგრადობა კუჭის წვენის მოქმედებისას, ამიტომ ეს მასალა უარყოფილი იქნა. სილოქსანური რეზინის გამოყენება წარმატებული ვარიანტი იყო საჭმლის ხელოვნური მომნელებლისა; ის დაფუძნებული იყო მომნელებლის მაღალ ქიმიურ მდგრადობაზე მარილმჟავას მოქმედების მიმართ. კუჭის წვენის ყველაზე აქტიურ კომპონენტთან [87], ხოლო კუჭის წყლულის მუშრნალობის ცდა კი არის გაყინვის მეთოდი მოწყობილობის საშუალებით, რომელიც დამზადებულია სილოქსანური რეზინიდან [88].

გამოქვეყნებულია აგრეთვე შრომები საყლაპავი მილის წყლულოვანი გასტრიტის და თიაქარის სპეციალური პროთეზის შესახებ, რომელიც ავსებებულია სილოქსანური გელით [89]. პროთეზის აქვს რგოლის ფორმა, დამზადებულია სილოქსანური რეზინიდან და საყლაპავს გარშემო ეფინება. ასეთი პროთეზის მასა არის 45 გ. შიგა დიამეტრი 2,5-3,1 სმ,

გარე – 6-7 სმ. პაციენტებზე დაკვირვებამ აჩვენა დამაკმაყოფილებელი შედეგები [90, 91].

ზემოთ ნაჩვენები იყო, რომ ქრონიკული პანკრეატიტის მცურნალობა შეიძლება სილიციუმორგანული კომპოზიციის – პანკრეასილის გამოყენებით. კუჭქეშა ჯირკვლის სადინარების პლომბირება აქრობს ავადმყოფობის სინდრომს ოპერაციიდან ერთი დღე-დამის შემდეგ. ენდოკრინული დარღვევები არ შეინიშნება [90].

ძაღლებზე გამოკვლევამ აჩვენა, რომ საერთო სანალელე არხში სილოქსანური რეზინის დიდხანს ყოფნისას მასზე არ გამოიყოფა სანალელე მარილების არასასურველი გამონაყოფი. ეს იძლევა სილოქსანური რეზინის საფუძველზე დამზადებული შუნტებისა და დრენაჟის მიღების გამოყენების საშუალებას [18].

დადებითი შედეგებია აგრეთვე მიღებული კუჭის რეკონსტრუქციისას სილოქსანური პროთეზებით [92].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება უროლოგიასა და გინეკოლოგიაში. სილოქსანური რეზინის პროთეზები ფართოდ გამოიყენება უროლოგიაში შარდსაწვეთების და შარდმდენების ხანგრძლივი დრენაჟირებისათვის. პაციენტების უმრავლესობას აღნიშნა თირკმელის ნორმალური მოქმედება [18, 93-95].

სილოქსანური რეზინები გამოიყენება აგრეთვე მამაკაცის სასქესო ორგანოს ერაქტიული იმპოტენციის [96] და შარდის ბუშტის შეუკავებლობის დროს მამაკაცის საკეერცხის პროთეზისათვის [99].

გინეკოლოგიაში პოლისილოქსანები პოულობენ გამოყენებას ორსულობის დასაღვენად [100].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება ნეიროქირურგიაში. ერთ-ერთი პირველი იმპლანტირებული მოწყობილობა

თავის ტეინის ნათხემის სამკურნალოდ, იყო შუნტი ზურგის ტვინის სითხის დრენაჟისათვის ტვინიდან სისხლისმიმომ-ქცევ სისტემი, დამუშავებული იყო ჯენომი ხოლტერის მი-ერ 1955 წელს და შესრულებული იყო ფირმა Dow Corning-ის მიერ [101].

1971 წელს პიდროკეფალური მოწყობილობის იმპლანტაცინტების რიცხვი 300 000 მიაღწია. დიდი ხნის იმპლანტაციისას (თოთქმის 10 წელი) ტვინისა და ძვლის ქსოვილების კონტაქტისას ასეთი შუნტები ინარჩუნებდნენ მილების ელასტიურობას. ქსოვილების ეროზია იყო მიზიმალური, ხოლო პაციენტი ინარჩუნებდა მოძრაობის უნარს [1].

არსებობს ცნობები სილოქსანური პროთესების გამოყენების შესახებ ნეიროოპერაციებში, რომელიც დაკავშირებულია კეფის ტრავმასთან [102].

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება ყბა-სახის ქორურგიასა და სტომატოლოგიაში. სასურველი ზომისა და ფორმის პროთესების დამზადების შეთოვდიკის სიმარტივე საშუალებას იძლევა შეიქმნას როგორც ინდივიდუალური [7, 103], ისე სერიული იმპლანტაციები სახის კონტურის დეფექტების შესავსებად [7]. ასეთი მეთოდით ხდება ტრავმებისა და ჭირლობების შედეგად დაზიანებული სახის ძვლების აღდგენა [1, 104], სწორდება შუბლისა და კეფის დეფექტები, თვალის ორბიტალის ფორმა, ყურის დეფექტები [105]. შემუშავებულია სტანდარტული იმპლანტაციები, რომლებიც შედგება სხვადასხვა დანიშნულების 12 კომპონენტისაგან. ქვედა ყბის გასასწორებლად ერთმხრივი და ორმხრივი მიკროგენის დროს, კეფის ქვედა ნაწილის დეფორმაციის გასასწორებლად, ცხვირის დეფორმაციის გასასწორებლად და ა.შ. ამავე ნაკრებში შედის იმპლანტაციების სამი ბლოკი მოდუ-

ლირებისათვის ჩონჩხისა და ობილი ქსოვილების არატიპიური დეფექტების კორექციისას [106].

წარმატებით გამოიყენება სილასტიკი MDx4-4516. ქვედაყბის პროთეზების დასამზადებლად [107].

ფირმა Dow Coming უშვებს ნიკაპის სტანდარტიზირებულ პროთეზებს, რომელთა ჩანერგვა კარგ კოსმეტიკურ შედეგს იძლევა [1].


აღწერილია [108] აგრეთვე პოლიდიმეთილსილოქსანური ელასტომერის გამოყენება ობტურაციული პროთეზებისათვის ზედა ყბის დეფექტების დროს, იმპლანტაციების დასამზადებლად ქვედა ყბის ასიმეტრიის შემთხვევაში [109, 110].

სილოქსანური ვულკანიზაციები ცივი გამყარებისათვის გამოიყენება ისეთი პროთეზების დასამზადებლად, რომლითაც კომპენსირდება სახის კონტურის დეფექტები [111].

თხევადი სილიციუმორგანული კომპოზიცია ცივი გამყარებისას გამოიყენება რომბერგის (ნახევრი სახის ატროფიის დროს) სამკურნალოდ, ხოლო თხევადი კომპოზიცია – ელასტოპონი გამოიყენება ყბის დიდი ძვლის ამოღების ოპერაციის შემდეგ ღრუს ამოსავსებად, რათა მოხდეს ნაოპერაციებ ადგილას შიგა ქსოვილის ფორმის კორექცია [8].

ზედა ტუჩის არეში სახის ნაოჭების კოსმეტიკისათვის, აგრეთვე თვალის ბუდეებთან ნაოჭების გასასაწორებლად, კანქეშა ინექციისათვის გამოიყენება თხევადი სილოქსანი [112].

პოლისილოქსანები ფართოდ გამოიყენება სტამატოლოგიაში ანაბეჭდისა და დასაპლომბი მასაღებისათვის, ჩასასმელი პროთეზების, კბილის პროთეზების ბჯენების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების სამკურნალოდ, კბილების დასამაგრებლად, კბილის ღრუს ამოსავსებად [113-118].



ადჰეზიური ხილური პროთეზი

სილოქსანური პოლიმერების გამოყენება ოტოლარინგოლოგიაში. ცნობილია, რომ ძაღლებზე და შემდეგ ადამიანებზე სილოქსანური რეზინიდან დამზადებული ფირფიტების ჩანერგვის ოპერაცია ცხვირ-შუბლის არეში გამფართოებლის როლს ასრულებდა [119].

ძგიდის ატროფიული რინიტი – ქრონიკული დაავადება, რომელსაც თან ახლავს ცხვირის ატროფია, რაც წარმატებით იქურნება სილოქსანური ფირფიტებით. 2-9 წლის პაციენტებზე დაკვირვებამ პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში [120] ასევე დაადასტურა სილოქსანური საფარის დადებითი როლი ყურის ბარაბანის არეში დეფექტებისას [121].

თხევადი სილიციუმორგანული კომპოზიციები გამოიყენება სმენის გასაუმჯობესებლად იმ ავადმყოფებში, რომელთაც დაზიანებული აქვთ ბარაბანის აფსე [8] და უცხო სხეულის მოსაცილებლად ყურიდან [122].

მოიპოვება ცნობები პოლიდიმეთილსილოქსანიდან აკრილის ფისებთან ერთად ენის პროთეზის დამზადების ცდებზე. წარმოქმნილი მოქნილი მასალა, რომელიც ტექსტურით ახლოს არის ნატურალურ ენასთან. ასეთი პროთეზი შეიძლება

გამოყენებული იქნას საკვების გადასატანად საჭმლის მომნელებელ სისტემაში, ის ხელს უწყობს ყლაპვას, განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს სუნთქვისათვის, მაგრამ ვერ უზრუნველყოფს კარგ მეტყველებას და ჯერჯერობით არ არის სრულყოფილი [123].

სილოქსანური რეზინები გამოიყენება აგრეთვე ხორხისა და ხახის პროთეზების დასამზადებლად [124, 125].

ოტოლარინგოლოგიურ პროთეზებს მიეკუთვნება აგრეთვე ხელოვნური ყური, რომლის ქვედა ფენა მზადდება სამედიცინო ადგეზივიდან – A ტიპის სილასტიკიდან [1, 104]. აღწერილია აგრეთვე ყურის ნიჟარის დამზადება და გამოყენება ოპერაციის შემდეგ პროთეზირებისათვის, რომელიც მზადდება სილასტიკ 386-დან ცივი გამყარებით. გამყარების შემდეგ პროთეზი იმეორებს იმავე ყურის კონტურს და საქმაოდ ელასტიკურია. ასეთი პროთეზის შიგა მხარე იფარება საეციალური მაღამოთი, რათა არ მოხდეს კანის გაღიზიანება [126].

პოლისილოქსანების გამოყენება ოფთალმოლოგიაში. ოფთალმოლოგიაში გამოიყენება პპოვა არა მარტო სუფთა სილოქსანურმა კაუჩუკებმა (ძირითადად დაბალმოლეკულურმა), არამედ მათ საფუძველზე მიღებულმა ვულკანიზატებმა.

თხევადი სილოქსანური პოლიმერების დახმარებით შესაძლებელია თვალის მკურნალობა, მხედველობის აღდგენა კონიუნქტივიტის დროს [128]. ცივი გამყარების სილიციუმორგანული კომპოზიცია გამოიყენება თვალის გუგის ფორმირებისათვის, საიდანაც ამოიღება თვალის ვაშლი, რის შემდეგაც იღგმება ხელოვნური თვალი [127], გამოიყენება აგრეთვე საცრემლე დრენაჟული სისტემის [129, 130] აღსაღენად. თვალის ბადურას დაშლისას მკურნალობის დროს გამოიყენება


საეციალური მყარი ღრუბლის მაგვარი სილოქსანური რეზინი [131].




ხელოვნური თვალი



ხელოვნური თვალი
უსინათლოებისათვის



კონტაქტური ლინზა



საეციალური კონტაქტური ლინზა

შედარებით წარმატებით გამოიყენება ღრუბლის სილოქსანური იმპლანტაციანტებით მკურნალობა [133, 134]. მათ შეიძლება პქონდეთ სხვადასხვა ფორმა. სილოქსანური რეზინის ფირფიტისა და დაკრონის ბადისაგან მიღებული მასალა წარმატებით გამოიყენება ავადმყოფებში [135, 136, 137].

თხევადი სილოქსანური რეზინიდან მზადდება საეციალური პლომბები, რომელიც იღგმება ხელოვნურად შექმნილ თვალის ბადურაში 7,5 მმ თვალის კაკლის ფიქსაციისათვის [138].

სილოქსანური რეზინები გამოიყენება გლაუკომის შემთხვევაში მინიატურული დრენაჟის მიღების დასამზადებლად. ასეთი მიღების მიმაგრება ხდება საეციალური სილოქსანური წებოს საშუალებით. როგორც ავტორები აღნიშ-

ნაერნ ყველა შემთხვევაში მიიღწევა თვალის შიგა წნევის ნორმალიზება [139].

კერატიტის ქირურგიული მკურნალობისას გამოიყენება მყარი სილოქსანური რეზინისაგან დამზადებული პროთეზები. პირველი ასეთი პროთეზი დამზადებული იქნა 1962 წელს. ამჟამად კერატოპროთეზების რამოდენიმე ვარიანტი არსებობს [140].

გარდა პროთეზებისა, სილოქსანური კაუზუკი გამოიყენება აგრეთვე კონტაქტური ლინზების დასამზადებლად. ცნობილია, რომ სათვალესთან შედარებით, ლინზა თავსდება უშუალოდ რქოვანაზე. თუ რქოვანა არ არის უზრუნველყოფილი საქმარისი რაოდენობის უანგბადით, ფერხდება მეტაბოლიზმი, რაც იწვევს პათოლოგიურ დარღვევებს თვითონ რქოვანაში [141].

აირშედწევად სილოქსანურ ლინზებს უშვებს მთელი რიგი მსხვილი ფირმები ამერიკაში, მათ შორის ფირმა Corning Ophthalmics. ამ ფირმაში ჯერ კიდევ 1983 წელს დამზადდა ხისტი ლინზა, რომელიც შედგება პოლისილოქსანისაგან, რომელსაც შეუძლია გაატაროს 55% პაერის უანგბადი [142].

ცნობილია აგრეთვე სერიული წარმოება მსუბუქი კონტაქტური ლინზებისა Silsoft, რომელიც უზრუნველყოფს უანგბადის კარგ გამტარებლობას და ამასთან, შესაძლებელია მათი მუდმივად ტარება [77].

არსებული მონაცემების მიხედვით, 1974 წელს კონტაქტური ლინზებს იყენებდა 10 მილიონი ადამიანი, 1982 წელს – 14 მილიონი, ხოლო დღეისათვის კი კონტაქტურ ლინზებს თითქმის 45 მილიონი ადამიანი იყენებს [143].

ბოლო დროს გამოჩნდა ცნობები სილოქსანური მასალისაგან დამზადებული ინტრაოკულარული ლინზების წარმა-

ტებული იმპლანტაციის შესახებ [144]. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მსუბუქი ლინზები გათვლილია ხანგრძლივი ტარებისათვის. ასეთი ლინზების გამოყენება შეიძლება გახდეს ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ოფთალმოლოგიაში, ვინაიდან კატარაქტით დაავადებული ავადმყოფების რიცხვი საკმაოდ დიდია [143].

პოლისილოქსანებისაგან დამზადებული შესახვევი შასალები. პოლისილოქსანების საფუძველზე შექმნილია პრინციპულად ახალი შესახვევი მასალები ჭრილობისა და დამწურობის სწრაფად სამკურნალოდ.

დამწურობის სამკურნალოდ შედარებით ეფექტურია აუტოპლასტიკის მეთოდით მკურნალობა, რაც დაკავშირებულია პაციენტის სერიოზულ მეორად ტრავმასთან. ადამიანის ან ღორის კონსერვირებული კანის გამოყენებას აქვს მთელი რიგი უარყოფითი მხარე. გარდა ამისა, ეს მასალები საკმაოდ ძვირია.

გადასახვევ მასალად გამოყენებულ სილოქსანებს შორის უნდა აღინიშნოს ბიობრანი და IP-758. ბიობრანი არის სილოქსანური რეზინიდან დამზადებული ელასტიკური მემბრანა, რომლის შიგნით არის ნეილონის ბაზე, ხოლო ქვედა მხარის ზედაპირი დამუშავებულია მაღალი ხარისხის აპით – კოლაგენის ფენით. ის შემუშავებული იქნა 1978 წელს ფირმა Hall-Wood roof. Inc.-ის მიერ (აშშ, ქ. სანტა-ანა, კალიფორნიის შტატი) [145-146].


ბიობრანი შეიძლება დარჩეს კანზე 50 დღის განმავლობაში. მისი დახმარებით იკურნება მესამე ხარისხის დამწურობა, როდესაც დაზიანებულია კანის საფარის 50-90%. ამ მასალის უარყოფითი მხარეა ის, რომ შეხორცების პროცესში წარმოიქმნება შედარებით უხეში ნაწილურები [147].

ბიობრანის ტიპთან ახლოს არის სინთეზური შესახვევი IP-768, რომელიც ასევე შედგება სილოქსანური მემბრანისა და ნეილონის ბადისაგან და გათვლილია დამწვარი ადგილების (39-118 სმ²) სამკურნალოდ. ასეთი ნახვევის გამოცვლა შეიძლება საშუალოდ სამი დღის შემდეგ [148].



პოლიმერული სახვევი

შესახვევი მასალები



წებოვანი სახვევი პოლიმერული სახვევი ხელსახოცები



შესაკერი მასალა

არაქსოვილური მასალა

1982 წელს გაჩნდა ცნობა სილოქსანური მასალის – ბიობრანის მოდიფიკაციის შესახებ. ახალ ვარიანტში სილოქსანური რეზინის ზედაპირისა და კოლაგენის მხარეს წარმოებს ცხოველის ეპიდერმიალური უჯრედების ჩათესვა, რომელებიც შემდეგ მრავლდება [149, 150].

ერთ-ერთ ახალ კომპოზიციურ გადასახვევ მასალას წარმოადგენს ორფენიანი მემბრანა, რომელიც შეიქმნა გრონიგენის (ნიდერლანდები) მიერ. ზედა, დამცავი ფენა – სი-

ლოქსანური რეზინის თხელი ფენაა, ხოლო ქვედა – პოლი-ლაქტიდისა და პოლიურეთანის ნარევი [151].

ნაწიბურები, რომელიც დამწვრობის შედეგად წარმოიქმნება, დამოკიდებულია დამწვრობის სიღრმეზე, გაურცელების ადგილზე და აგრეთვე პაციენტის ასაქზე. გარდა ეოსმეტიკური დისკომფორტისა, ისინი ქმნიან ორგანიზმის ზოგიერთი ფუნქციის დარღვევის საშიშროებას.

მრავალი წლის განმავლობაში იყო ცდები შეეჩერებინათ უხეში ნაწიბურების წარმოქმნა ნახვევის დაწოლით დაფენისას. ამჟამად დამუშავებულია ნაწიბურების მკურნალობის მეთოდიკა, რომლის მიხედვით, უკვე მორჩენილ დამწვარ ადგილას ეფინება სილოქსანური გელიდან (MD-3071) დამზადებული 10×10 სმ ზომის ფურცლები (დამზადებულია ფირმა Spenco Medical Corp.-ის მიერ).

ჭრილობის დაწეარებული მკურნალობა კანის გადანერგვის შემდეგ ხორციელდება სპეციალური მოქნილი, ელასტიკური ფორმით, რომელიც მზადდება სილასტიკ 382-დან, ზუსტად შესაბამისი შესახორცებელი კანის ნაჭრით [152, 153].

კარგი პლასტიკური ეფექტი მიიღწევა, როდესაც კანზე და ხელზე ღია ჭირლობას მკურნალობენ სილოქსანური ზე-თით [154].

სილოქსანური ფორმები მასალების თერაპიული გამოყენების მაღალ ეფექტურობაზე პირველი ცნობები გამოჩნდა 1975 წელს [155] და დაფუძნებულია სილოქსანური კაუზუპბის [156] ბაქტერიოციდულ მოქმედებაზე. პაციენტებზე დაკვირვებამ მკურნალობის პროცესში, შესაძლებელი გახადა გაეთებულიყო დასკვნა, რომ სილოქსანური მასალით მკურნალობა არის საუკეთესო საშუალება [157].

დამტკიცდა სილოქსიანური ფოროვანი მასალების საფუძ-
ნის უპირატესობა ძუძუს ჯირევალზე [158] და სწორნაწლავ-
ზე ოპერაციის შემდეგ ჭრილობის მკურნალობისას [159].

ცნობილია ფოროვანი მასალის (დორმა Dow Corning) გა-
მოყენების უპირატესობა ჭრილობის ღრმულების ამოსავსე-
ბად. ელასტომერზე კატალიზატორის დამატებით მიღებული
მასა შეიძლება ჩაისხას ჭრილობაში. ამ მეთოდით წარმატე-
ბით იკურნება ჭრილობები. სახვევი არ ეწებება სიხეულს, ის
შეიძლება დრო და დრო მოიხსნას და დამუშავდეს ანტისეპ-
ტიკური ხსნარით. ჭრილობის შეხორცების მიხედვით სახვე-
ვის ზომები შეიძლება შემცირდეს და 7-10 დღის შემდეგ სა-
ერთოდ მოიხსნას [160].

იგივე უენაწარმომქმნელი სიელასტიკით მკურნალობაზე
დაკეირვებამ აჩვენა ამ თხევადი მასალის გამოყენების უპი-
რატესობა. მასალა შეიძლება შენახული იქნეს სახლის პი-
რობებში და გამოყენელი იქნას ოთახის ტემპერატურაზე.
დაფუნის დრო შეიძლება ვარეგულიროთ ტემპერატურის ან
ნარევის კომპონენტების თანაფარდობის ცვლილებით [161].
სიელასტიკი გამოიყენება სინოგრაფიისათვის (ღრმა ჭრილო-
ბების ზომის და ფორმის ზუსტი რენტგენოგრაფიული გან-
საზღვრა) [162-164].

ქსოვილის ბაქტერიოლოგიურმა გამოკვლევამ სილოქსა-
ნური მასალის მოხსნის შემდეგ აჩვენა, რომ ასეთი სახვევე-
ბის გამოყენებით მიღწევა ჭრილობის ბაქტერიოლოგიური
დაბინძურების შემცირება [165].

სილოქსანური იმპლანტაციების გავლენა ორგანიზმზე.
სინთეზური მასალების გამოყენება მედიცინაში წარმოად-
გენს მნიშვნელოვან პრობლემას ბიოლოგიური შეთავსება-
დობის თვალსაზრისით.

ორთოპედიაში, გულის პლასტიკურ ქირურგიასა და ნეფროლოგიაში სილოქსანური კაუჩუკის აქტიური გამოყენება დაიწყო XX საუკუნის ბოლოს. ეწ. სვანის პროთეზების გამოჩენის შემდეგ აღდგენილი იქნა ათასობით თითის ძარღვი, რომელიც დაზიანებული იყო ტრავმით ან არტრიტით. ამჟამად სილოქსანური პროთეზები ფართო გამოყენებას პოულობენ ქირურგიის მთელ სფეროში, მაგრამ პირველი დამაიმედებელი შედეგების გამოქვეყნების შემდეგ ლიტერატურაში გამოჩნდა ცნობები იმ გართულებებზე, რომელიც თან ახლდა ასეთ პროთეზირებას. პირველადი ცნობები სილოქსანური კაუჩუკის ბიოინჰირტულობაზე სხვა მასალებთან შედარებით, თანდათანობით შეიცვალა. პოლისილოქსანების იმპლანტაციებად გამოყენების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ორგანიზმის რეაქცია, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორი სახით შეიტანება პოლიმერი ცოცხალქსოვილში: გაუმყარებელი დაბალმოლექულური პოლიმერის (ზეთის), გელის, თხევადი სილიციუმორგანული კომპოზიციის, რომელიც მყარდება იმპლანტაციისას, თუ სილოქსანური რეზინის სახით. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მასალის შევანის ადგილს და აგრეთვე მეზობელი ქსოვილების ბუნებას [166]. სილოქსანური რეზინიდან დამზადებული გულის სარქველების ბურთულების, აგრეთვე სისხლძარღვების პროთეზების მაგალითზე დამტკიცდა ურთიერთეავშირი იმპლანტაცის ჩანერგვის ადგილსა და მოსაზღვრე არეს შორის. დადგინდა, რომ ბურთულები საკმაოდ მაღალი ხარისხით აადსორბირებენ ლიპიდებს, ვიდრე ძარღვოვანი პროთეზები [167].

ქსოვილთავსებადი პოლიორგანოსილოქსანები. შესწავლილია სხვადასხვა მოდიფიკაციის პოლიორგანოსილოქსანები.

ბის გავლენა ორგანიზმზე ქსოვილშეთავსებადობის თვალ-საზრისით.

არ არსებობს მასალა, რომელიც ჩანერგვისას არ გამოიწვევს ორგანიზმის რეაქციას უცხო სხეულზე. სილოქსანური მასალების ჩანერგვას ზოგჯერ თან ახლავს ფიბროზული კაპსულის წარმოქმნა ჩანერგვის ადგილის ირგვლივ, რაც უმეტეს შემთხვევაში განიხილება, როგორც ორგანიზმის თავდაცვითი რეაქცია, რაც ზოგჯერ კარგიც არის, რადგან ის მიმართულია იზოლაციისა და უცხო სხეულის დაშლისაკენ [168].

ფიბროზული კაპსულის წარმოქმნა-ეთიოლოგია დღემდე არ არის გარკვეული. სხვადასხვა აეტორის მიერ წამოყენებული იქნა სხვადასხვა პიპოთეზა. საყოველთაოდ მიღებულია წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ფიბროზული წარმონაქმნები არის პროთეზის ღრუბლიდან ქსოვილში პოლიმერის ნაწილის შეღწევის მიზეზი, რაც იწევეს უჯრედის ფაგოციანტარულ რეაქციას [79].

სარძევე ჯირკვლის გადანერგვისას ქსოვილის კაპსულის ნიმუშის გელ-ქრომატოგრაფიულმა ანალიზმა აჩვენა, რომ სილოქსანის კონცენტრაცია ქსოვილში იყო 15-9800 მგ/გ. პოლიმერი ამ დროს იყო უცვლელ მდგომარეობაში. მეთილის ჯგუფების მოწყვეტა არ დაფიქსირებულა [169].

სილოქსანური პროთეზის შიგა მხრიდან და გარეთა ზედაპირზე წარმოქმნილ კაპსულებში აღმოჩენილი იქნა არა-ორგანული მარილები, აზოტიანი ნაერთები და ინერტული ნივთიერებები [170].

სილოქსანურ იმპლანტაცითან ახლოს მდებარე ნაწილებში ორგანული მასის ანალიზი მიუთითებს მის აქტიურ ფაგოციტოზე. ნათელია, რომ ასეთი შეტევისას მაკროფაგებს ხელს უწყობს ასევე იმუნური სისტემაც, რომლის მოქ-

მედებას მიეყავართ სილიკონოპროთეინური ანტიგენური კომპლექსის აღმოცენებასთან [79, 101] ფიბროზული კაპსულები ხშირად წარმოიქმნება აგრეთვე სილოქსანური რეზინის კათეტერების შევეანისას შიგა არეში [171].

კაპსულის წარმოქმნის პროცესი, ანუ ეწ. კონსტრუქციული ფიბროზი თუ დაიწყო, მუდმივად პროგრესირდება, რაც იწვევს ქსოვილების გაფართოებას და შემდგომ მის დეფორმაციას. პლასტიკურ და აღდგენით ქირურგიაში სილოქსანური პროთეზების გამოყენებისას, კაპსულის ფიბროზის შეჩერება ან შენელება ძირითადი პრობლემაა.

რაც მეტია იმპლანტატირებული მასალის ზედაპირის ფართობი, მით უფრო ფართოა ფიბროზული კაპსულა. ამ თვალსაზრისით, ოპტიმალურად შეიძლება ჩაითვალოს სილოქსანური რეზინიდან მიღებული მრგვალი ფორმის იმპლანტი [172, 173].

ორგანიზმის რეაქცია თხევადი პოლიორგანოსილოქსანების იმპლანტაციისას. პოლისილოქსანების კლინიკაში გამოყენების პირველ წლებში, იმპლანტაციისას, საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა თხევადი პოლიმერები (დიმეთილისილოქსანური დაბალმოლექულური პოლიმერები განაპირა სილანოლური ან ტრიმეთილისილოქსი ჯგუფებით). ამჟამად შეკრებილია ორგანიზმის მეცენარად უარყოფითი რეაქციის დამატებიცელი მრავალი მონაცემი, სილოქსანის შევეანისას, რომლის სტრუქტურაშიც შეუკერავი მოლექულებია, რომლებიც აქტიურად მიგრირდება ქსოვილის შემოგარენში და ცალკეულ ორგანოებში.

თხევადი სილოქსანით ინექციამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის გრანულომები, მწვავე ჭირჭირის ციება, სისტემური დავადება და ზოგჯერ ლეტალური შედეგიც კი [175, 176]. სილოქსანური გრანულების წარმოქმნა გამოჩნდა აგრეთვე

თხევადი სილოქსანის ინექციისას სასქესო ორგანოებში. ლიპიდური გრანულომების ოპერატიული მოცილებისას, რომლებიც წარმოქმნილია თხევადი სილოქსანის ინექციის შემდეგ სასქესო ორგანოში, აღმოჩენილი იქნა, რომ მოსაზღვრე ქსოვილების კანისქვედა საფარი შეიცავს დიდი რაოდენობით სილოქსანურ გლობულს [177, 178].

სარძევე ჯირევალის არეში თხევადი სილოქსანის შეყვანას შეიძლება საკმაოდ არასასურველი შედეგები მოჰყვეს – გამოიწვიოს როგორც ანთება და კანის გაწითლება, ასევე სიცხე.

სარძევე ჯირკვლის ზოგიერთ ნაწილში სილოქსანის მუდმივი არსებობა გართულებას ქმნის ექიმისათვის ფიზიური, მამოგრაფიული ან სხვა მეთოდით დათვალიერებისას, რომელიც ავთვისებიანი წარმოჩაქმნების დროული დიაგნოსტირებისათვისაა აუცილებელი [179].

ბოსტონის თვალის კლინიკაში ჩატარდა ხანგრძლივი დაკვირვება მაიმუნის თვალის ბადურას რეაქციაზე 0,97-0,98 ხეედრითი მასის სამედიცინო სილოქსანური ზეთების შეყვანისას [180].

სილიკონური ზეთი უარყოფითად მოქმედებს თვალის რქოვანაზე, ის შეიძლება დაეწვეთოს ბადურაში და გამოიწვიოს მისი დაზიანება. ნაწილობრივი გართულებები ასევე შეიძლება მოხდეს კატარაქტის, კერატოპათიის, თვალის შიგა წნევის მომატებისას [181, 182]. უნდა აღინიშნოს, რომ შრომების უმრავლესობაში, რომელიც ეძღვნება თხევადი სილოქსანის გამოყენების საშიშროების საკითხებს, არ მოიპოვება მონაცემები საწყისი პროდუქტის სისუფთავეზე, დოზებსა და ინექციის რაოდენობაზე, ურთიერთკავშირზე ინექციის ადგილთან, პაციენტის კანის მომზადებაზე, თანამდე ინფექციებზე და ა.შ. [183].

მრავალი გამოკელევა ამტკიცებს, რომ თხევადი სილოქ-სანის იჩექცია იწვევს მძიმე გართულებებს. ამიტომ ამ მეთო-დის გამოყენება აღდგენით ქირურგიაში მოტივირებული უნ-და იყოს საკმაოდ სერიოზული დასკვნებით. აღსაჩიშნავია, რომ თხევადი სილოქსანის გამოყენება აშშ-ში ამჟამად აკრ-ძალულია ყველა შემთხვევაში, გარდა ექსპერიმენტული თვალსაზრისისა, ხოლო ზოგიერთ შტატში ამ მეთოდით მკურნალობა განიხილება ოოგორც დანაშაული [72]. რუსეთ-ში თხევადი სილოქსანით იმპლანტაცია არ ხდება.

ორგანიზმის რეაქცია სილოქსანური გელით იმპლანტა-ციისას. საკმაოდ მაღალია სილოქსანური პოლიმერის მიგრა-ციული აქტივობა მისი ორგანიზმში შეყვანისას და ეს გე-ლის შემთხვევაში დამტკიცდა ვირთხებზე ექსპერიმენტით. სილოქსანური გელის სახით შინაგანი შეყვანისას, პოლიმე-რის მონაწილეობა დაფიქსირებული იყო ფილტვებში უკე 30 დღის, ხოლო კანქვეშ შეყვანისას – 60 დღის შემდეგ. [175, 185-189].

ორგანიზმის რეაქცია სილოქსანური რეზინის იმპლანტა-ციისას. მყარი და ღრუბელისმაგვარი რეზინიდან დამზადე-ბული სილოქსანური პროთეზების ჩანერგვა ოოგორც წესი, გამოირჩევა ნაკლები გართულებებით, ვიდრე ეს გელის შემ-თხვევაშია. გართულების იირითადი მიზეზი არის ზოგიერთ ორგანოში სილიციუმორგანული ნაწილაკის მიგრაციისა და გაფანტვის უნარი [190].

მრავალი მკვლევარის მიერ გამოოქმულია მოსაზრება სილოქსანური რეზინის ციტოტოქსიკურ შემავსებლებზე [52, 191].

დადგინდა, რომ სილიკონური იმპლანტატის გარშემო წარმოქმნილი მემბრანული კაპსულები არ წარმოადგენს აბ-სოლუტურ ბარიერს სილოქსანური ნაწილაკების მიკროფა-

გებით შთანთქმისას, რომლებსაც შემდეგ გადააქვს ისინი ორგანიზმში სისხლის ან ლიმფის ნაკადით, რასაც მიუკავართ სხვადასხვა ორგანოში ამ ნაწილაკების მოხვედრისკენ და მათ იქ დაგროვებისკენ.

ცნობები ლიმფოადენოპატიაზე ძარღვის პროთეზირებიდან 5 და 12 წლის შემდეგ მოიპოვება შრომაში [192]. მუხლის სახსრის, წევის, ხელის თითების და ფეხის პროთეზირებისას [55]. ლიმფური კვანძების ავსება სილიციუმორგანული პოლიმერებით მტკიცდება ჰისტოლოგიური ანალიზით, ბიოფსიით და სკანირებადი ელექტრონული მიკროსკოპიით და ასევე ხელის მტევანის სილოქსანური რეზინის პროთეზით გადანერგვისას. ამავე დროს სილოქსანური იმპლანტატების გადანერგვისას ლიმფური კვანძების დაავადება გართულებების მხრივ არ გამოირჩევა რაიმე თავისებურებით [53]. ამას ადასტურებს ძაღლის ძელების იმპლანტირებული სილოქსანური რეზინის რენტგენოლოგიური კვლევის შედეგები. რეგიონალურ ლიმფურ კვანძებში სილოქსანის ნაწილაკები არ აღმოჩნდა. აღსანიშნავია ქსოვილის ძელების ზუსტი ფორმირება და გაფართოების გამორიცხვა, ძელის ტვინის არეში არ ყოფილა უცხო სხეულზე რეაქცია. ფიბროზული კაპსულის შიგა ზედაპირი, რომელიც იმპლანტატს აკრავს, გლუვი და თეთრი იყო. ამავე დროს ქსოვილის კაპსულის ჰისტოლოგიურმა გამოკვლევამ აჩვენა მასში მცირედიამეტრის გამჭვირვალე, ამორფული პოლიმერის ნაწილაკები. მიკროგადაღება ამტკიცებს ქსოვილის რეაქციას სილოქსანის არსებობის მიმართ, მაგრამ მწვავე ანთების, მიკროაბსცესების ან აეთვისებიანობის ნიშნები არ დაფიქსირებულა [55].

ცნობები, რომელიც მიუთითებს ლიმფურ კვანძებში სილოქსანური ნაწილაკების და აეთვისებიანი სიმსივნით დაა-

ვადებას შორის ურთიერთკავშირზე, საკმაოდ მცირეა [61]. აშშ-ში ყოველწლიურად დიაგნოსტირდება კიბოთი დაავადების ~800 000 შემთხვევა. აქედან ლიმფაზე მოდის 9% (დაახლოებით 72 000 შემთხვევა). სილოქსანური ნაწილაკების არსებობასა და ავთვისებიან დაავადებას შორის კავშირი მხოლოდ შემთხვევითი შეიძლება იყოს [193]. თხევადი სილოქსანური რეზინის სახსრების პროთეზის იმპლანტაციით გამოწვეული შედეგების ანალიზმა აჩვენა, რომ 2000 ავადმყოფს 300 სხვადასხვა ქვეყნიდან არ პქონდა იმპლანტაციასთან დაკავშირებული გართულებები, არ დაფიქსირებულა პოლიმერული მოლეკულების მიგრაცია ლიმფურ კეანძებში ან სხვა პერიფერულ ორგანოებში [194].

ცნობილია სილიკონის ბაზაზე დამზადებული შემდეგი პოლიმერული მასალები: Dendia Gum (ავსტრია), Elasticon (აშშ), Impressional (გერმანია), Dentaflex (ჩეხოსლოვაკია). ორშრიანი კერამიკული და ბიგელისებრი კბილის პროთეზების საანაბეჭდო მასალის საფუძველად გამოიყენება კაუჩუკი, რომელმაც შედარებით გაამარტივა წარმოება და გააუმჯობესა პროთეზების ხარისხი. ამ შიზნით გამოიყენება სინთეზური კაუჩუკი რომელსაც გასამყარებლად დამატებული აქვს გო-

გირდი (2 ნაწილ კაუჩუკზე – 1 ნაწილი გოგირდი) და სინგური – ყბის ძვლის შესაბამისი ვარდისფერის მისაცემად.

გოგირდით ვუდეკანიზირებულ კაუჩუკს ახასიათებს წყალშთანთქმის უნარი, რაც იწვევს პროთეზის გაუღენთვას თხევადი საქების მიღებისას და პირის ღრუში არასასიამოვნო სუნს.

სინგური ზოგიერთ შემთხვევაში ხელს უწყობს პირის ღრუში ანთებით პროცესს.

პროთეზების ზემოთ მოყვანილი ნაკლოვანებების აღმოსაფხერელად მეცნიერებმა დაიწყეს კვლევა. პროთეზებისათვის ახალი ფუძის დასამზადებლად გამოიყენება აგრეთვე ცელულოზის ეთერები, მაგრამ ასეთ პროთეზებს აქვს არასასიამოვნო სუნი და მალე უფერულდება.

სტომატოლოგის მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია არა მარტო მის ხელოვნებაზე, არამედ მის მიერ გამოყენებულ მასალაზე. რა შედის სტომატოლოგის არსენალში?

სტომატოლოგიური თაბაშირი – ერთ-ერთი ყველაზე იაფი სტომატოლოგიური მასალა. თანამედროვე სტომატოლოგიურ კლინიკებში ის იშვიათად გამოიყენება. დღეს თაბაშირი ორთოპედიული კონსტრუქციების ჩამოსასხმელი, დაშტამპული გვირგვინის დასამზადებელი ძირითადი მასალაა, მისი ძირითადი ნაკლია გაფართოვება გაშრობისას, მაგრამ სამაგიეროდ, თაბაშირი იაფი, პლასტიკური და უპრეტენიო მასალაა.

სილიკონი – უნივერსალური მასალა, რომელზედაც არ მოქმედებს ტუტე, მუავა, მარილი, სპირტი, ზეჟანგი. თანამედროვე სტომატოლოგიურ კლინიკებში სილიკონის იყენებენ მოსახლეები და არამოსახლეები პროთეზების მაღალი ხარისხის ტვიფრის, ან პროთეზის სარჩულის მისაღებად. სილიკონში არ არის სიცარიელე, კარგად ანაწილებს ნესტეს,

აგსებს ყველა სიცარიელას, ერთი სიტყვით უნივერსალური, საიმედო და შედარებით იაფი მასალაა.

კომპოზიტი – უნივერსალური და ყველაზე გავრცელებული მასალაა სტომატოლოგიაში. გამოიყენება როგორც ბჟენის, ისე პროთეზებისათვის. კომპოზიტი – ე.ი. „კომპოზიცია“. სტომატოლოგიაში კომპოზიტები შედგება ორგანული ნივთიერებისა და ორგანული შემაკავშირებელი მასისაგან. თანამედროვე სტომატოლოგიაში იყენებენ თხევადდენად კომპოზიტებს, ქიმიურ კომპოზიტებს, ფოტოკომპოზიტებს. თხევადდენადი კომპოზიტები გამოიყენება მცირე ღრუების ამოსავსებად, რესტავრაციის პატარა დაფუქტების აღმოსაფხვრულად. ასეთი პოლიმერი არ ეწებება ინსტრუმენტს, არ გამოვდინება ღრუდან, კარგად თავსადება სხვა მასალებთან. გარდა ამისა, ის მზეც და ცვეთისადმი მედეგი მასალაა. ქიმიური კომპოზიტი უფრო იაფი, თუმცა ნაკლებად ესთეტიკური მასალაა. მას იყენებენ გვერდითი კბილების და სიბრძნის კბილების რესტავრაციისათვის. ქიმიური კომპოზიტის დაფუბამდე სტომატოლოგი ამუშავებს ემალს, კარიუსულ არეს ფარავს საეციალური ნივთიერებით და დებს ბჟენს. ქიმიურ პოლიმერს პოლიორებას უკეთებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ფერს იცვლის. ფოტოკომპოზიტი დღეისათვის ერთ-ერთი სრულყოფილი და ძვირადღირებული სტომატოლოგიური მასალაა. ფოტოკომპოზიტის ბჟენი 30 წმ-ში მყარდება პალოგუნის ნათურის მოქმედებით. ფოტოკომპოზიტი თითქმის არ ცედება, არ შავდება დროის განმავლობაში და დიეალურად ეხამება კბილების ნატურალურ ფერს. ფოტოკომპოზიტის ბჟენი იდეალურად გამოიყურება. ექიმს შეუძლია ფოტოკომპოზიტის ფენას დაადოს მეორე ფენა, ის გამოიყენება როგორც გვერდითი, ისე წინა კბილების დასაბუნენად. ფოტოკომპოზიტის ბჟენი იდეალურად გამოიყურება.

მასალა ნაკერისათვის. სტომატოლოგიაში ნაკერის დასადებად გამოიყენება მხოლოდ ატრავმატული ძაფი – მასალა, რომელიც კარგად კერავს ქსოვილს, სწრაფად გაიწვება და არ აზიანებს ქსოვილს, რადგან ნემსიც ძაფის ნაწილია. ყველაზე გავრცელებული მასალა ნაკერისათვის არის კაპრონი, აბრეშუმი, ფტორლონი, ნიკანტი, რომელიც ანტიბიოტიკს შეცავს, პოლიგლიკოიდური ძაფი, ლავსანი და სხვა.

A-სილიკონი სიბლანტის ყველა ხარისხით გამოდის ძირითადი და ერთნაირი კონსისტენციის კატალიზიური პასტის სახით.

ძირითადი პასტა შეიცავს პოლივინილსილოქსანს, სილანოლს და შემავსებელს; კატალიზატორული – პოლივინილსილოქსანს, პლატინის კატალიზატორს და შემავსებელს (ცხრილი 15).

ცხრილი 15

პოლივინილსილოქსანური მასალების გამოშვების ფორმა

ბაზა	კატალიზატორი
პოლივინილსილოქსანი	პოლივინილსილოქსანი
სილანოლი	ქლორპლატინის მჟავა
არომატიზატორი	შემავსებელი
სალებავი	

ადიტიური სილიკონები დენადობისა და სტრუქტურული სიბლანტის ბალანსირებული შეხამების წყალობით, გამოიჩევა ზედაპირის დეტალების აღდგენის (კვლავწარმოების) უმაღლესი ხარისხით. გარდა ამისა, მათ ახასიათებთ სტაბილური ზომა, რადგან პოლიმერიზაციის რეაქცია მიმდინარეობს გვერდითი ნივთიერებების გამოყოფის გარეშე. ეს განაპირობებს მასალის მინიმალურ დაჯდომას (1%-ზე ნაკლები),

მოდელის რამდენჯერმე ჩამოსხმის შესაძლებლობას, ტვიფრის დიდხანს შენახვას, მის ტრანსპორტირებას. პოლისულფიდურ მასებთან შედარებით, მათ ჩაკლები სიმტკიცე აქვთ გარღვევის მიმართ, თუმცა მდგრადი არიან დეფორმაციის მიმართ. პირის ღრუდან გამოღების შემდეგ ანაბეჭდის ზომები სწრაფად უბრუნდება საწყის მნიშვნელობებს. A-სილიკონების უმნიშვნელოვანების თვისებაა მათი ტიქსოტროპულობა. ყველა სილიკონი თავისი ბუნებით პიდროვობურია. ეს ერთგვარ სიმნივეს ქმნის მათი გამოყენებისას, რადგან ანაბეჭდის მასალა არ ურთიერთქმედებს სველ ზედაპირთან, და ეს იწვევს ცდომილებას ანაბეჭდის მოხსნისას სისხლისა და ნერწყვის არსებობის გამო. ამ მხრივ ანაბეჭდისათვის პოლიეთერული მასა უფრო ხელსაყრელია (ცხრილი 16).

ცხრილი 16

A-სილიკონური ანაბეჭდის მასალების თვისებები

უპირატესობა	ზაკლი
სიზუსტი	პიდროვობურობა
სიმჟარე	არასაქმარისი პლასტიკურობა პოლიმერისაციის შემდეგ
გახლების წინააღმდეგობა	
ზომის სტაბილურობა	
დეფორმაციისადმი მდგრადობა	

პოლიენილსილოქსანების ქიმიურ შედგენილობის გამო ძირითადი და კატალიზური მასის შერევისას არ არის რეკომენდირებული ლატექსის ხელთათმანები. პოლიმერიზაციის რეაქცია ფერხდება გოგირდის შენაერთებით ქლორპლატინის მჟავას კატალიზატორის კონტამინაციით (გოგირდის შენაერთები გამოიყენება ლატექსის დამზადებისას). ამასთან

ვინილის ხელთათმანები გაელერას არ ახდენს პოლიმერიზაციის პროცესზე.

ძირითადი და კატალიზატორი მასა სხვადასხვა ფერად არის შეღებილი. მასალის პომოგენურობა მათი შერევის შემდეგ საშუალებას იძლევა ვაკუნტროლოთ მზადყოფნა ანაბეჭდის მოსახსრელად. ხარისხოვანი ანაბეჭდის მისაღებად მრავალი ფირმა-მწარმოებელი სისტემატიურად აუმჯობესებს მასალას. ამჟამად არსებობს გაუმჯობესებული პიდროფილური A-სილიკონების ჯგუფი (Elite H-D+Zhermack®, KOHLERsil 1,2,4-duperhydrophilic).

პიდროფილობის მისაღებად მასალის შემადგენლობაში შეყვავთ პოლიეთერული კომპონენტები ან ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები. A-სილიკონების არასაკმარის სიმტკიცეს გარღვევაზე აღიდებენ მათ შემადგენლობაში ისეთი პოლიმერების შეყვანით, რომლებიც ადიდებს განტოტვას და პოლიმერული ჯაჭვის სიმკვრივეს, როგორც მასალა აკვასილში. მასალა Honigum®-ის რეოლოგიურად აქტიური მატრიცა საშუალებას იძლევა შეიქმნას მიმართული ნაკადი, რაც აადვილებს ძნელად მისაწვდომ უბნებში გამოყენებას. A-სილიკონების ფუძულები როგორც წესი მაღალი სიმტკიცისაა. ეს განაპირობებს მისი ზომების სტაბილურობას კორიგირებული ფენის პოლიმერიზაციისას, რაც დადებითი ფაქტორია. უკანასკნელ წლებში იქმნება დიდი სიბლანტის პოლივინილ-სილოქსანური მასალები მაღალი ელასტიკურობით (putty soft). სრულყოფილი ხდება პოლივინილ-სილოქსანების გამოშვების ფორმაც. ამჟამად ისინი გამოდის კარტრიჯების სახით, რაც ავტომატური და ხელით შერევის არჩევის საშუალებას იძლევა. ეს მასალები შეიძლება შეერიოს სპეციალურ პლატფორმაზეც.

მასალები თანკბილების რეგისტრაციისთვის. დიდი საბოლოო სიმტკიცის გამო A-სილიკონებს იყენებენ თანკბილების რეგისტრაციისთვის. ეს მასალების ცალკე ჯგუფია, რომლისთვისაც პირველ ადგილზეა სიხისტე. ცვილი, რომელიც ადრე გამოიყენებოდა მოდელების შეჯერებისათვის, დეფორმირდება ტემპერატურის უმნიშვნელო ცვლილებისას. ამასთან, არასაკმარისად გამოიძარი, ის ხელს უშლის კბილების რიგის სწორად და მთლიანად შემჭიდროვებას, რაც იწვევს ცდომილებას ტექნიკოსის მუშაობის დროს. ექიმებში გაურცელებული C-სილიკონების ფუძე-შრის თანკბილების ბლოკების გამოყენება ამ მიზნით, დაუშვებელია. როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები, C-სილიკონები დანაკრგს იძლევიან სტრუქტურირებიდან I საათის შემდეგ, რაც იწვევს ბლოკების დეფორმაციას. გარდა ამისა, მასალის მკვრივი პირველი ფენა ართულებს ყბების შეერთებას. ამიტომ, სილიკონური მასალები უნდა იყოს ხისტი, დრეკად დეფორმირებადი, ფორმის შესანარჩუნებლად და უნდა ჰქონდეს პოლიმერიზაციის დიდი სიჩქარე. Occlusfast Rock (Zhermack®)-ს აქვს ხიხისტე 95 შორის მიხედვით. ეს მასალები ჩვეულებრივ გამოდის კარტრიჯების ფორმით ბაზისა და კატალიზატორის შესარცვად. (Register, Oangebite, მწარმოებელი Kohler). მასალა ერთჯერადი კათეტერიზაციის შემდეგ იდება კბილების ოკლუზიურ ზედაპირზე, კბილები ერთდება და მასალა ემატება ვესტიბულარულად კბილების ზედაპირის სრული გამოსახვისათვის. რადგან მასალა დენადია, ის არ ეწინააღმდეგება კბილების თავისუფლად შეერთებას. ამასთანავე, მაღალი სიმყიფის წყალობით თანკბილვა ხისტად ფიქსირდება, მეტიოდ აღიბეჭდება კბილების ზედაპირი, რაც აადვილებს მოდელის შეთავსებას. ეს მეთოდი გამოიყენება კბილები-ანტა-

გონისტების წყვილების საკმაო რაოდენობის არსებობისას კბილების რიგის სამ ფუნქციონალურად ორიენტირებულ ჯგუფში.

A-სილიკონის განსხვავება C-სილიკონისაგან საკმაოდ ადგილია. თუ ქიმიურ მახასიათებელში არსებობს სიტყვა „ვინილი“ (vinyl) – ეს პოლივინილსილოქსანია, ე.ი. A-სილიკონი. გარდა ამისა, ადიტიური სილიკონები ყოველთვის გამოდის პასტა-გელის სახით, კონდენსაციური-კატალიზატორით – ტუბებში ან სითხის სახით. კატეგორიულად აკრძალულია C- და A-სილიკონის ფუძე- და კორიგირებული ფენის კომბინირება. ამ შემთხვევაში ანაბეჭდის პირველ და მეორე ფენის შორის არ არსებობს შეჭიდულობა.

Zhermack-ის კონდენსაციური სილიკონები. ოპტიმალური მასალები ანაბეჭდისათვის. კბილის პროტეზირებაში კარგი შედეგი ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებულია – სუბიექტურსა და ობიექტურზე, ექიმის ხელოვნებაზე, მასალებზე და მეთოდიკაზე, რომელიც კლინიკაში და კბილის ტექნიკის ლაბორატორიაში გამოიყენება. ამიტომ, შესაწებებელი მასის და ანაბეჭდის აღების მეთოდიკის სწორად შერჩევა მეტად მნიშვნელოვანია როგორც ექიმის, ისე ტექნიკოსისა და პაციენტისათვისაც. არამოსახსნელი პროთეზირებისას გავრცელებულია ორმაგი ანაბეჭდების მეთოდიკა და ერთეტაპიანი ორმაგი მორევის ტექნიკა. ამ მეთოდიკების დანიშნულება თავის არსით ერთნაირია ძალიან ხშირად მეთოდის არჩევა განისაზღვრება კლინიკაში გამოყენებული ანაბეჭდის მასალის ტიპით. ისტორიულად ჩამოყალიბდა, რომ რუსი ექიმები ყველაზე ხშირად და წარმატებით იყენებენ ორმაგი ანაბეჭდის მეთოდს, რომლის მიხედვითაც მიმდევრობით იხსნება წინასწარი (არაზუსტი) და კორეგირებული ანაბეჭდი.

სამამულო ბაზარზე წარმოდგენილია ანაბეჭდის მასალის დიდი რაოდენობა, რომლებიც გამოიყენება როგორც ორმაგი ანაბეჭდის მეთოდიკაში, ისე ერთეტაპიანი ორმაგი მორევის მეთოდიკის შემთხვევაშიც. უკანასკნელ წლებში ფართოდ გამოიყენება Zhermack-ის მასალები. კონდენსაციით მიღებული სილიკონური მასა ძალიან კარგად გამოიყენება სტომატოლოგების მიერ. Zhermack-ის მიერ შემოთავაზებულია კონდენსირებული სილიკონების ბალანსირებული ჯგუფი, რომელშიც შედის Zetaplus, Zetaplus Soft, Oranwash VL, Oranwash L, Thixoflex M.

წინასწარი ანაბეჭდი. Zetaplus და Zetaplus Soft განკუთენილია წინასწარი ანაბეჭდისათვის. Zetaplus – ეს არის ფირფიტოვანი კონსისტენციის სილიკონი putty, რომელიც ხასიათდება მაღალი საწყისი დენადობით და გამყარების შემდეგ დიდი სიმტკიცით. მაღალი საწყისი დენადობა შესაძლებლობას იძლევა შემცირდეს წნევა და ლორწოვანი გარსის ეუმშვადობა პირის ღრუში მასალის შეყვანის ეტაპზე. ორმაგი ანაბეჭდის ტექნიკაში გამყარების შემდეგ დიდი სიმტკიცის წყალობით, Zetaplus მშენივრად ასრულებს ინდიური და ანაბეჭდის როლს. ეს სიმტკიცე კორეგირებული ფენის გამყარების შემდეგ წარმოქმნილ ძალებს არ აძლევს წინასწარი ანაბეჭდის დეფორმირების საშუალებას და აღადგენს ანაბეჭდის პირვანდელ მდგომარეობას პირიდან მისი გამოღების შემდეგ. კორეგირებული ანაბეჭდის მოხსნის შემდეგ Zetaplus-ის სიმტკიცე ხელს უწყობს მეორე ფენის მასალის ოპტიმალურ გამოღევნას.

ანაბეჭდის მოსახსნელად რეკომენდირებულია ნებისმიერი მაგარი კოვზი, როგორიცაა Hi-Tray (Zhermack). ძირითადი ფენის ფიქსაციის გაუმჯობესება კოვზში შეიძლება სპეცია-

ლური ადჰეზივების, მაგალითად Universal Tray Adhesive (Zhermack)-ის საშუალებით. პლასტიკური კოვზების ეკონომიკა და გამოყენება არ არის კარგი, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ანაბეჭდის დეფორმაცია. ფუძე-შრისა და სამივე კორეგირებული ფენის ერთიან კატალიზატორად დამზადებული იქნა ახალი Indurent Gel. 60 მლ-იანი ერთი ტუბი საკმარისია ერთი 900 მლ პლასტიკური ფუძე-შრის და 140 მლ თხევადი კორეგირებული ფენის შესაფუთად. ძირითადი ფენის შესარევად საჭიროა ორი ზოლი Indurent Gel Zetaplus-ისა და Zetaplus Soft-ის ყოველ საზომ ერთეულზე. თუ კატალიზატორი თხევადია, მასალის ყოველ ერთეულზე წინასწარი ფენისათვის საჭიროა მისი 5-6 წვეთის აღება. ეს ოპტიმალური დოზაა, რადგან დამუშავების დიდ დროს და პირის დრუში ყოფნის მცირე დროს საჭიროებს. ძალიან ხშირად კატალიზატორის დოზას არასწორად ადიდებენ სამუშაო პროცესის დაჩქარების მიზნით, რაც ამცირებს სიზუსტეს. მასალა ხელით მუშავდება ერთგვაროვანი კონსისტენციის პომოგენური ფერის მიღებამდე. ადიტიური სილიკონური მასალებისაგან განსხვავებით, კონდენსაციური მასალების შერევა შეიძლება ლატექსის ხელთათმანებით უკანვენების რისკის გარეშე – ის არ ახდენს გავლენას გამყარებაზე. შერევის პროცესის ხანგრძლივობა დაახლოებით 30 წმ-ია. შერეული მასა თავსდება პერფორირებულ კოვზზე, რომელიც შეაქვთ პირის ლრუში და აჩერებენ საჭირო მდებარეობაში. სასურველია არ დაუშვათ მასალის ჩაებეჩა კოვზის ძირამდე, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს მოდელის უზუსტონი. გამყარების შემდეგ (თითქმის 3 წუთის შემდეგ) წინასწარ ანაბეჭდს იღებენ პაციენტის პირის ლრუდან და რეცხავენ სუფთა წყლით, აშრობენ ჰაერის ნაკადით. ამ ეტაპზე ანაბეჭდის გარეცხვა

სარეცხი საშუალებებით და დეზინფექცია დაუშევებელია, რაღაც ხელი შეიძლება შეეშალოს კორეგირებული ფენის გამყარებას. ხელმეორედ პირის ღრუში ანაბეჭდის შეტანისას ხელისშემშლელი ნაწილების მოტეხეის თავიდან ასაცოლებლად, ანაბეჭდში ჭრიან კბილებს შეირის არეს და არაპრეპარირებული კბილების კიდეებს. შესაძლებელია დამატებითი არხების გაკეოებაც, რაც კორეგირებული სილიკონის თავისუფლად გამოდინების საშუალებას იძლევა. Zetaplus და Zetaplus Soft-სათვის მნიშვნელოვანია არ ამოიჭრას დიდი მოცულობა, რაღაც ამან შესაძლებელია საბოლოო ანაბეჭდის უზუსტობა გამოიწყოოს.

განსაკუთრებით შეკრედეთ Zetaplus Soft-ზე. ის განსაკუთრებით პლასტიკურია და პირის ღრუში შეტანისას ინარჩუნებს სიმტკიცისა და ღრეუადობის კარგ თანაფარდობას, რაც პირის ღრუში მეორადი შეტანის და გამოდების შესაძლებლობას იძლევა ნარჩენი დეფორმაციის საშიშროების გარეშე. ეს მასალა განსაკუთრებით გამოისადეგია შაშინ, როცა აუცილებელია კბილების მნიშვნელოვანი გადახრის დაძლევა მათი პირველადი ანომალური მდებარეობის ან პარადონტოლოგიური დაავადებების შედეგად.

კორეგირებული ანაბეჭდისათვის გამოიყენება Oranwash VL, Oranwash L და Thixoflex M – ეს ძალიან დენადი და ჰიდროფილური სილიკონია, რომელიც უზრუნველყოფს ანაბეჭდის მაქსიმალურ სიზუსტეს თანაბარი განაწილებით და კორეგირებული ფენის ზედმეტი გასქელების გარეშე. Oranwash L-ს აქვს დიდი სიბლანტე Oranwash VL-თან შედარებით. დამუშავების და შებოჭვის მცირე ღრო იდეალურად უხდება ორმაგი ანაბეჭდის ტექნიკას. Oranwash L-ის დენადობა ამ მასალას შესაძლებლობას აძლევს ადგილად შეეიდეს კბილ-

ლრძილების დარში. ძალიან მაღალი პილროფილურობა უზრუნველყოფს მის ეფექტურ გამოყენებას ნერწყვის არსებობისას.

Thixoflex M-ს აქვს დამუშავებისა და შებოჭვის საქმაო დრო, გამოსადეგია ორმაგი ანაბეჭდის ტექნიკისათვის, როცა აუცილებელია მეტი დრო. Thixoflex M ტიქსოტროპულია, რაც მისი დასახელებიდანაც გამომდინარეობს და ამიტომ მისი დაღება შპატელითაა რეკომენდირებული. პრეპარირებულ უბანში შეყვანისას Thixoflex M არ წევთავს, მაგრამ ინარჩუნებს მაღალ დენალობას მუშაობისას. ის კარგად თავსდება ნესტითან, რაც უზრუნველყოფს ნესტიან გარემოში დეტალების ზუსტ აღბეჭდვას და განსაზღვრას. Oranwash VL, Oranwash L და Thixoflex M მასალები ტუბების სახით მიეწოდება ბაზარს. ამ მასალების სწორად დოზირება აღვიდია. შერევის ბლოკზე უნდა გამოიდევნოს შიგთავსი აღნიშნულ შეალამდე. ასეთივე სიგრძის უნდა აეიღოთ Zhermack Indurent Gel. თხევადი კატალიზატორის გამოყენებისას შერევის ბლოკზე ემატება თითო წევთი საზომი სილიკონის ყოველ დანაყოფზე. შერევა აუცილებლად ენერგიულად უნდა მოხდეს, უკეთესია – სპეციალური შპატელით. პაერის ბუშტების წარმოქმნის თავიდან ასაცილებლად მიღებულ ნარევს აგროვებენ, ათანაბრებენ და ფრთხილად აწევიან შერევის ბლოკზე. ეს ოპერაცია მეორდება ჰომოგენური ფერის მიღებამდე. შერევისათვის იღეალური დრო 30 წამია. ამ ნარევს შპატელით ან შპრიცით წინასწარ მომზადებულ ანაბეჭდზე ათავსებენ. შეჟყავთ პირის ღრუში და ელოდებიან გამყარებას დაახლოებით 3,5 წუთის განმავლობაში. Oranwash VL, და Thixoflex M-ს გამოყენება რეკომენდირებულია Zetaplus Soft-თან, ხოლო Oranwash L – Zetaplus-თან. კომპანია Zhermack

ამას ხსნის კონტრასტის კარგი ფერების და შერევის ხარისხიანი კონტროლის უზრუნველყოფის სურვილით, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს იმისთვის კეთდება, რომ უფრო ბლანტი კორეგირებული *Oranwash L* უკეთეს შედეგებს იძლევა სწორედ მეცრივ *Zetaplus*-თან.

ებილის ტექნიკურ ლაბორატორიაში გადაცემამდე ხდება ანაბეჭდის დეზინფიცირება. ამისათვის მას 10 წუთით უშებენ მაღალი მაღალი ტემპერატურის საცირკულაციო რომელიც სილიკონებისათვის არის მისაღები, მაგალითად *Sterigum Zhermack*-ში. მოდელის ჩამოსხმა ხდება 30 წუთიდან 72 საათის განმავლობაში გამეცარების შემდეგ. ზედაპირული დაჭიმულობის და ბუშტების წარმოქმნის საფრთხის შესამცირებლად ანაბეჭდს ამუშავებენ *Tensilab* (*Zhermack*)-ის მასალით. შემდეგ ახლენენ *Zhermack*-ის მასალისაგან დამზადებული ანაბეჭდების გალვანიზაციას სპილენძითა და ვერცხლით.

კომპანია *Zhermack*-ი დიდი მოცულობის კელებით სამუშაოებს ატარებს და შედეგიც არის – მასალები სტრატოლოგებისათვის, რომლებიც აქმაყოფილებს ყველა მოთხოვნას ანაბეჭდის მოხსნის ნებისმიერი ტექნიკისათვის. *Zhermack*-ის ანაბეჭდები სასიამოენო სუნისაა.

Oranwash L – იყენებენ მოსახსნელი პროთეზებისათვის. ფუნქციონალური ანაბეჭდების მოხსნის ეტაპზე სხვადასხვა სიბლანტის მასალების არსებობა შესაძლებლობას იძლევა მაღებული იქნას ანაბეჭდები როგორც ზედა, ისე ქვედა ყბის კომპრესიის სხვადასხვა ხარისხით და ამავე დროს კარგად მორგებული პროთეზების დამზადებისათვის არის ხელსაყრელი. *Zhermack*-ი მასალების დამზადებისას გამოყენებულია მხოლოდ ადამიანისა და გარემოსათვის უკნებელი კომპონენტები. ზემოთაღნიშნული სილიკონები დამზადებულია ასეთი

უსაფრთხო მასალებისაგან და შეესაბამება ISO 4823-ის სტანდარტებს. რეკომენდირებული პირობების დაცვისას ხანგრძლივად ინახება.

ესთეტიკური რესტაურაციისას ნებისმიერი ორთოპედიული ქონსტრუქციის შექმნის პროცესი შედგება კარგად დაბეგმილი კლინიკური და ტექნიკური ეტაპებისაგან, რის შედეგადაც მიღება სხვადასხვა ანაბეჭდი. კარგი ანაბეჭდი არის შედეგი არა მარტო ტექნიკურად სწორად გამოყენებული საანაბეჭდო მასით სავსე კოვზის, არამედ სწორად შესრულებული წინასწარი ეტაპების: რბილ ქსოვილებთან მუშაობა, კბილების პრეპარირება, დროებითი რესტაურაცია. ანაბეჭდში კბილ-ღრძილის დარში პრეპარირებული კბილის კიდის ზუსტად აღსაღენად (საქმე ეხება რესტაურაციას ესთეტიკურად მნიშვნელოვან არეში) ღრძილების ექსტრაქცია ზედმიწევნით ზუსტად და ატრავმატულად უნდა განხორციელდეს სპეციალური მეთოდიების საშუალებით.

და ბოლოს, ანაბეჭდის დეფორმაციის თავიდან ასაცილებლად, სტომატოლოგი კარგად უნდა ურკვეოდეს მასალის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებებში, იცოდეს სხვა მასალებთან მათი ურთიერთქმედების შესაძლებლობები.

ადგილად შერევისა და მოსახერხებებული მანიპულირებისათვის პასტა უნდა იყოს ბლანტი. პოლივინილსილიქსანური მასალები შერევის შემდეგ სწრაფად ხდებიან ელასტიკურები და ამიტომ ისინი სწრაფად უნდა იქნეს გამოყენებული. ეს თვისება განსაკუთრებით არის გამოხატული მაღალი ტემპერატურისას. პოლიეთერის საუსტენზე დამზადებული მასალები პირიქით – შერევის შემდეგ დიდხანს რჩებიან პლასტიკურები. ეს მეტად მოსახერხებელია პრაქტიკაში. თუ საანაბეჭდო მასა პაციენტის პირის ღრუში თავსდება იმ მომენტში, როცა ის უკავე ელასტიკური ხდება, ანაბეჭდი აუცი-
178

ლებლად დეფორმირდება. გამყარების შემდეგ პოლიეთერული მასალების სიმტკიცე პოლიუნილილიქსანური მასალების სიმტკიცეზე ორჯერ მეტია და ეს ხშირად ართულებს მათ ამოღებას პაციენტის პირის ღრუდან. პოლიეთერული მასალების სიმტკიცე კბილის ტექნიკოსებისათვის უარყოფითი მახასიათებელია, რადგან ისრდება თაბაშირის შაბლონების გატეხვის რისკი, განსაკუთრებით დიდი შიგა სივრცის არსებობისას, რაც ხელს უწყობს ანაბეჭდის მასალის გაჰელვას (მაგალითად ხილისებრი პროთეზების) ან კბილის ძალიან გრძელი და თხელი პრეპარირებული პარკის არსებობისას. ამ პრობლემის გადაჭრა ხდება ცვილით მათი ამოვსებით ანაბეჭდის მიღების წინ.

ზოგიერთი ექიმის აზრით (Chai და სხვები) კლინიკური მნიშვნელობა აქვს ელასტომერულ ანაბეჭდისათვის ელასტომერულ მასალის სამ მახასიათებელს:

- სიმტკიცე დეფორმაციისას – მასალის უნარი, გაუძლის დატეირთვას მუდმივი დეფორმაციის დაღვომამდე;
- გარღვევის წერტილში დაძაბულობა ხასიათდება რღვევით, რომლის დაძლევაც შეუძლია მასალას შეუძლებელი დუფორმაციის წარმოშობის გარეშე.
- სიმტკიცე გარღვევაზე ახასიათებს ამ მასალის წინააღმდეგობას გაგლეჯაზე.

ანაბეჭდისათვის საჭირო მასალებს უნდა ჰქინდეს მაღალი გამძლეობა გასკლომაზე და აღექვატური ელასტიკურობა. მაგრამ სიმტკიცის გადიდება გასკლომაზე ნაკლად ჩაითვლება, თუ ეს მახასიათებელი აღემატება მასალის გამძლეობას დეფორმაციის მიმართ. ამ შემთხვევაში ანაბეჭდი შეიძლება არ გასკდეს, მაგრამ დეფორმირდება, რაც გამოიწვევს გვირგვინის არადამაკმაყოფილებელ არსებობას. იღეალური

მასალა აადსორბირებს უნერგიის ძირითად ნაწილს გასკლო-
მის წინ ან გასკლომის დროს, მაგრამ შეუქცევადი დეფორმა-
ციის კლინიკურად მნიშვნელოვანი კრიტიკული წერტილის
წინ ($0,4\%$ ტესტების მონაცემებით). პოლისულფილურ პას-
ტებს აქვთ მაღალი გამძლეობა გასკლომის მიმართ, მაგრამ
შეუქცევადად დეფორმირდებიან $0,4\%-ით$ გაჭიმუისას. პოლი-
კლინილსილოქსანური და პოლიეთერული მასალები სკლება
დეფორმაციის მიღწევამდე, ამიტომ მათ უპირატესობა ეძლე-
ვა კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებისათვის.

კიდევების სისქე და სიმტკიცე გასკდომაზე. ამ კონცეფ-
ციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ანაბეჭდის ყვე-
ლაზე მნიშვნელოვანი ნაწილისთვის, კერძოდ პრეპარირებუ-
ლი კბილის წანაზარდი. ამ არეში ანაბეჭდის მასალა უმცი-
რესი სისქის უნდა იყოს, და მცირე უსუსტობაც კი ძალიან
მოქმედებს რესტავრაციის ხარისხზე. აქედან გამომდინარე-
ობს, რომ წანაზარდის დონეზე ანაბეჭდის მასის სისქე საკ-
მარტ დიდი უნდა იყოს, რომ წინ აღუდგეს დეფორმაციას
კოვზის ამოღების დროს. ანაბეჭდის მასალის იმ ნაწილის
სისქე, რომელიც რჩება რეტრაქციული ძაფის ამოღების შემ-
დეგ, $0,3\text{--}0,4$ მმ-ია.

პოლივინილსილოქსანური მასალის პოლიმერიზაციის
რეაქცია ითრგუნება ლატექსის ხელთათმანების გამოყენები-
სას. პოლიმერიზაციის რეაქცია ლატექსთან კონტაქტისას
თითქმის ყოველთვის ინიბირდება (96% შემთხვევაში). ხელ-
თათმანებთან კონტაქტისას მასალის გამყარების დროის გა-
დიდება უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ხელებთან კონტაქტი-
სას, რომელზედაც დარჩა ფხენილი ხელთათმანების მოხ-
სნის შემდეგ. ითვლება, რომ პოლიმერიზაციის რეაქცია ით-
რგუნება ქლორპლატინის მჟავას კატალიზატორის გოგირ-
დის შენაერთებით კონტამინაციისას, რომლებსაც ლატექსის

წარმოებაში იყენებენ. გინილის ხელთათმანები კი არ ახდენს გავლენას პოლიმერიზაციაზე. გარდა ამისა, სუფთა ლატექსის ხელთათმანები გავლენას არ ახდენს სხვა მასალების პოლიმერიზაციაზე (კონდენსირებული სილიკონები, შეუქცევადი პილროკოლოიდები, პოლიეთერები, პოლისულფილები).

კბილ-ღრძილის ღრმულებიდან სისხლდენის შესამცირებლად მწარმოებლები რეტრაქციულ ძაფებს სხვადასხვა პომოსტატიკური საშუალებებით უღენთავენ. ეს საშუალებები (ადრენალინი, ალუმინის სულფატი, ალუმინის ქლორიდი, კალიუმ-ალუმინის სულფატი, რკინის სულფატი) გავლენას არ ახდენს პოლიეინილსილოქსანური მასალის პოლიმერიზაციაზე.

მაღეზინფიცირებელი საშუალებები გამოიყენება ინფექციური დაავალებებისაგან პერსონალის დასაცავად. ზოგიერთ სამუშაოში შესწავლილი იყო დეზინფექტანების გავლენა ანაბეჭდის მასალის თვისებებზე. ჯერჯერობით არ არსებობს ერთიანი აზრი დეზინფექციის ეფექტურობასა და ანაბეჭდის მასალის დეფორმაციას შორის კავშირის შესახებ. ითვლება, რომ მაღალეფექტური მაღეზინფიცირებელი საშუალებები (გლუტარალდეპილის და ქლორკარბოლური მჟავას ჯგუფი) 2,5 და 3%-ს კონცენტრაციით, გავლენას არ ახდენს ელასტომერული ანაბეჭდის სიზუსტესა და მასალების სამგანზომილებიან სტაბილურობაზე მათი დასეველებისას 30 ან 60 წუთით. უფრო ხანგრძლივი დასეველებისას (18 საათით) შეიძლება დაირღვეს ანაბეჭდის სამგანზომილებიანი სტაბილურობა და პროთეზის ცუდად მოვრგება. აქედან გამომდინარეობს, რომ მაღეზინფიცირებელი საშუალებებით ანაბეჭდების ხანგრძლივი დროით დამუშავება, რეკომენდებული არ არის.

კარგი მოდელის დასამზადებლად, საჭიროა რომ მოდელის მასალა ანაბეჭდის მასალასთან თავსებადი იყოს. ელასტომერების თავსებადობის ხარისხი სხვადასხვა ტიპის თაბაშირთან (IV, V და გაძლიერებული IV) შეიძლება სხვადასხვა იყოს, რაც იწვევს კონტაქტის ეფუთხების, მცირე ზომის დეტალების აღდგენის სიზუსტის და მოდელის სიმტკიცის ცელილებას სხვადასხვა ტიპის თაბაშირის გამოყენებისას. მაგრამ მიუხედავად ამისა, სხვადასხვა თაბაშირისა და ანაბეჭდის მასალის გამოყენებისას არსებობს განსხვავება მოდელებს შორის, აღექვატურად ზუსტი პრეპარირებული ქბილები შეიძლება მიუიღოთ ნებისმიერი ტესტირებული მასალისაგან.

პოლივინილსილოქსანური და პოლიეთერული ანაბეჭდების სამგანზომილებიანი სტაბილურობა და სიზუსტე კარგად არის შესწავლილი. ანაბეჭდების შენახვა 4-დან 40°C ტემპერატურამდე გავლენას ახდენს მის სამგანზომილებიან სტაბილურობაზე. ამ დიაპაზონის გარეთ ანაბეჭდები დაფურმირდება.

უიქსირებული კერამიკული რესტავრაცია შედარებით ახალი ტექნოლოგიაა სტომატოლოგიაში, რომელიც სულ უფრო პოპულარული ხდება. ითვლება, რომ თუ კბილის პრეპარირების დროს შიშულდება დენტინის მნიშვნელოვანი ნაწილი, აუცილებელია ზედაპირის დამუშავება ბონდინგით. ანაბეჭდის მასალასთან ურთიერთქმედების თავიდან ასაცილებლად, მაინციბირებელი ფენა უნდა მოვაცილოთ წინასწარ, აღვეზივის პოლიმერიზაციის ჩატარებით გლიცერინის გელის საშუალებით.

ამჟამად, ანაბეჭდების მასალაზე ჩატარებული მრავალრიცხვები *in vitro* კვლევის წყალობით, მათი თვისებები საკმაოდ კარგად არის შესწავლილი. სამწუხაროდ, მასალების

თვისებების in vivo შეფასება გაძნელებულია საკულტერი პარამეტრების სიმრავლის გამო. მაგალითად, ანაბეჭდის ხარისხზე გავლენას ახდენს რბილი ქსოვილის ოეტრაქცია, დაბინძურება სისხლით ან ნერწყვით, დეფორმაცია ანაბეჭდის კოვზის გამოღებისას პაციენტის პირიდან და ა.შ.

პოლივინილსილიკსანები თავიანთი ფიზიური თვისებებისა და დამზადების სიმარტივის გამო სტომატოლოგიაში უართოდ გამოიყენება. ახლახან ბაზარზე გამოჩნდა ახალი, უფრო მეტად პილროულბური მასალა ანაბეჭდისათვის (მაგალითად, Aquasil, Dentistply/DeTrey). მცირე სიბლანტის გამო ასეთი მასალები შეიძლება პირდაპირ დავიტანოთ პრეპარირებული კბილების ირგვლივ ხელის დოზატორიდან, იმის მსგავსად, რომელიც იხმარება ბლანტი მასის დასატანად კოვზზე. ამის გამო, არ არის მექანიკური მოწყობილობების საჭიროება ფუძისა და კატალიზატორის შესარევად. უნდა გვახსოვდეს, რომ ანაბეჭდის ხარისხი უფრო მეტად არის დამოკიდებული სტომატოლოგის მანუალურ ჩვეუბზე და ამ მასალასთან მისი მუშაობის გამოცდილებაზე, ვიდრე თავად მასალაზე ან არჩეულ მეთოდიკაზე.

სილიკონური მასალები ანაბეჭდისათვის. 1. სიელასტ-69.

სიელასტ-69 კომპოზიციაა, რომელიც შედგება პასტისაგან ციკი უულკანიზაციის სილიკონური კაუჩუკის საფუძველზე და სითხისაგან (კატალიზატორი).

პასტისა და კატალიზატორის შერევისას უულკანიზაციის შედეგად წარმოიქმნება ელასტიური ანაბეჭდი.

სიელასტ-69 პრაქტიკულად უდანაკარგო მასალაა, ამიტომ შესაძლებელია ანაბეჭდების ხანგრძლივი დროით შენახვა.

სიელასტ-69-ის პასტის პლასტიკურობა და ანაბეჭდის მაღალი ელასტიურობა დიდი სიზუსტის ანაბეჭდების მიღვ-

ბის საშუალებას იძლევა, რომელიც პირის ღრუს ქსოვილების რელიეფს დამახინჯების გარეშე ასახავს. ერთი ანაბეჭდის მიხედვით შეიძლება რამდენიმე მოდელის ჩამოსხმა.

სიელასტ-69 გამოიყენება ძღიურ მოძრავი კბილების ნაწილობრივი დეფექტებისას, პარალონტიტის დროს, არამოსახსნელი პროთეზების, ობტურატორების, ღვედების დასამზადებლად, აგრეთვე პროთეზების და ორთოდონტული აპარატების დასამზადებლად.

პასტის აუცილებელ დოზას, რომელიც აღებულია სპეციალური სკალის მიხედვით, მინის ფირფიტაზე უმატებენ სითხეს ფლაკონ-საწვეთურათი – 5-6 წუთს სკალის თითოეულ დანაყოფზე. ურეულ არაუმეტეს 1 წუთის განმავლობაში.

ანაბეჭდებს სიელასტ-69-საგან იღებენ პერფორირებული ან სტანდარტული მეტალური კოვზებით. რადგან ანაბეჭდი აღვილად შორდება კოვზს, მისი კიდეები აუცილებლად ლუკიკოლასტირით უნდა დაიფაროს. ანაბეჭდის უსლკანიზაციის დრო პირის ღრუში 4-5 წუთია. ამ დროის რეგულირება შეიძლება შეცვანილი კატალიზატორის რაოდენობით. უსლკანიზაციის სიჩქარეზე გაელენას ახდენს აგრეთვე ტემპერატურა.

მოდელების მიღების მეთოდიკა სტანდარტულია. ჩამოსხმის წინ ანაბეჭდს 15 წუთით ათვესებენ გაჯერებულ საპნიან წყალში, შემდეგ რეცხავენ წყლით და აშრობენ ჰაერზე. სიელასტ-69-ის თითოეული კომპლექსი შეიცავს: 120 გ პასტას (2 ტუბი); 8 გ სითხეს (1 ფლაკონი); დანაყოფებიან სახაზავს პასტისათვის; პოლიეთოლენის ფლაკონი-საწვეთურა ან პასტა – 200 გ (2 ტუბი პოლიმერული); სითხე – 17 გ (1 ფლაკონი).

2. სიელასტი – 05. სიელასტი – 05 ცივად გამყარებული შევსებული სილიკონური კომპოზიცია, რომელიც შედგება 2

პასტისაგან –ძირითადი (სალათისფერი) და კორეგირებული (თეთრი ფერის) და სითხე-კატალიზატორისაგან.

სიელასტი – 05 გამოყენება კბილის მთლიანი არამოსახესნელი პროთეზების ორყენიანი ანაბეჭდებისათვის, განსაკუთრებით მეტალოკერამიკული და მეტალოპლასტმასური პროთეზებისათვის.

მასალის ელასტიურობა საშუალებას იძლევა ერთი ანაბეჭდით გაკეთდეს დიდი სიზუსტის რამდენიმე მოდელი. თერმულად მდგრადია, ე.ი. მოდელებისათვის მასალად შეიძლება გამოყენებული იქნას არა მარტო თაბაშირი, არამედ აღვილადშნობადი ნადნობები. სიელასტი – 05 პრაქტიკულად უდანაკარგო მასალაა.

სიელასტი – 05-ის ძირითადი პასტით ავსებენ საზომჭურჭელს. პასტას შპატელით იღებენ საზომიდან, უმატებენ სითხე-კატალიზატორს – 1 საზომი პასტა 5-7 წევთი კატალიზატორის და ხელით ჟელენ კატალიზატორის თანაბრად გასანაწილებლად, 30-60 წუთის განმავლობაში. თუ საჭიროა მასალის ნაკლები რაოდენობა, გაზომილ პასტას ყოფენ ნაწილებად. მომზადებულ მასას დებენ კოუზში, რომლის ბოლოები დაფარულია ლეიკოპლასტირით და შეაქვთ პირის ღრუში. 5-6 წუთის შემდეგ მასა დრეკადი ხდება და კარგავს პლასიტიკურობას. ამის შემდეგ ის მზადაა. როცა მასა სულ გამყარდება, ანაბეჭდი გამოაქვთ პირის ღრუდან. აუცილებელია მკაცრად იქნას დაცული პასტისა და სითხე-კატალიზატორის თანაფარდობა. კორეგირებული პასტის აუცილებელი რაოდენობა გამოიდევნება ტუბიდან მინის ფირფიტაზე, რომლის ქვეშ საზომი სახაზავია და უმატებენ სითხე-კატალიზატორის 1:1 თანაფარდობით. მათი შერევა ხდება შპატელით 30-40 წამის განმავლობაში. მიღებულ მასას თხლად აფენენ ძირითადი ანაბეჭდის სავარაუდო მოდელზე, კოუზი ანაბეჭ-

დის მასალით კულაც შეაქვთ პირის ღრუში და ათავსებენ პირების მდგომარეობაში. 5-8 წუთის შემდეგ ანაბეჭდი გამოიაქვთ პირის ღრუშან.

მოდელის ჩამოსხმის წინ სასურველია ანაბეჭდი მოთავსდეს საპნიან წყალში 3-5 წუთით, შემდეგ გაირეცხოს გამდინარე წყლით. მეტალური ან კომპინირებული მოდელების ჩამოსხმისას ანაბეჭდი უნდა გაშრეს პაერით.

სიელასტ-05-ის კომპლექტი შეიცავს: ძირითადი პასტა – 400 გ (1 ქილა); კორეგირებული პასტა – 60 გ (1 ტუბი); სითხე-კატალიზატორი – 20 გ (1 ფლაკონი); 10 მლ ტევალობის პოლიეთილენის ფლაკონი-საწევთური; საზომი სახაზავი კორეგირებული პასტისათვის – 2 ცალი; საზომი – 1 ცალი.

მწარმოებელი: უკრაინა (ქ. ხარკოვი), „CTOMA“.

3. სიელასტ-21. სიელასტ-21 საშუალო სიბლანტის კომპოზიცია, რომელიც შედგება სილიკონური ეაზიუკის საფუძველზე დამზადებული 2 პასტისაგან – ძირითადი (ცისფერი) და კატალიზატორული (თეთრი ფერის). პასტების შერევის შემდეგ უსლკანიზაციის შედეგად მიიღება ელასტიური ანაბეჭდი.

4. სტომაფლექსი. სტომაფლექსი-სოლიდი. სილიკონური მასალა ანაბეჭდებისათვის საგოზავის სახით სილიკასანური პოლიმერის და თხევადი მაულკანიზირებელი აგენტის საფუძველზე. სტომაფლექსი-სოლიდი გამოიყენება წინასწარი ანაბეჭდების მისაღებად ორმაგი ანაბეჭდის მეთოდის შემთხვევაში, მოსახსნელი პროთეზების რემონტისას და ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზის კიდევებისათვის არშიის შემოსავლებად.

საგოზავის რაოდენობა, საზომი ჭურჭელის მიხედვით (24 გ-12,5 მლ), მინის ფუძეზე მოდელირდება ფირფიტის ფორმით 2-3 მმ სისქის და ნიჩბით ხდება მისი ზედაპირის

დაღარება. ასე მომზადებულ ყირფიტაზე ეწვეთება 10-12 წევ-
თი მავულქანიზირებელი აგენტი და კარგად ერევა ერთმა-
ნეთს მაქსიმუმ 45 წამის განმავლობაში. პაციენტის პირის
ღრუში ნარევთან მუშაობის პერიოდი 2,5 წუთს შეადგენს.

შეფუთვა სტომატლექსი-სილიდი როგორინალი – 1300 გ
(ყეითელი ფერის); მავულქანიზირებელი აგენტი – 40 გ.

სტომატლექსი-მაღამო. სილიკონური მასალა კონდენსა-
ციური ტიპის დენტალური ანაბეჭდებისათვის შეესებული
სილიქსანური პოლიმერისა და თხევადი მავულქანიზირებე-
ლი აგენტის საფუძველზე.

სტომატლექსი-მაღამო გამოიყენება ფუნქციონალური
ანაბეჭდებისათვის ორმაგი ანაბეჭდის მეთოდში, უბილო
ყბის საბოლოო ანაბეჭდებისათვის ინდივიდუალურ კოზში.

შერევის თანაფარდობაა 6 გ (4,3 მლ) სტომატლექსი-მა-
ღამო და 8-10 წევთი მავულქანიზირებელი აგენტი. სტომა-
ტლექსი-მაღამოს აუცილებელი რაოდენობა გამოი-დევნება
ტუბიდან მინის ყირფიტაზე და საჭირო დოზის შესაბამისად
უმატებენ მავულქანიზირებელი აგენტს. ორივე ნივთიერების
შერევა ხდება შპატელით 30 წამის განმავლობაში. პაციენ-
ტის პირის ღრუში ნარევთან მუშაობის დრო 4 წუთია.

შეფუთვა სტომატლექსი-მაღამო როგორინალი – 130 გ
(ცისფერი); მავულქანიზირებელი აგენტი – 20 გ.

მწარმოებელი: ჩეხეთის (ქ. პრაღა) „დენტალი“.

სტომატლექსი-პასტა სილიკონური მასალა ანაბეჭდისათ-
ვის სილიქსანური პოლიმერისა და თხევადი მავულქანიზი-
რებელი აგენტის საფუძველზე.

სტომატლექსი-პასტა გამოიყენება სრული სამუშაო ანა-
ტომიური ანაბეჭდების მისაღებად არამოსახსნელი პროთეზე-
ბის დამზადებისას, აგრეთვე ანაბეჭდების მისაღებად კბი-
ლის ნაწილობრივი პროთეზებისათვის.

შერევის თანაფარდობაა 9 გ (6,2 მლ) სტომაფლექსი-პასტა და 4-6 წელი მაცულკანიზირებელი აგენტი. სტომაფლექსი-პასტის აუცილებელი რაოდენობა გამოიიღებნება ტუბიდან მინის ფირფიტაზე და საჭირო დოზის შესაბამისად უმატებენ მაცულკანიზირებელი აგენტს. ორივე ნივთიერების შერევა ხდება შპატელით 30 წამის განმაცლობაში. პაციენტის პირის ღრუში ნარევთან მუშაობის დრო 4 წუთია.

შეფუთვა სტომაფლექსი-პასტა ორიგინალი – 175 გ (ცისფერი); მაცულკანიზირებელ აგენტი – 20 გ.

მწარმოებელი: ჩეხეთის (ქ. პრაღა) „ლენტალი“.

5. 3M. 3M – კონდენსირებული სილიკონური მასალა ანაბეჭდისათვის.

3M გამოიყენება ძირითად მასალად ანაბეჭდისათვის ორეტაპიანი ტექნიკის ღროს, თანებილების შესამოწმებელ მასალად. 3M მასალა შედგება ძალიან მაღალი სიბლანტის ცისფერი ძირითადი მასალის, დაბალი სიბლანტის ყვითელი პასტის და თეთრი აქტივატორული პასტისაგან, რომლებიც მზადდება კონდენსირებული ელასტომერული სილიკონის საფუძველზე. აქტივატორი შეიცავს კალას კატალიზატორს და ანაბეჭდების დამზადებისას გამოიყენება ძირითად პასტასთან ერთად.

ძირითადი მასალა ანაბეჭდისათვის TIP-O.

შესარევი მასალების თანაფარდობაა – ძირითადი მასის ყოველ საზომ კოვზზე (17,8 გ – 11,2 მლ) მოდის აქტივატორული პასტის 3 დანაყოფი (0,44 გ – 0,43 მლ) შესარევ ქვესადებზე. კომპონენტები შეერევა შპატელით ქეესადებზე 20 წამის განმაცლობაში. მასალასთან მუშაობის დროს 1 წუთია შერევის დაწყებიდან. პირის ღრუში მასალის ყოფნის დრო 5 წუთია.

დაბალი სიბლანტის პასტა ტИР-3.

შესარევი მასალების თანაყარდობა – დაბალი სიბლანტის მასალის ყოველ 12 დანაყოფზე (9,2 გ – 8,6 მლ) შესარევე ქვესაღებზე იღებენ 6 დანაყოფ (0,88 გ – 0,87 მლ) აქტივატორულ პასტას. კომპონენტები კარგად შეერევა შპატელით ბლოკირებულ 30 წამის განმავლობაში ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. მასალათან მუშაობის დროს 1,5 წუთია შერევის დაწყებიდან. პირის ღრუში მასალის ყოფნის დრო 5 წუთია.

შეუუთვა შეიცავს ძირითად მასას, დაბალი სიბლანტის დამაზუსტებელ საანაბეჭდო მასას და აქტივატორულ პასტას.

პროთეზის საყუძელდად აღრე იყენებდნენ სტომალიტსა და ეფნელიტს, მაგრამ მათაც აქეს უარყოფითი მხარე, კერძოდ რთულია ასეთ ფისებთან ტექნილოგიური პროცესის წარმართვა. ასეთი პროთეზები უერს მაღლე კარგავს, რის გამოც მათ აღარ იყენებენ. შემდეგში შეიქმნა უფრო ეფექტური პოლიმერული მასალები. ერთ-ერთი ასეთია აკრილურ ფისებზე დამზადებული AKP-7, საპროთეზო სამუშაო საბაზისო მასალა (აკრილატ – 7 რეცეპტურით).

ყბის ძვლის გახეხვისაგან დასაკავად შეიქმნა დასაუჯნი მასალები სილიკონების საფუძველზე: სტაბინი (ავსტრია), სილანი (აშშ), ორთოქსილი (რუსეთი).

დამზადებული პროთეზების გასასწორებლად, ღროებითი პროთეზებისა და პარალონტოზის დროს კბილის საღტუების დასამზადებლად გამოიყენებენ სწრაფად გამყარებად პოლიმერებს.

თერაპევტული სტომატილოგიის მიზანია, აღაღვინოს ნერევის პროცესი, მოახდინოს ავაღმყოფიბის გამომწევევი მიზეზის ლიკეიდირება და აღადგინოს დეფექტები და ფუნქცია. ამ ამოცანის გადაჭრის საშუალებას წარმოადგენს პლომბირება ჩანართების საშუალებით.

თავისთავად გამყარებადი პოლიმერებისაგან დამზადებული საფენების გამოყენებამდე საკმაოდ ბევრი სამუშაო ჩატარდა. თავდაპირველად იღებდნენ ცვილის ტკიფრს, რომელიც შეესაბამებოდა დასაპლომბი კბილის ღრუს, ხოლო შემდეგ ცვილის ტკიფრის მოდელის შესაბამისად ძერწაუენ პოლიმერულ პლომბს, რომელიც მაგრდება ღრუზე სპეციალური ცემენტის საშუალებით.

კბილის ღრუს ფირმირებისას, თავისუფალი მონომერის შემცველი მასალის შეტანის დროს, მონომერი შეიძლება შევიდეს დენტინში და მოახდინოს ტოქსიკური მოქმედება პულპზე (განსაკუთრებით ღრმა ღრუების შემთხვევაში), ამიტომ ამ დროს გამოიყენება საფენი, რომელიც დამზადებულია ინდიურენტული მასალისაგან (მაგალითად, ფოსფატ-ცემენტი). შემოთავაზებული პლასტიკური მასა შეიძლება გამოყენებული იქნეს ნებისმიერი პლასტიკური და რეკონსტრუქციული ოპერაციების დროს.

ათობით მილიონი ადამიანი იყენებს კბილის პროთეზს, რომელიც დამზადებულია პოლიმერული მასალების ბაზაზე. პოლიმერული პროთეზები და პლომბები ათეული წლების განმავლობაში უშუალო კონტაქტშია პირის ღრუს ლორწოვან გარსთან. ამ კონტაქტისას რაიმე უარყოფითი თანამდე მოვლენები არ ყოფილა შემჩნეული. ეს ამტკიცებს იმას, რომ ამჟამად გამოყენებული პოლიმერული მასალები უენებელია სტომატოლოგისათვის. ახალი პოლიმერული მასალების შექმნა საკმაოდ აქტუალურია, მორყეული კბილების ფიქსაციისათვის გამოყენებული მოსახსნელი არტაშნების გასაკეთებლად და სხვა მიზნებისათვის.

პროთეზის დამზადება ანაბეჭდის გარეშე. კბილის პროთეზირებაში სწრაფად გამყარებადი პლასტმასის გამო-
190

უენებასთან დაკავშირებით ზოგჯერ მიმართავენ პროთეზის დამზადებას ანაბეჭდის გარეშე, რისთვისაც უძილო ყბებზე აკადემიურის პირის ღრუში ამზადებენ ცვილის ინდივიდუალურ საანაბეჭდო კოვზებს, ამ კოვზებს ათაბაშირებენ დარიჯაში და ცვილს ჩვეულებრივი წესით ცელიან პლასტმასით. ამგვარად დამზადებულ ინდივიდუალურ კოვზებს არგვბენ შესაბამის ყბებზე, ამაგრებენ მათზე საარტიკულაციო მორგვებს და განსაზღვრავენ თანკბილების ნორმალურ სიმაღლეს ქვედა ყბის ცენტრალური ოკლუზის მდგრადარეობისას. მიღებული თანკბილება საანაბეჭდო კოვზებით გამოაქვთ პირის ღრუდან, საანაბეჭდო კოვზებს აყენებენ ცენტრალური ოკლუზის მდგრადარეობაში და ათაბაშირებენ ოკლუზატორსა ან არტიკულატორში.

პლასტმასისგან დამზადებული ინდივიდუალური საანაბეჭდო კოვზები პროთეზის ბაზისებია, რომელებზეც აყენებენ კბილებს და განაგრძობენ მუშაობის დანარჩენ ეტაპებს.

საბოლოოდ დამზადებული პროთეზების ჩაბარების დროს ამოწმებენ საპროთეზო ცელის მიმართ ბაზისების მდებარეობის საზღვრებს და კბილთა მწერივებს შორის ნორმალურ შეთანაწყობას, შემდეგ აკეთებენ პროთეზების შიგნითა ზედაპირების ფრეზირებას და გადაბაზირებას ისეთივე წესით, როგორც საერთოდ უკბილო ყბების კბილის პროთეზების გადაბაზირებისთვის არის საჭირო. ანაბეჭდის გარეშე პროთეზის დამზადება უარყოფითი მხარეების გამო არ გავრცელდა.

სუმიტა მიტრაშ პირებულად გამოიყენა სტომატოლოგიური მასალების წარმოებაში ნანოტექნილოგიები. 2004 წელს FiltekTM SupremeTM XT-ის შექმნა ნამდვილი რევოლუცია იყო სტომატოლოგიაში.

საქმე იმაშია, რომ ტრადიციული დასაპლომბი მასალა შედგება სილიციუმის და ორგანული მატრიცის (ფისი) საფუძველზე დამზადებული არაორგანული შემავსებლისაგან, ეს ნივთიერებები კი არ არის უნივერსალური, მათში არ არის შეხამებული სიმტკიცე და ესთეტიკა. ეს ნიშნავს, რომ თუ მასალა შეუმჩნეველია, ბზინავს ისევე, როგორც წეულებრივი ქბილები, იგი შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ წინა ქბილებისათვის, ხოლო თუ მასალა მტკიცეა, არ ცვდება, ის სწრაფად კარგავს თავის ბზინვარებას და ყვითლდება.

სწრომელ ეს პრობლემა გადაჭრა Filtek™ Supreme™ XT მასალამ. ინოვაციური ცირკონიუმ-სილიციუმის შემავსებელი შედგება ნანომერებისა და ნანოკლასტერებისაგან, რომლებიც სპეციალურ ღუმელშია შეცხობილი. ასეთი უნიკალური შემავსებელი მასალას აძლევს სიმტკიცეს და ის კარგად პრიალებს. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც წინა ქბილების, ასევე გვერდითი ქბილებისთვისაც. არის შეუმჩნეველი და ესთეტიური. ამიტომაც ამ მასალამ დოდი პიპულარობა მოიპოვა სტომატოლოგიაში. ზედიზედ სამი წლის განმავლობაში ავტორიტეტული ექსპერტული სტომატოლოგიური გამოცემის (Dental advisor, აშშ) მიერ Filtek Supreme აღიარებული იყო წლის კომპოზიტად.

ამჟამად რიგ სტომატოლოგიურ კლინიკებში („ВладМи-Бა“) უკვე იყენებენ ნანოტექნოლოგიებს და როგორც შედგები აჩვენებს, წარმატებითაც.

არსებობს ცნობები ნანომილაკების გამოყენების შესახებ კბილების დასაცავად. კბილების დასაცავ ხელოვნურ საფარში ნანომილაკების გამოყენებამ შესაძლებელია თავიდან აგვაცილოს კბილების დაავადებები და ეს ნამდვილი სენსაცია იქნება სტომატოლოგიაში.

ლიტერატურა

1. Ревзин И.И. Стоматология, 1954, 2, 53.
2. Ревзин И.И. В сб.: Вопросы применения препаратов пластмасс в медицине. М., 1956, 12.
3. Ревзин И.И., Попов П.И. В сб.: Полимеры в медицине и медицинской промышленности. У. 1. Л., 1964, 34.
4. Роскин Г.И., Левинсон Л.В. В кн.: „Микроскопическая техника”. М., 1967, 41.
5. Рыбаков А.И. и др. Стоматология, 1967, 3. 11.
6. Graig R.G. et al. //Brit. J. Plast. Surg. 1975, v., 28, №1, p. 67-70.
7. Урабё Ё. //Когё Дзайрё. 1979, т. 27, №9, p. 61-64.
8. Mohier L. R., Portefield H.W., Ferraro D.W. // Arch. Surg., 1976, v. 111, №4, p. 452-455.
9. Брусова Л.А., Поюровская И.Я., Карпухина Н.И. //Тез. докл. V Всесоюзн. симп. „Синтетические полимеры медицинского назначения”. Рига, 1981, с. 19-20.
10. Habel V.B., Chalian V.A. // J. Biomed. Mat. Res., 1976, v.10, №4, p. 529-536.
11. Kent K., Beekroft W.A. //J. Surg. Oncol., 1982, v.19, №3, p. 176-187.
12. Sher M.R. //J. Oral Surg., 1976, v.34, №10, p. 919-920.
13. Howe D.J. //J. Oral. Surg., 1979, v.37, №1, p. 59-62.
14. Muchnick R.S., et al. //Am. J. Ophthalmol., 1979, v.89, №5, p. 889-897.
15. Cohen S. // S. Afr. Med. J., 1982, v.61, №19, p. 690-692.
16. Finger W., et al. //Scand. J. Dent. Res., 1983, v. 91, №1, p. 61-65.
17. Taicher S. // J. Prosth. Dent., 1982, v.48, №5, p. 562-564.
18. Masella R.B., et al. // J. Prosth. Dent., 1975, v.33, №3, p. 250-257.
19. Segall B.W., et al. // J. Prosth. Dent., 1982, v.47, №13, p. 85-87.

20. Goldstein C.R. // J. Prosth. Dent., 1976, v.36, №4, p. 368-372.
21. Kasman T., et al. //Oral Surg., 1977, v. 43, №4, p. 607-614.
22. Jonas Junevicius, Alvydas Pavilonis, Algimantas Surna. Transmission of Microorganisms from Dentists to Dental Laboratory Technicians through Contaminated Dental Impressions Stomatologija, Baltic Dental and Maxillofacial Journal, 2004, 6, 20-23.
23. Anders PL, Drinnam AJ, Thines TJ. Infectious Diseases and the Dental Office *NY State Dent J* 1998; 64(4): 29-34.
24. Jennings KJ, Samaranayake LP. The persistence of microorganisms on impression materials following disinfection. *Int J. Prosthodont* 1991; 4(4): 382-7.
25. Jagger DC, Huggett R, Harrison A. Cross-infection control in dental laboratories. *Br Dental J* 1995; 179(3): 93-6.
26. Покровский ВИ, Поздеев ОК. Медицинская Микробиология. Москва: ГЭОТАР Медицина 1999.
27. Touyz LZ, Rosen M. Disinfection of alginate impression material using disinfectants as mixing and soak solutions. *J Dent.* 1991; 19(4): 255-7.
28. D. K. Dwivedi, R Sharma, A Kumar. Influence of silicon content and heat treatment parameters on mechanical properties of cast Al-Si-Mg alloy. International Journal of Cast Metals Research 2006, vol. 19, Issue: 5, Pages: 275-282.
29. D. Fabrègue, A. Deschamps and M. Suéry. Influence of the silicon content on the mechanical properties of AA6xxx laser welds. Materials Science and Engineering: A 2009, vol. 506, Issues 1-2, 25 April Pages 157-164.
30. Diana A Lados, Diran Apelian, Libo Wang. Minimization of residual stress in heat-treated Al-Si-Mg cast alloys using uphill quenching: Mechanisms and effects on static and dynamic properties. Materials Science and Engineering A, 2010, vol. 527(13-14), 3159-3165.

31. J.K. Lee, D.H. Bae, W.T. Kim, D.H. Kim. Sliding temperature and wear behaviour of cast Al-Si-Mg alloys. Materials Science and Engineering A, 2004, vol. 382(1-2), 332-335.
32. Vorhies AB, Donly KJ, Staley RN, Wefel JS. Enamel demineralization adjacent to orthodontic brackets bonded with hybrid glass ionomer cements: an in vitro study. Am J Orthod Dentofacial Orthop, 1998; 114(6),668-674.
33. Hasan N. Alkumru, Sebnem Begum Turker. Buket Evren. Use of Polyethylene Fibre Ribbon Reinforced Composite Resin as Post-Core Build-Up: A Technical Report. Technical report (tr). Balk J Stom, 2008; 12, 174-177.
34. Laurie C. Hartman, Russell W. Bessette, Robert E. Baier, Anne E. Meyer, John Wirth. Silicone rubber temporomandibular joint (TMJ) meniscal replacements: Postimplant histopathologic and material evaluation. Journal of Biomedical Materials Research, 1988, v. 22 (6), 475 484.
35. Jarosław Źmudzki, Wiesław Chladek. Elastic silicone matrices as a tool for load relief in overdenture implants. Acta of Bioengineering and Biomechanics. 2008, vol. 10, No. 4, 7-14.
36. Adrian E.D., Krantz W.A., Ivanhoe J.R., The use of processed silicone to retain the implant-supported tissue-borne overdenture, J. Prosthet. Dent., 1992, 67, 219 22.
37. Taddei C., Metz m., Waltman E., Etienne O., Direct procedure for connecting a mandibular implant-retained overdenture with ball attachments, J. Prosthet. Dent., 2004, 92, 403 404.

IV. სილიკონები პლასტიკურ ქირურგიასა და ქოსმეტოლოგიაში

პირველი სილიკონური იმპლანტები დამზადებული იქნა 1961 წელს ტეხასში (აშშ). ამჟამად სილიკონური იმპლანტების მეხუთე თაობა არსებობს და მათთვის დამახასიათებელია ფირმის სტაბილურობა, შეწებების მაღალი უნარი (კოპეზური თვისებები). გარდა ამისა, მეხუთე თაობის სილიკონურ იმპლანტებში მინიმუმადეა დაყვანილი სილიკონების გაოცდიანება იმპლანტანტის გარსის გაულით.

სილიკონური იმპლანტები განსაკუთრებით პოპულარულია ეკროპაში. მრავალი ცდისა და გამოკყლევის შედეგად დამტკიცებული იქნა, რომ სილიკონი უსაყროხოა, არ იწვევს კიბოს განვითარებას და აუტოიმუნურ დაავადებებს.

სილიკონური იმპლანტები დამზადებისას შეიძლება შეივსოს გელით, შეიძლება იყოს ორმაგი, ერთი ნაწილი გამკკრივდეს სილიკონური გელით, ხოლო მეორეს (შინაგანი) ავსებენ მარილის ხსნარით ოპერაციის პროცესში. იმპლანტების მესამე ტიპი, ასევე ორმაგი, შიგნით, ოპერაციის დროს ივსება მარილის ხსნარით, მაშინ, როცა გარე ნაწილი, უკე დამზადებისას ივსება სილიკონით.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მარილის და სილიკონის იმპლანტები, რომელთა მოცულობის კორექტირება ოპერაციის შემდეგაც შეიძლება, უკელაზე მეტად გავრცელებულია იმპლანტები, რომლებიც დამზადებისას არის შევსებული ნივთიერებით.

სილიკონური იმპლანტის გასკელომისას მეტადი ფირმას არ იცლის, რისი თქმაც არ შეიძლება მარილის იმპლანტზე, საიდანაც ხსნარი მთლიანად გამოვლინება. ყოველ იმპლანტს

ხმარების თავისი უადა აქცეს, რომლის გასელის შემდეგ ის უნდა შეიცვალოს.

1961 წლიდან სილიკონური იმპლანტების მეხუთე თაობა არსებობს.

პირველი თაობის სილიკონური იმპლანტები დამზადებული იყო ცრემლის ფორმის სილიკონის გარსისაგან, რომელიც შევსებულია სილიკაგელით. ამ გარსის უკანა კედელზე დაკრონის „ზესადები“ იყო დამაგრებული, რომელიც ეწინააღმდეგებოდა იმპლანტის წანაცვლებას.

მეორე თაობის სილიკონური იმპლანტები 1970 წლიდან არსებობს და უფრო რბილი და მოქნილია. ისინი შედარებით თხელია და გელიც უფრო წებოვანი. სილიკონის გარსიც უფრო თხელია. ამ იმპლანტების ნაკლია სილიკონის გარსის გასედომის დიდი რისკი, აგრეთუე სილიკაგელის გაოულიანება გარსის შიგნით, რაც იწევედა ერნტაქტისას კაფსულის წარმოქმნას. ამ ტიპის სილიკონებმა გასული საუკუნის 90-იან წლებში აშშ-ში სასამართლო პრეტენზიების დიდი ტალღა გამოიწია ფირმა „Dow Coming“-ის წინააღმდეგ, რომელიც ამ მასალას უშევებდა. 1970-იან წლებში შეიმუშავეს პოლიურეთანის ქაფი, რომლითაც სილიკონური იმპლანტები იყარებოდა. იგი ამცირებდა აღნიშნულ რისკს ანთებითი რეაქციით, რის შედეგადაც მცირდებოდა იმპლანტის კაფსულის ირგვლივ ფიბროზული ქსოვილის წარმოქმნის აღბათობა. მაგრამ შემდგომში ამ იმპლანტებზეც უარი ითქვა, პოლიურეთანის დაშლის პოტენციური კანცეროგენური უფექტის გამო. უფრო მოგვიანებით აშშ-ში მიერდნენ იმ დასკვნამდე, რომ ეს რისკი მეტად მცირე იყო.

სილიკონური იმპლანტები პოლიურეთანის საფარით ახლაც გამოიყენება უეროპაში და სამხრეთ აურიკაში, აშშ-ში კი – არა, რაღაც არ არსებობს აშშ-ის საკვები პოლუქტე-

ბისა და სამკურნალო საშუალებების კონტროლის ფედერალური სამართლებოს ნებართვა. მეორე თაობის სილიკონური იმპლანტებიც მზადდებოდა ორმაგი დიზაინით. პრაქტიკულად ეს იყო სიღიკონური იმპლანტი მარილის იმპლანტის შიგნით. ეს კეთდებოდა გელის კოსმეტიკური უფექტის მიღწევის მიზნით იმპლანტის შიგნით, მაშინ, როცა გარედან მას მარილის ხსნარი პქონდა, რომლის მოცულობის კორექტირება შესაძლებელი იყო იმპლანტის დაყენების შემდეგ. თუმცა, ასეთი იმპლანტების რთული აგებულების გამო, ხშირი იყო გართულებები.

მესამე და მეოთხე თაობის იმპლანტები მზადდებოდა გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. მათი თავისებურება იყო ელასტომერის საყარი გაოფლიანების შემცირების მიზნით, ასევე უფრო სქელი და წებოვანი სილიკონის გამოყენება. ამ ჯგუფის იმპლანტებს პქონდათ როგორც მრგვალი, ისე წაწვეტებული ყორმა. წაწვეტებული ყორმა უფრო ანატომიურად ითვლებოდა.

მეხუთე თაობის იმპლანტები გამოირჩევიან სტაბილურობით და მაღალი კოპეზიურობით (წებოვანებით). აშშ-ში მათი გამოყენება დაიწყეს მოგვიანებით, სხვა ქვეყნებთან შედარებით, სადაც ისინი 90-იანი წლებიდან გამოიყენებოდა. ამ ტიპის იმპლანტებში გამოიყენება ნახევრადერთგვაროვანი გელი, რომელიც თავიდან გვაცილებს მიგრაციას (გაოყლიანებას). ასეთი იმპლანტები, აღრე არსებულებთან შედარებით მეტად უფექტური აღმოჩნდა. ისინი ნაკლებად სკლებოდნენ და ნაკლებად წარმოქმნიდნენ კაფსულარულ სტრუქტურას.

მეერთის პოლიპროპილენური იმპლანტები ცნობილია აგრეთვე ბოჭკოვანი იმპლანტების სახელწოდებით. ეს არის მკერდის იმპლანტი, რომელიც დამზადებულია პოლიპროპილენის საფუძველზე ექიმ ჯერალდ ჯონსონის მიერ. გართულ 198

ლებების გამო ის აკრძალულია აშშ-ში და ევროპავშირში. ეს იმპლანტები შეიწოვს სითხეს და ფართოვდება, რითაც მიიღწევა მკერდის გაფართოვდის ეფექტი.

სილიკონები გამოიყენება ქირურგიაში, როგორც მშვენიერი მასალა რეკონსტრუქციისათვის. 40 წლის მანძილზე, მეცნიერებმა იპოვეს საშუალება შეეცვანათ ადამიანის ორგანიზმი სილიკონი ორგანიზმისათვის ზიანის მიყენების გარეშე. იმპლანტაციისას ნიკონიერება არ ეხება კანს და ქსოვილს – პოლიმერი მოთავსებულია გარსში, რომელიც იმდენად მტკიცეა, რომ უძლებს ავტომობილის წონას. მხოლოდ ტევით არის შესაძლებელი მისი გახვრეტა. ოპერაციის შემდგომი ყველა გართულება თავად სილიკონთან არ არის დაკავშირებული: მხოლოდ ქირურგის ოსტატობაზეა დამოკიდებულია წარმოიშვება თუ არა ანთება, ფიბროზი, რამდენად შესამჩნევი იქნება შრამი. თუმცა, ამჟამად შესაძლებელია მის დასაუარად ულტრაბგერითი კოსმეტიკური ტატუირებაც. მკერდის გარდა, სილიკონით შესაძლებელია დუნდულების ფორმის კორექტირება, თებოვების მოდელირება, დაგრეხილი ფეხების გასწორება და ა.შ.

სილიკონის ნაკლია მისი შეუდწევადობა რენტგენის სხივების მიმართ. ეს გარეუეულ პრობლემებს უქმნის ექიმმათლოგებს, რომლებსაც ამის გამო არ შეუძლიათ აღმოაჩინონ ნირმისაგან ესა თუ ის გადახრა. ესთეტიკური მედიცინა დღემდე სარგებლობს სილიკონით, ნაოჭების საწინააღმდეგოდ და ტუჩების ფორმის შესაცვლელად. ყევლა ოპერაცია აღგილობრივი ანესთეზიით მიმდინარეობს. შედეგი მაშინვე არ მიიღწევა, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში ძლებს.

სილიკონები კოსმეტოლოგიაში ძირითადად გამოიყენება თმის მოსავლელად, აგრეთვე დეკორატიულ კოსმეტიკაში.

სწორედ სილიკონი აფიქსირებს თმის გარცხნილობას და აძლევს თმას ბზინგარებას. სილიკონს შეიცავს თითქმის 50% კოსმეტიკური საშუალებებისა. არსებობს კოსმეტიკურ საშუალებებში ორგანული ნაერთების სილიკონის წარმოებულებით შეცვლის ტენდენცია. ყველაზე გავრცელებული პრეპარატები, რომლებიც შეიცავს სილიკონს, არის თმის მოვლის საშუალებები და შამპუნები. სწორედ კონდიციონერების უნარის მქონე სილიკონური დანამატების გამო ხდება თმა აბრეშუმისავით ბზინგი და რბილი. მათი გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა ქიმიური დახვევისა და აგრესიული დასაბანი საშუალებების გამოყენების შემდეგ. შამპუნის ან კონდიციონერი-გადასაცლების შემაღენლობაში შემავლი სილიკონი თანაბრად ნაწილდება თმის ზედაპირზე, სასარგებლობით თავის კანის ქსოვილისათვის. მასში აღვილად გადის ნესტი და უანგბადი და თავის კანის სუნთქვა არ ირჩევეა. ყველა სილიკონი თმას აძლევს ბზინგარებას, მისი გამოყენების შემდეგ აღვილი ხდება თმის დაკარცხვნა და მისთვის სასურველი ფორმის მიცემა.

შამპუნში სილიკონის შემცველობის არსებობა აღვილად შესამჩნევი იყო. თუ შამპუნი იყო საღაფისმაგვარი, ის შეიცავდა სილიკონს. აღრე კოსმეტოლოგებმა უბრალოდ არ იცოდნენ როგორ აეცილებინათ თავიდან წყალში უსსნალი სილიკონის შემცველი ემულსიის სიმღვრივე. ამიტომ შამპუნს უმატებდნენ სპეციალურ დანამატებს, ამ დაფუქტის დასამალად. ამჟამად კრაქტიკულად შეუძლებელია სილიკონური დანამატების შემცველობის დაყიქსირება შანპუნებში – ქიმიკოსებმა ისწავლეს ნალექის მოშორება, სრულიად გამჭვირვალე ემულსიის მიღება. წამწამების ტუშში სილიკონის არსებობა უზრუნველყოფს პიგმენტის თანაბრად განაწილებას, იცავს წამწამებს და ანიჭებს მათ ბზინგარებას. ასევეა

პომადებშიც. რაც მთავარია, სილიკონის შემცველი დექორატიული კოსმეტიკური საშუალებები დიდხანს რჩება კანზე, წყალმედეგია და მტკიცე. დეზოდორანტებსა და მზისაგან დამცავ ერემებში ასევე შედის სილიკონი (კერძოდ ფენილტრიმეტიკონი). ორივე შემთხვევაში ისინი იცავენ პრეპარატების მათეთრებელი მოქმედებისაგან (თეთრი ზოლების გაჩენა სხეულზე ან ტანსაცმელზე) და ხელს უწყობენ კანზე აქტიური ინგრედიენტების თანაბრად განაწილებას. სილიკონის შემცველობის გამო მზის საწინააღმდეგო ლოსიონები და დეზოდორანტები წყალმედეგია, კომფორტულია და სასიამოვნო. სილიკონის წყალბით კარგად იხმარება ბურთულიანი და მყარი დეზოდორანტები: სილიკონი კარგი საცხია ბურთულის ან სარქეულისათვის. სილიკონი გამოიყენება თმის მაღამოების, ლოსიონების, მუსების და გელების ემულგატორადაც. ეს დანამატი მრავალფუნქციურია. მისი არსებობა ამცირებს ცხიმის შემცველობას და მაღამოს ნაკლებად ცხიმოვანს და წებოვანს ხდის. საერთოდ, სილიკონის შემცველობის გამო, კოსმეტიკური საშუალებები გაცილებით სასიამოვნოა შეხებისას, ადვილად ნაწილდება კანზე. სილიკონის ფენა არ უშლის კანს სუნთქვას, იცავს ტოქსიკური და ბუნებრივი გამღიზიანებლებისაგან, არბილებს და ხავერდოვანს ხდის მას.

მარტივი სილიციუმის დიოქსიდისაგან(კვარცის ქვიშა) რამდენიმე ქიმიური რეაქციით იღებენ სილიკონურ პოლიმერულ ნაერთებს. სილიკონის მოლეკულებს აქვთ სხევადასხევა სიგრძე, ქიმიური და სიურცითი სტრუქტურა. ამის გამო სილიკონურ ნაერთები განსხვავდებიან თვისებებით და სხვადასხვა დანიშნულებისათვის გამოიყენება. წყალში ხსნადი სილიკონები გამოიყენება შამპუნებში. ისინი აუმჯობესებს ქაფწარმოქმნას, აღვილად ჩამოიბანება წყლით და არ რჩება

თმებზე. სილიკონური ჴქონდი არ იხსნება წყალში, ბზინგარებას აძლევს თმას, არბილებს, ააღვილებს დაფარცხნას. ამის გამო მათ ხშირად იყენებენ თმებზე გაღასავლებ საშუალებებში, თმის სამკურნალო საშუალებებში, – და სხვა კომბინირებულ კოსმეტიკურ საშუალებებში. სილიკონური ზეთის ჩამობანა სპეციალური შამპუნებით ხდება, თუმცა, ხშირი გამოყენების დროს ის რჩება თმებზე და წარმოქმნის დამცავ ფენას.

აორთქლებადი სილიკონები იცავს თმებს და ამცირებს გაშრობისთვის საჭირო დროს. მაღალპოლიმერული სილიკონები ყველაზე მდგრადია და განსაკუთრებული შემთხვევებისათვის გამოიყენება. მაგალითად, თმის გახლებითი ბოლოების შესაერთებლად. ისინი შედის განსაკუთრებული სამკურნალო საშუალებების შემადგენლობაში, თმებზე წარმოქმნის მეცნივ ფენას და ძნელად შორდება. აორთქლებადი სილიკონებია ციკლომეთიკონი და მისი წარმოებულები და ფენილტრიმეთიკონი. წყალში ხსნადი სითხეებია – დიმეტიკონი და მისი წარმოებულები. ელასტომერები მაღალმოლექულური პოლიმერებია. ეს ნივთიერებები გამოიყენება შემსქელებლებად თხევადი მაღამოებისათვის და კანის რელიეფის გასასწორებლად.

სილიკონის ტუჩები. სილიკონის საშუალებით ტუჩების გადიდების ოპერაციები ძალიან პოპულარული იყო 5-10 წლის წინ. მაგრამ ამ მასალის გამოყენებით ყოველთვის როდი მიიღებოდა ბუნებრივი შედეგი და ამასთან ხშირად არასასურველ გვერდით ეცექტებს ჰქონდა აღგილი. ამიტომ, უკანასკნელ წლებში ტუჩების გასაღილებლად დაიწყეს თანამედროვე მასალების გამოყენება, რომლებიც გამოირჩევა თავსებადობის მაღალი ხარისხით, ნაკლები უკუკენებით და

ნატურალური ტუჩების ეფექტს იძლევა. ასეთი მასალებია გიალურონის მუავა, კოლაგენი და სხვა.

მრავალ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში აკრძალულია ტუჩების გასაღიდებლად სილიკონის გამოყენება. ეს გამოწვეულია მრავალი საჩივრით მსგავსი ოპერაციის შემდეგ. გარდა ამისა, გიალურონის მუავასაგან განსხვავებით, რომელიც თანდათან გაიწოდება, სილიკონი ქსოვილში რჩება. ერთის მხრივ ეს შეიძლება დაღებითად ჩაითვალოს, რადგან სასურველი ეფექტი დოდხანს არ ძლებს, მაგრამ მეორეს მხრივ უხარისხო შედეგისას პრობლემა თავისთავად არ გადაიჭრება. ამასთან, სილიკონს, როგორც უცხო სხეულს, შეუძლია გამოიწვიოს სერიოზული ანთებითი რეაქცია, რომლის ინტენსივობა ორგანიზმის ინდივიდუალობაზეა დამოკიდებული.

ტუჩებში სილიკონის შეყვანისას ორგანიზმი რეაგირებს უცხო სხეულზე ფაგოციტების და ლიმფოციტების დაგროვებით. რადგან სილიკონის გამოყვანა არ ხერხდება, ხდება შემაერთებელი ქსოვილის აქტიური წარმოქმნა, რომელიც შედგება ფიბრობლასტებისაგან და იწვევს უცხო სხეულის ე.წ. „კაპსულირებას“. ასე ცდილობს ადამიანის ორგანიზმი სილიკონის შეყვანისას გაღიზიანების და ანთებითი პროცესის შემცირებას. ეს პროცესი ძალიან გავს მარგალიტის წარმოქმნას, ოღონდ ქვიშის მაგიურობას სილიკონი ასრულებს, ხოლო ხამანწერი – ადამიანის ორგანიზმია.

სილიკონის ირგვლივ კოლაგენური ბოჭკოს ზრდადი მოცულობა საბოლოოდ იწვევს შემაერთებელი ქსოვილის მნიშვნელოვან გაღიღებას. თუ ორგანიზმი აგრძელებს რეაგირებას ტუჩებში შეყვანილ სილიკონზე, წარმოიქმნება სულ უფრო მეტი კოლაგენი ამ ნივთიერების ირგვლივ. ამ პროცესის დაღებითი მხარე სილიკონის კარგი ჰერმეტულობა, რომელსაც აღარ შეუძლია მიგრირება გარემომცველ ქსოვილში. ამ-

რიგად, სილიკონის გამოყენებით ტუჩების გადიდების ეფექტს აღვილი აქვს არა მარტო თვით ამ ნივთიერების გამო, არამედ უფრო მეტად მასზე ორგანიზმის რეაქციის გამო. სწორედ ამიტომ, შეუვანილი უნდა იქნეს სილიკონის მცირე რაოდენობა, ხოლო მის ირგვლივ ფორმირებული კოლაგენის მოცულობა დამოკიდებულია სილიკონის მიმართ ორგანიზმის მგრძნობელობაზე და გამოყენებული მასალის ხარისხზე. დაბალი ხარისხის სილიკონი იწვევს ძლიერ გადიზიანებას და სერიოზულ გართულებებს.

გარდა ამისა, სილიკონის ტუჩები ყოველთვის არ არის მიმზიდველობის ის ეტალონი, რისკენაც ქალი მიისწრაფუის. ზოგჯერ შედეგი სავალალოა. ამიტომ, კარლინალური გადაწყვეტილების მიღებამდე, ყოველთვის საჭიროა დადებითი და უარყოფითი მხარეების გაანალიზება. სილიკონის ალტერნატივა ბიოშეთავსებადი გელი, რომელიც ტუჩების გადიდებას იწვევს მხოლოდ განსაზღვრული დროით. გარდა იმისა, რომ ამ ნივთიერების მონაცემები უფრო ბუნებრივია ადამიანის ორგანიზმისათვის, ისინი ქალს საშუალებას აძლევს დარწმუნდეს, რომ მსუქანი ტუჩები მას მოუხდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარუმატებელი გარეგნობა დროებითი იქნება და არ გამოიწვევს ხანგრძლივ ყსიქოლოგიურ დისკომფორტს. სილიკონის ტუჩები ხშირად იმდენად ცვლის ქალის გარეგნობას, რომ ის ამისათვის მზად არ არის. გარეშეთა მიერ ამ ახალი გარეგნობის მიუღებლობაც დამატებით სტრესს უქმნის მას, და ყოველივე ამან შეიძლება დეპრესიაც გამოიწვიოს.

თანამედროვე კოსმეტოლოგია ტუჩების გადიდების ახალ ხერხს გვთავაზობს – ლიპოფილინგი, რომელიც ტუჩებს ბუნებრივ მოცულობას აძლევს, ხდის მათ მგრძნობიარესა და ლამაზს. ამ პროცედურის დადებითი მხარეა პაცი-
204

ენტის საკუთარი ცხიმის გამოყენება, რაც ალერგიული რეაქციის თავიდან აცილების საშუალებაა. ლიპოფილინგის დროს პაციენტი არ გრძნობს ტკიფილს, და შედეგი დიდხანს არის შენარჩუნებული.

თანამედროვე ქალები სილამაზისათვის ბრძოლაში ერთი უკიდურესობიდან მეორეში ვარდებიან. ერთნი დიეტის შედეგად აღწევენ ავადყოფურ სიგამხდრეს, მეორენი კი მიისწრაფვიან ფუშფუშა ფორმებისაკენ და პლასტიკურ ქირურგებს მიმართავენ. დღეისათვის სხეულის სილიკონური ნაწილებით ვერავის გააკვირებ. ყოველწლიურად იზრდება იმ ადამიანების რიცხვი, რომელებიც აღწევენ მოცულობის გაზრდას სილიკონის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენილია მრავალი ახალი იმპლანტი.

პირველი სილიკონური იმპლანტი 1960 წელს გამოჩნდა, თუმცა სხეულის არასრულყოფილი ფორმების კორექტირების სურვილი აღრეც პქინდათ. მკერდის გადიდებას ცვლილობდნენ პაციენტის ცხიმოვანი ქსოვილით, რომელსაც თებოდან იღებდნენ, პარაფინის საშუალებით, ივალონის საშუალებით, პოლისტანის, ეთერონის და სხვა მასალების საშუალებით. მაგრამ ეს ცვლები არ იყო წარმატებული. მკერდის სილიკონური პროთეზის გამოყენების იღეა ამერიკელ პლასტიკურ ქირურგებს დაეძალათ – ურენკ გეროუს და ტომას კრონინს. 1962 წლიდან მათ დაიწყეს სილიკონური ენდოპროთეზების გამოყენება პაციენტებზე, რომელთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდებოდა. 15 წლის შემდეგ უირმა „Dow Coming“-ის წინააღმდეგ გაჩნდა პრეტენზიები და საჩივრები. პირველი სასამართლო გარჩევა მოიგო პაციენტმა კლიკლენდიდან, რომელმაც მოითხოვა ანაზღურება მიუხებული ტანჯეისათვის, რაც სილიკონური იმპლანტის გასკდომაზ და შემდგომმა ოპერაცი-

ებბმა გამოიწვია. ეს 170 ათასი ლოდინარს შეაღგენდა. თუმცა, სასამართლო პროცესი არ გახმაურებულა.

1980 წლიდან მედიკოსებმა გამოთქვეს შეშფოთება, რომ სილიკონური იმპლანტები მკერდის კიბოს და აუტოიმუნური დაავადებების პროცესირებას იწვევდა. მათ საყუმყლად უდევეს იმუნიტეტის რეაქცია, რომელიც მიმართულია საკუთარი ორგანოების, ან ორგანიზმის ქსოვილების წინააღმდეგ. 1991 წელს ანალოგიური შემთხვევის გამო კომპენსაცია – 7,3 ათასი ლოდინარი მიიღო კიდევ ერთმა პაციენტმა – მერიან პოპკინსმა. 1991 წელის ბოლოსათვის უკვე 137 სანივარი არსებობდა. ამის გამო, აშშ-ის საკეთი პროდუქტებისა და სამკურნალო საშუალებების კონტროლის ფედერალური სამართველომ, შექმნა კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ონკოლოგები, იმუნოლოგები, რაციოლოგები, გინეკოლოგები. მიუხედავად იმისა, რომ არ იქნა დამტკიცებული კავშირი სილიკონურ იმპლანტებსა და კიბოსა და აუტოიმუნური დაავადებების განვითარებას შორის, 1992 წელს კომისიამ რეკომენდაცია გამოსცა შეეხლულათ სილიკონური იმპლანტების გამოყენება, ხოლო პაციენტებისათვის ჩაეტარებინათ გამოკულევები აუტოიმუნური დაავადებების წარმოქმნის რისკის დასადგენად. ეს გადაწყვეტილება არალოგიური ჩანს: თუ სილიკონური იმპლანტები მართლაც იწვევს სიმსიცნის განვითარების პროცესირებას, მაშინ რა საჭიროა ასეთი პროთეზების გამოყენება მკერდის აღსაღვენად სიმსიცნის მეურნალობის შემდეგ? მას შემდეგ, რაც 1992 წელს აშშ-ში აიკრძალა თხევადი სილიკონის არამოტივირებული იმპლანტაცია, ამერიკაში ძალიან პოპულარული გახდა ე.წ. „სილიკონური საღამოები“, რომლებიც განსაკუთრებით ტრანსენსტების ყურადღებას იყორბდა. ისინი იქ მიღოდნენ თხევადი სილიკონის კანქვეშა ინექციის მისაღებად,

რომელიც ძალიან ხშირად არა სამედიცინო იყო. სილიკონის ამ არალუგალურ ინექციებზე მოთხოვნა ძალიან დიდი იყო. ის გაცილებით იაყი იყო, ვიდრე პლასტიკური ქირურგის მომსახურება. მაგრამ ძალიან ხშირად ეს საღამოები ტრაგიკულად თავდებოდა. ვენაში შემთხვევითი მოხელედრისას, სილიკონი შედიოდა სისხლში და აუცილებლად იწვევდა სიკუდილს. გარდა ამისა, სილიკონი, რომელიც კანქენა ინექციის საშუალებით შედის ორგანიზმში, ხშირად იწვევს ალერგიულ რეაქციას, იმუნოსისტემის დარღვევას, მრავალრიცხოვან შესიებას და ტკიფილს ზურგში.

პედრო ალმადოვარის ფილმში „ჰელაფერი დედაჩემის შესახებ“, ტრანსუსტი არგადო საუბრობს თავის მძიმე ცხოვრებაზე, უსასრულო რაოდენობის ოპერაციებზე, რომელიც მან გადაიტანა, სილიკონების კილოგრამებზე, რომელიც მან მიიღო იმისათვის, რომ ქალად ქცეულიყო.

სილიკონურ იმპლანტებზე აკრძალვა ამერიკაში 2006 წელს მოიხსნა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იმპლანტები უსიტყვოდაა გამართლებული. ამ მიმართულებით კვლევა გრძელდება.

მკერდის სილიკონურ იმპლანტებს დიდ ცვლილება არ განუცდია მათი არსებობის დასაწყისიდან. პროთეზი წარმოადგნს მტკიცე სილიკონის გარსს შემავსებლით. თანამედროვე იმპლანტები მკერდის გასაღილებლად, შევსებულია სილიკაგელით, ფიზიოლოგიური (მარილიანი) ხსნარით ან კარბოქსიმეთილცელულოზით (გმც). სილიკონის უპირატესობაა ის, რომ ის ქალის მკერდის კარგ იმიტირებას ახდენს. წებოვანი და ბლანტი სუბსტანცია, რომელიც ენდოპროთეზის შიგნით არის მოთავსებული, არ გამოედინება გარსის გასკდომისას. იდეალურ შემთხვევაში, უცხო სხეული არ უნდა

მოხვდეს ორგანიზმში, მაგრამ ამის გარანტიის მიცემა მუტად როგორია.

ფიზიოლოგიური ხსნარით შევსებული იმპლანტები სამედიცინო თვალსაზრისით საფრთხეს არ შეიცავს, მაგრამ ის არ არის რბილი და არა აქეთ „ფორმის მეხსიერება“ სილიკონური იმპლანტების მსგავსად. ამიტომ ზოგჯერ იჭმუჭნება და წაინაცელებს ხოლმე. სამაგიეროდ მათი დაუყონება მეტად მცირე დროს მოითხოვს და არ საჭიროებს დიდ ზომებს. ასეთი პროთეზების მატარებლებს ყოველთვის აფრთხილებენ, რომ შეიძლება მკერდის გარეშე დარჩნენ – თუ სითხით შევსებული იმპლანტი გასკდა, გაცემა ან მწყობრიდან გამოყოდა სარქეცელი, მარილიანი წყალი გამოიყენება, შეიწყვება ქსოვილების მიერ და მკერდი ბრტყელი გახდება.

ბოლო თაობის შემავსებელია პილროგელი და ქმც. როგორც სილიკონი, ისიც ეგუება სხეულის ბუნებრივ ტემპერატურას, ამიტომ ასეთი პროთეზები ძნელად განირჩევა ქალის ბუნებრივი მკერდისაგან. პილროგელური პროთეზი ისევე უსაფრთხოა, როგორც ფიზიოლოგიური ხსნარით შევსებული იმპლანტი. თუ მისი გარსი გასკდება, გელი იშლება ორგანიზმში მარტივ კომპონენტებად – გლუკოზა, ნახშირმჟავა აირი და წყალი.

ამჟამად მიმდინარეობს ახალი თაობის იმპლანტების – ტიტანის იმპლანტების კვლევა. მათ ავსებენ ისევ სილიკონით, მაგრამ გარეთა გარსი დაფარულია ტიტანის – „მუდმივი“ მეტალის – თხელი ფენით, რომელიც კოსმეტიკურ ტექნიკაში გამოიყენება. ამ მიზნით ტიტანი ამოირჩა მისი უნიკალური თვისების – ადამიანის ორგანიზმში აბსოლუტური ინერტულობის გამო. ტიტანის იმპლანტი, განსხვავებით ტრადიციული სილიკონის იმპლანტისაგან, არ იწვევს ანთებას,

ალერგიას ან მოწყვეტის რეაქციას; მის გარშემო არ წარმოიქმნება ნაჭდევი ან კაფსულა.

იაპონელი სპეციალისტები გვთავაზეობენ მეცნიერების გადიდების სრულიად ახალ მეთოდს – სარძევე ჯირკელის ქსოვილში თეძოს ან მუცლის ცხიმოვანი უჯრედების გადანერგვას ქალის ტანის უჯრედებთან ერთად. ქალის საკუთარი უჯრედები არ წყდება. ამასთან, შესაძლებელია რამდენიმე კგ ცხიმის მოცილება იმ აღგილებში, სადაც ის საჭირო არ არის.

როცა საუბარია სილიკონურ პროთეზებზე, ყველაზე ხშირად მხედველობაში აქვთ ქალის მეცნიერები. სილიკონის საშუალებით შესაძლებელია სხეულის სხვა ნაწილების კორექტირებაც. დუნდულების მოცულობის გადიდებას იმპლანტების საშუალებით, გლუტეოპლასტიკა ეწოდება. ასეთი პროთეზირება სარძევე ჯირკელების პროთეზირების ანალოგიურია, მაგრამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმპლანტის სიმტკიცეს. მთავარი და ერთადერთი აკრძალვა დუნდულების პლასტიკის შემდეგ – ესაა ნემსები. დუნდულების პროთეზირების შემდეგ ნემსი შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ თეძოს არეში.

წვივების სილიკონური იმპლანტების შესახებ პირველი ცნობები 1979 წელს იქნა მოწოდებული პლასტიკური ქირურგის, გლიცენსტეინის მიერ. შემდეგ გაჩნდა სხვა ცნობებიც კანადელი, ამერიკელი და გერმანელი ექიმებისაგან. წვივების და ტერფის პროთეზები შესაძლებლობას იძლევა გასწორდეს მთელი რიგი დეფექტები: წვილი ფეხები, ტანთან დისპარმონია, ვალგუსური დეფორმაცია (დაშორებული ფეხები), ასიმეტრიული ფეხები, მედიალური ნაწილის მოცულობის დანაკარგი და ა.შ.

მექრდს იდილებენ არა მარტო ქალები. პეტორალური აუგმენტაცია – ეს არის მამაკაცის მექრდის კუნთების მოცულობის გადილების მეთოდი. თუკი ვარჯიშით, ბუნებრივი გზით არ მოხდა მექრდის კუნთების მოცულობის გადილება, ამას გამოსწორება პლატიკურ ქირურგს შეუძლია. ქალის ხელოუნური მექრდისაგან ეს ოპერაცია მხოლოდ იმპლანტის სიღილით განსხვავდება. შესაძლო გართულებებს შორის ექიმები ასახელებენ მექრდის იმპლანტების წანაცულებას, ინფექციებს, პემატომებს, სერომებს (ქსოვილური სითხის დაგროვება იმპლანტის გარშემო) და მგრძნობელობის დარღვევას.

სილიკონური იმპლანტები უართოდ გამოიყენება კონტურული პლასტიკისათვის ყბა-სახის ქირურგიაში. ასეთ ოპერაციებს ძირითად მიმართავენ ტრავმების შემდეგ და თანდაყოლილი დეცექტების დროს. ყველაზე ხშირად იმპლანტებს იყენებენ ცხეირის, ქვედა ყბის, ლაწვების, ლოყების კონტურული პლასტიკისათვის. სილიკონის ყურები გაუკათეს იშვიათი დავადებით – ტრიქერ-კოლინზის სინდრომით დაავადებულ ახალგაზრდა ქალს. 2001 წლის ოქტომბრის ბოლოს ქალს გაუკეთეს სამ-სამი ნახერეტი სახის მარჯვნივ და მარცხნივ, მათში მოახდინეს სპეციალური მაგნიტური ჩიპების ტრანსპლანტაცია, რომელთაც შემდეგ მიამაგრეს სილიკონის ყურები.

და მაინც, პროთეზებით მექრდის მოცულობის გაზრდის ოპერაციების რაოდენობა მნიშვნელოვნად აჭარბებს იმ ოპერაციების რაოდენობას, სადაც სილიკონური იმპლანტების გამოყენება მოტივირებულია. ამიტომ, ექიმები დიდ ყურადღებას უთმობენ სილიკონის მექრდის პრობლემებს.

ამერიკელი მსახიობი და მოღელი მაქსი მოუნდსი გინესის წიგნშია შესული როგორც მექრდის ყველაზე დიდი იმ-
210

პლანტის მქონე ქალი. მისი პროთეზი დამზადებულია პოლიპროპილენისაგან, თითოეული მკერდი 10 კგ-მდე იწონის.

მნიშვნელოვანი კანონზომიერება აღმოაჩინეს ტენესის შტატის ქ. ნეშვილის უნივერსიტეტის მედიცინის ცენტრის მკულევარებმა. მათ შეისწავლის დაახლოებით 3,5 ათასი შეედი ქალბატონის ისტორია, რომლებსაც გადიდებული პქიონდათ მკერდი 1965-1993 წლებში და აღმოაჩინეს, რომ მათ შორის თვითმკულების შემთხვევების რაოდენობა სამჯერ აღემატებოდა საშუალო მნიშვნელობას მსოფლიოში. მონაცემები გამოქვეყნდა „Annals of Plastic Surgery“-ში. მკერდის პლასტიკის მქონე ქალები რისკის კატეგორიაში კიდევ ერთი მარტივნებლით მოხვდნენ: ისინი სამჯერ უფრო ხშირად იღუპებიან ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის მოხმარებისაგან. თუმცა, ზოგიერთი მკელევარი თვლის, რომ თვითმკულების მიზეზია არა იმპლანტი, არამედ ის, რომ ქალებს, რომლებიც პლასტიკურ ოპერაციას თანხმდებიან, ხშირად აქვთ ფსიქოლოგიური პრობლემები. პირეელ რიგში ეს არის დაბალი თვითშეფასება, რომლისგანაც გათავისუფლება უნდათ გარეგნობის გაუმჯობესებით. მოხსენების ავტორებმა ეერ აღმოაჩინეს კაუშირი მკერდის პლასტიკასა და სიმსივნის განვითარების რისკთან, მკერდის სიმსივნის ჩათვლით. როგორც აღმოჩნდა, ქალები, რომლებსაც ჩადგმული პქიონდათ სილიკონის იმპლანტები, უფრო ხშირად იღუპებიან ფილტვის სიმსივნით და რესპირატორული დაავადებებით, მაგალითად, ფილტვის ემფიზემით, კიდრე მკერდის სიმსივნით. ფილტვების სიმსივნის მაღალი რისკი, ექსპერტების აზრით იმაში მდგომარეობს, რომ ეს ქალები ბევრს ეწევიან.

ანალოგიურ დასკვნებამდე მივიღნენ დანიელი მეცნიერებიც. ისინი 30 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ ქალებს სილიკონური იმპლანტების შეყვანის შემდეგ. კულევაში მო-

ნაწილებდა 2800 დანიელი ქალი, რომლებსაც 1973-1995 წლებში გაუკეთეს ოპერაცია მკერდის გასაღიღებლად და 1730 ქალი, რომლებსაც ეს ოპერაცია არ პქონდათ გაკეთებული. აღმოჩნდა, რომ ქალებს, სილიკონის მკერდით, 30%-ით უფრო იშვიათად ემართებოდათ მკერდის სიმსივნე, კიდრე ქალებს საკონტროლო ჯგუფიდან. ამის მიზეზი ჯერჯერობით ცნობილი არ არის, მაგრამ კულევის აუტორები ვარაუდობენ, რომ აქ მნიშვნელოვანია თვით იმ ქაღლის თავისებურები, რომელიც ოპერაციაზე თანხმდება. დანიელი მეცნიერების აღრუულმა გამოკვლეულმა აჩვენა, რომ მკერდში იმპლანტების ჩანერგვას ძირითადად მიმართავდნენ გამხდარი ქალები ან ქალები რამდენიმე ფეხმძიმობის „შემდეგ – ფაქტორები, რომლებიც სარძევე ჯირკვლის სიმსივნის რისკს ამცირებს.

მიუხედავად ამისა, მკერდის გაღიღება სარძევე ჯირკვლის პროთეზების საშუალებით აძნელებს სიმსივნის დიაგნოსტიკას აღრუულ სტადიაზე რენტგენის სურათების მიხედვით. ასეთ დასკვნამდე მიუიღნენ ორგანიზაცია „Group Health Co-operative“-ის ექსპერტები სიეტლში დაინა მიგლიორეტის ხელმძღვანელობით.

ავსტრიელმა მეცნიერებმა გამოაქვეყნეს ცნობა უჩვეულო ეფექტის შესახებ – ცნობილი ცილების წარმოქმნა მკერდის სილიკონური იმპლანტების ზედაპირზე სხეულში იმპლანტების შეყვანისთანავე. გეორგ ვიკი და მისი კილებები ვარაუდობენ, რომ ეს ცილები იმპლანტირებულ სილიკონზე ორგანიზმის იმუნური რეაქციის შედეგია. კვლევის პროცესში შესწავლილი იქნა ცილები, რომლებიც აღმოჩენილი იქნა 23 ჯანმრთელი ქალის იმპლანტზე, რომლებმაც კოსმეტიკური მიზნით გაიკეთეს ეს ოპერაცია. უცნობი ცილების გარდა, აღმოჩენილი იქნა იმუნური საპასუხო რეაქციისათვის

ჩეეულებრივი 30 ცოდა. მევლევარები არ ამტკიცებენ რომ აუტომუნურ დაავალებებსა და სილიკონის იმპლანტაციას შეირის არსებობს პირდაპირი კავშირი, თუმცა, გამოთქმულია ვარაუდი, რომ სილიკონი ხელს უწყობს ჩეეულებრივი ცილების ადამიანის, რომელიც შემდეგ იწევს ორგანიზმის იმუნოსისტემის აუტოიმუნურ რეაქციას.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მომენტიც, რომელსაც ცოტა თუ აქცევს ყურადღებას ოპერაციის გაკეთების გადაწყვეტილების მიღებისას. იმპლანტებს აქვს მოხმარების გარეული დრო, დაახლოებით 10 წელი. ეს ნიშნავს, რომ პაციენტს პლასტიკური ქირურგის მომსახურება რამდენჯერ-მე დასჭირდება მწყობრიდან გამოსული ძეგლი იმპლანტის შესაცვლელად და ამასთან დაკავშირებული ახალი პრობ-ლემების გადასაჭრელად. ეს დამატებით ხარჯებთანაა და-კავშირებული და რა თქმა უნდა მოქმედებს ადამიანის ჯან-მრთელობაზე.

სილიკონი მაღალი ქიმიური ინერტულობით, თერმოსტა-ბილურობით, დაუანგვისადმი მედეგობით ხასიათდება. სილი-ციუმის მოდიფიკაციები, რომლებიც სილიკონურ რეზინად გარდაიქმნება, ელასტიკურია. სილიკონი გამოიყენება საყო-ფაცხოვრებო და პირადი პიგიენის საგნების დასამზადებ-ლად, სარეცხი საშუალებების, მაღამიების, თმის მოვლის საშუალებებისა და ანტიპერსპირანტების ჩათვლით.

სილიკონი გამოიყენება საკუები პროდუქტების, მათ შორის კონსერვებისა და ნახევარფუაბრიკატების, საბავშვო სა-წოვარებისა და სათამაშოების წარმოებაში და მათი შესა-ფუთი მასალების დასამზადებლად.

სილიკონი, რომელიც ორგანიზმში ამ წყაროებიდან ხვდება, ძირითადად იწოვება კუჭ-ნაწლავების ტრაქტში.

სილიკონი შედის ზოგიერთი მედიკამენტის და სამედიცინო მოწყობილობის შემაღენლობაში. მაგალითად, სილიკონური ზეთი ჩვეულებრივ იხმარება შპრიცების შესაზეთად.

ინსულინდამოკილებული დიაბეტით დაავალებული ადამიანები რეგულარულად ღებულობენ სილიკონური ზეთის მცირე რაოდენობას, რომელიც დროთა განმავლობაში კუმულაციის შედეგად იზრდება.

ესთეტიურ ქირურგიაში სილიკონი გამოიყენება იმპლანტის გარსისა და შემავსებლის როლში. სარძევე ჯირკვლის თანამდროვე პროთეზები შედგება მყარი სილიკონური გარსისაგან, ხოლო შემავსებელი სილიკონგელია (კოპეზიური, ე.ი. ბლანტი).

გარეგანი სილიკონური გარსი მყარი და ინერტულია, მისი თვისებები არ იცვლება დროის მიხედვით. ძირითადად, გართულება დაკავშირებულია იმპლანტის შემავსებელთან, რაღაც ის ნახევრადთხევადი (კოპეზიური, უელესმაგვარი) სილიკონია. თუმცა ის არ გაედინება გარსის დაზიანებისას, მაგრამ იმპლანტი მაინც უნდა გამოიცვალოს. თანამედროვე იმპლანტებში არის დამატებითი ბარიერული ფენა, რომელიც სილიკონის მოლეკულების გარიფლიანებას იცილებს თავიდან.

სილიკონური შემავსებლიანი იმპლანტების ძირითადი პრობლემაა ის, რომ სილიკონური გელი, ადამიანის ქსოვილში მოხევდრისას არ შეიწოვება, მუდმივად რჩება სხეულში და შეიძლება გამოიწვიოს გართულებების მთელი რიგი. ამასთან დაკავშირებით, სილიკონის ალტერნატივად გამოიყენება ბუნებრივი პოლიმერი, რომელიც უსაფრთხოა ადამიანის ორგანიზმისათვის და მისი მოხევდრისას ადამიანის ქსოვილში, უკვალოდ გამოდის ორგანიზმიდან.

სამედიცინო ნაკეთობების დასამზადებლად ხშირად იყვნებენ სხვადასხვა პოლიმერულ მასალებს, როგორიცაა: სილიკონური რეზინა, პოლიურეთანი, პოლივინილქლორიდი, პოლიამილი და ა.შ. მედიცინაში გამოყენების თვალსაზრისით, მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია სილიკონური რეზინი და პოლიურეთანი.

სილიკონური კაუჩუკი და შესაბამისად, სილიკონური რეზინი მის საფუძველზე, სილიციუმორგანული პოლიმერების კლასს მიეკუთვნება (მათ სილიკონები, პოლიორგანოსილიკონებიც ეწოდება). გამარტივებული სახით, სილიკონური კაუჩუკის მაკრომოლეკულები წარმოადგენს ჯაჭვებს მათში უანგბადისა და სილიციუმის ატომების მონაცელებით. ისინი შემოფარგლულია სხვადასხვა რაღიალით.

სილიციუმორგანული პოლიმერების, მათ შორის სითხეების, კაუჩუკების, რეზინის, ფისების, პლასტმასების ფართო პრაქტიკული გამნოყენება XX საუკუნის 40-იანი წლებიდან იწყება. ისინი გამოიყენება ტექნიკის სხვადასხვა დარგში, მათ შორის სამედიცინო ნაკეთობების დასამზადებლად. ამ სფეროში უცილობელი ლიდერია სილიკონური რეზინი, თავისი უნიკალური თვისებების წყალობით.

ბიოინერტულობა და ბიოსტაბილურობა. ეს თვისებები აუცილებელია სამედიცინო ტექნიკაში გამოყენებისათვის. სილიკონური რეზინა იმპლანტად პირველად 1948 წელს იქნა გამოყენებული. მრავალწლიანმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ სილიკონური რეზინისაგან სწორად დამზადებული ნაკეთობა გარეგანი კონტაქტის და ორგანიზმში ხანმოქლე შეუვანის ან ხანგრძლივი იმპლანტაციის დროს, მათ შორის მთელი ცხოვრების მანძილზე, პრაქტიკულად არ ახდენს ტოქსიკურ მოქმედებას, არ იწვევს ქსოვილების და ორგანიზმის გაღიზიანებას და აღერგიულ რეაქციებს.

პემოთავსებადობა. კალცინაცია. ეს მახასიათებლები ისევვე მნიშვნელოვანია, როგორც ძნელად მისაღწეული, სამედიცინო პრესტიჟული ნაკეთობების საჭირო დონეზე. თუმცა, სილიკონური რეზინის უნიკალური ზედაპირული თვისებები (პილროფიბურობა, ანტიადპეზიურობა, მათ შორის გარემომცველ ქსოვილებთან დაკავშირებით, სხვა ნივთიერებებთან ცული თავსებადობა) საშუალებას იძლევა ის გამოყენებული იქნას კარლიოქირურგიაში სიხლთან კონტაქტისას, ნეიროქირურგიაში, უროლოგიაში და სხვ.

სტერილიზაციური ზემოქმედების მიმართ მდგრადობა. ფართო ტემპერატურული დიაპაზონი (60°C -დან $150-200^{\circ}\text{C}$ -მდე) და მაღალი პილროლიტური სიმტკიცე სილიკონური რეზინის ნაკეთობის პაერით (180°C), ავტოკლავში ორთქლით $120-130^{\circ}\text{C}$ -ზე და წყალში ხანგრძლივი დუღებით სტერილიზაციის საშუალებას იძლევა.

სილიკონური რეზინა ქიმიურად საკმაოდ ინერტულია, მდგრადია სუსტი მუკებისა და ტუტეების, მარილების ხსნარების, ამიაკის, ეთილის სპირტის, აცეტონის, წყალბადის ზეჟანგის მოქმედების მიმართ, თუმცა, ძლიერად ფუვდება ბენზინში, არომატულ გამხსნელებში და ქლორინებულ ნახშირწყალბადებში (გაფუებას შექცევადი ხასიათი აქვს).

სილიკონური რეზინის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები განსაზღვრავს მის გამოყენებას სამედიცინო ტექნიკაში. შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკულად არ არსებობს ქირურგიის არც ერთი სფერო, საღაც სილიკონური რეზინა არ გამოიყენებოდეს და არ არსებობს ადამიანის სხეულის არც ერთი ნაწილი, საღაც არ შეიძლებოდეს მისი შეცვანა სხვადასხვა დროით. სილიკონური რეზინის ნაკეთობები გამოიყენება საერთოდ ქირურგიაში, გულ-სისხლძარღვთა ქირურგიაში,

მექრდის ქირურგიაში, ნეიროქირურგიაში, ყბა-სახის ქირურგიაში, ოტოლარინგოლოგიაში, ოფთალმოლოგიაში, ორთოპედიაში, უროლოგიაში, სტომატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ანესტეზიოლოგიაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის 20 წელია, სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების დამზადებისას გამოიყენება სილიკონური რეზინების ვულკანიზაციის პროცესისული ეპალიზური („პლატინის“) მეთოდი ზეჟანგის მეთოდის ნაცვლად. მსოფლიო პრაქტიკაში, ეს მეთოდი გამოიყენება მნიშვნელოვანი სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების მისაღებად, როგორიცაა იმპლანტაციები, ენდოპროთეზები და სხვ.

სხვადასხვა დროს შეიქმნა და პრაქტიკაში სერიული წარმოებისათვის დაინერგა სხვადასხვა სამედიცინო დანიშნულების ნაკეთობების მთელი სერია სილიკონური რეზინისაგან:

- იმპლანტაციური გამტარები – ელექტროდები გულის მოჭმედების ელექტროსტიმულატორებისათვის;
- ხელოვნური გულის მოდელი, ცხოველებზე ექსპერიმენტის სტადიამდე დაყვანილი;
- პირველი სამამულო მიღები, ზონდები, დრენაჟები;
- პილროცეფალიის სამკურნალო იმპლანტაციური სისტემები;
- სილიკონური იმპლანტაციები თვალის ქირურგიისათვის სკლერის პლასტიკური ოპერაციებისას, რომელიც ტარდება ბაღურის განშრევების გამო;
- ლარინგეალური ნიღბები და სხვ.

V. የቃጥልዎች/መሆኑን ስርዓት

არაჩეულებრივი მაღალი აირშედწევადობის მქონე მასა-ლისაგან დამზადებული სილიკონ-პილროგელური ლინზები მხედულობის თანამედროვე კორექციისას პირველ ადგილზეა. ეს არის „CIBA Vision“-ის „Focus Night & Day“ ლინზები და „Bausch & Lomb“-ის „Pure Vision“ ლინზები. მათ დანერგვას ბაზარზე ექიმ-კონტაქტოლოგების სხვადასხვა რეაქცია მოჰყვა. ერთნი მიესალმნენ ახალი ლინზების გამოჩენას, ჩათვალეს ისინი სატარებლად მოხერხებულად, სხვები კი ეჭვით უყურებდნენ – მათი ასრით არ პქონდათ საკმარისი ინფორმაცია ახალი ლინზების შესახებ და ამიტომ 30 დღის განმავლობაში მათი უწყვეტი ტარებისაგან თავის შეკავება იყო საჭირო, სანამ არ გაირკევოდა მათი უსაფრთხოება. თავად მწარმოებელი კომპანიები და მსხვილი კალევითი ცენტრები აწარმოებდენ პაციენტის თვალებზე სილიკონ-პილროგელური ლინზების გავლენის კვლევას უწყვეტი ტარების დროს და სხვა ლინზებთან მათ შედარებას. გავეცნით ახალ მონაცემებს ამ სფეროში.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვან კვლევით ცენტრებს მიეკუთვნება 1998 წელს დაარსებული კონტაქტური ლინზების ცენტრი (CCLT) ვატერლოის უნივერსიტეტთან (კანადა), რქოვანასა და კონტაქტური ლინზების კვლევის განყოფილება (CCLRU) ახალი სამხრეთ უელსის უნივერსიტეტთან (ავსტრალია) და ამავე უნივერსიტეტთან არსებული თვალისა და ტექნოლოგიების კვლევის ერთობლივი ცენტრი (CRCERT). კერძოდ, ახლახან გამოკვეუნებულია CCLRU-ის თანამშრომალის ლიზა კის ინფორმაცია დიდ ბრიტანეთში სილიკონ-პილროგებური ლინზების გამოყენებასთან დაკავშირებით. აქ აღნიშნულია, რომ განსხვავებით აშშ-საგან, სადაც ხან-

გრძლივი ტარების ლინზები მეტად პოპულარულია, დიდ ბრიტანეთში მათ ნაკლებად იყენებდნენ წლების მანძილზე, რაც დაკავშირებული იყო უარყოფით გამოცდილებასთან, რომელიც 1980-იან წლებში იქნა დაფიქსირებული. ამ დროს ინგლისელი ექიმები საქმოდ ხშირად უწერდნენ პაციენტებს ხანგრძლივი ტარების რეჟიმს, ხოლო 1989 წელს გაჩნდა პუბლიკაციები, სადაც დამტკიცებული იყო რქოვანას გარსის ინფიცირების შემთხვევებსა და ხანგრძლივ ტარებას შორის კავშირი. ამავე დროს ჩატარდა კელუვა პირდაპირი კავშირის გამოსავლენად არასაქმარის და არააღეკვატურ დეზინფექციასა და ტარების უწყვეტ რეჟიმს შორის, რომელიც საბოლოოდ იწვევდა მიკრობული კერატიტის წარმოქმნის ალბათობის გაზრდას. მიღებული შედეგების გამო, 1990-იან წლებში უწყვეტი ტარების ლინზების მიმართ ინტერესი დიდ ბრიტანეთში ძალიან შემცირდა.

1999 წელს გაერთიანებულ სამეცნიერო ახალი თაობის სილიკონ-პილოროგელური ლინზების „Pure Vision“-ის და „Focus Night & Day“ გამოჩენასთან ერთად ახალი ეტაპი დადგა კონტაქტური ლინზების უწყვეტი ტარების განვითარებაში. ეს ლინზები ექიმებმა ძალიან ფრთხილად მიიღეს, რადგან არსებობდა გარკვეული ეჭვი რისკის შესახებ. 1999 წელს ისევ გამოქვეყნდა სტატია, სადაც დადასტურებული იყო შესაძლო საყრთხე ამ ლინზების ტარებისას. ამიტომ, მოსახლეობაც მეტად ურთხილად ეკიდებოდა ახალი ლინზების გამოყენებას.

თანდათან სილიკონ-პილოროგელური ლინზები პოპულარული გახდა. ძირითადად მათ იყენებდნენ პაციენტები, რომლებიც უკვე სარგებლობდნენ კონტაქტური ლინზებით. 2000 წლისათვის სილიკონ-პილოროგელური ლინზების მოხამარება ინგლისში 3,6%-ს შეადგენდა, 2001 წელს კი უკვე 12%-ს. ასე,

რომ ამჟამად, უწყვეტი ტარების ლინზები განიხილება როგორც მხედველობის კონტაქტური კორექციის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება. მათი გაყიდვის წილი მეტია, ვიდრე ფერადი და მულტიფაზური ლინზებისა და უახლოვდება ტორიული ლინზების გაყიდვის წილს.

ინგლისში კონტაქტური ლინზების ბრიტანული სახოგადოების მიერ ჩატარებული უახლოესი გამოკვლევებით ნაჩვენებია, რომ 2000 წელს კელუვაში მონაწილე ექიმ-კონტაქტოლოგების 37%, პაციენტს ურჩევდა სილიკონ-პილრო-გელური ლინზების ტარებას, მაგრამ ამას მხოლოდ 10-ზე ნაკლები პაციენტი აკეთებდა. 2001 წელს უკვე კონტაქტოლოგების 65% იყო დაკავებული ამ ლინზების გაყიდვით, თუმცა თითქმის ნახევარი ამას მხოლოდ 10-ზე ნაკლები პაციენტისათვის აკეთებდა.

რა აშინებს ექიმებს? ინგლისში 2000 წელს ჩატარებული კულევით მოცემულ შემთხვევაში ძირითადი მიზეზია მიკრობული კერატინის წარმოქმნის შიში (რესპონდენტების 2/3) და მოსალოდნელი გართულებები. სხვა გამოკვლევით, კონტაქტოლოგები, რომლებსაც არა აქვთ უწყვეტი ტარების ახალ ლინზებთან მუშაობის გამოცდილება, თვლიან, რომ მათ ჭირდებათ უფრო მეტი ინუორმაცია ამ ლინზების გამოყენების დადებითი შედეგების შესახებ და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებენ პაციენტებისათვის აღნიშნული ლინზების ტარების რეკომენდირებას (რესპონდენტების 49%). რესპონდენტების 20%-მა აღნიშნა, რომ არ არიან დარწმუნებული, სწორად შეძლებენ თუ არა პაციენტის გადაყევანას ლინზების უწყვეტ ტარებაზე. კიდევ ერთი გამოკვლევისას ნაჩვენები იქნა კავშირი სილიკონ-პილროგელური ლინზების გამოყენების წილის გაზრდასა და მათი გამოყენების ცდებს შორის. სამთვიანი ექსპერიმენტის შედეგად, რომლის არსს

წარმოადგენდა ის, რომ მასში მონაწილე ექიმ-კონტაქტოლოგებს გადაუეცანათ ლინზის უწყვეტ ტარებაზე 10 პაციენტი, ექიმების 90%-მა განაცხადა, რომ მათ ისწავლეს ლინზების შერჩევა. უმრავლეს შემთხვევაში კონტაქტოლოგებმა მაღალი შეფასება მისცეს ლინზას, როგორც კორექციის საშუალებას, ხოლო პაციენტებმა აღნიშნეს, რომ მათი ტარება კომუორტული და მოსახერხებელია.

თავად პაციენტების აზრით, მოხერხებულობა ძირითადი პარამეტრია, რომლითაც ისინი იღებენ გადაწყვეტილებას კონტაქტური ლინზის გამოყენების, ან მასზე უარის თქმის შესახებ. 1000 პაციენტის გამოკითხვამ ინგლისში, აჩვენა შემდეგი: 26% უარის მთქმელი თვლის, რომ, კონტაქტური ლინზების მოყლა დიდ დროსა და ძალას მიითხოვს. უარის განმცხადებლებმა აღნიშნეს, რომ იუიქრებენ თავიანთი გადაწყვეტილების შეცვლაზე, თუ კომუორტი ამაღლდება (54%), 11% აღნიშნავს, რომ სურთ ლინზების უწყვეტი ტარება და 7%-ს სურს ლინზების მოვლის პროცედურის გამარტივება.

დიდ ბრიტანეთში ახალი ლინზების გამოჩენას თან ახლდა მათი ღირსებების რეკლამირება ტელევიზიით, თუმცა, ასეთი რეკლამირების ეფექტი ჯერჯერობით არ ჩანს, რამდენად წარმატებული იქნება სილიკონ-პილოროგელური ლინზები ინგლისის ბაზარზე, ძნელი სათქმელია. პირველი ეტაპის შედეგები აჩვენებს ამ ლინზებზე გადასული პაციენტების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას, ლინზებისადმი ნდობა ექიმებ-შიც იზრდება. 500 ევროპელი ოყვთალმოლოგის გამოკითხვამ (100 – ინგლისიდან) აჩვენა, რომ ამ ექიმების 67% თვლის, რომ სილიკონ-პილოროგელი მნიშვნელოვანი ნაბიჯია წინ იმ მასალებთან შედარებით, რაც აღრე გამოიყენებოდა უწყვეტი ტარების კონტაქტური ლინზების წარმოებისას.

როგორც ეხედავთ, სილიკონ-პილროგელური ლინზები თანდათან თავის აღგილს იკავებს ისეთ კონსერვატიულ ქეფ-ყანაშიც კი, როგორიც დიდი ბრიტანეთია. რუსეთში, მომხმარებელს სთავაზობენ „Pure Vision“-ის და „Focus Night & Day“-ის ლინზებს, და ტარდება სარეკლამო აქციებიც. როგორი პოზიცია აქვთ ექიმებს? სანკტ-პეტერბურგის თვალის კონსულტაციურ-დიაგნოსტიკური ცენტრის მთავარი ექიმი, ვ.ო. სოკოლოვის აზრით, მხედველობის კონტაქტური კორექცია დაკავშირებულია პიპოქსიასთან ბრძოლასთან, რომელსაც პირველი აღგილი უკავია კონტაქტური ლინზების ტარებისას წარმოშობილ გართულებებს შორის. ამ მიმართულებით თავის დროზე დიდი გარღვევა იყო ოტო კიხტერლეს მიერ პირველი „მსუნთქავი“ ლინზის გამოგონება. რა მეთოდებით ებრძოდნენ პიპოქსიას? პირველ რიგში, ამზადებდნენ მაღალი პიდროვილურობის მქონე მასალებს, რაღაც დაღვენილი იყო პირდაპირი კავშირი აირშედწევადობასა და მასალის პიდროვილურობას შორის. ამ ტენდენციის გამო შეიქმნა უამრავი მასალა, გაჩნდა მასალები, რომელთა შემაღენლობაში წყლის წონითი შემცველობა არ აღმატებოდა 75%-ს. მაგრამ წყლის შემცველობის გადიდებისას წარმოიშვა ლინზების მანიპულირების პროცესი — რაღაც მაღალი პიდროვილურობის ლინზები ძნელად ინარჩუნებენ ყორმას, მცირდება მათი გაეკეთების და მოხსნის მოსახერხებლობა. მეორე გზაა ლინზის ცენტრალური ნაწილის სისქის შემცირება, რამაც გამოიწვია სულტრათხელი კონტაქტური ლინზების შექმნა. მაგრამ ყელა ეს ლინზა, თუ მათ ძილის წინ არ იხსნიან, იწვევს ძილის შემდეგ რქოვანას შესიებას კლინიკურად არსებით დონემდე. ბრაინ პოლდენის და ჯორჯ მერტცის გამოკვლევებმა აჩვენა, რომ დამით რქოვანას შესიება ძლიერდება მხოლოდ ისეთი ლინზების გამო-

უნებისას, რომელთათვისაც უანგბადის გაშეების მაჩქენებელი (Dk/t) 87-ზე მეტია. ამიტომ, პრინციპულად ახალ მიღობას წარმოადგენდა ახალი მასალების – სილიკონ-ჰიდროგელების შექმნა. რა თქმა უნდა, მათგან დამზადებული კონტაქტური ლინზები ასევე იწვევს რეკოგანას შესიებას, მაგრამ მისი გადიდების ხარისხი კლინიკურად უმნიშვნელოა.

არის თუ არა ასეთი ლინზები პრობლემის გადაჭრა მათთვის, კისაც ლინზებით ძილი სურს? ნებისმიერ შემთხვევაში, ლინზა უცხო სხეულს წარმოადგენს, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით. ლინზის შიგნით შეიძლება შევიდეს მტკერი, გაღვიუდეს ბაქტერიები, დიდი სიმშრალისას შეიძლება შექმნას დისკომფორტი, მათზეც ხდება ნივთიერების დალექა. ამ ლინზების უდაცო უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ აუცილებელ შემთხვევაში, შესაძლებელია არ მოიხსნათ ეს ლინზები ძილის დროს რამდენიმე დღის განმაფლობაში (ოყიციალურად დადგენილია, ზედიზედ 30 დღის განმავლობაში). რაღაც, ექიმებს დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, მათ უნდა მოახდინონ ნებისმიერი, მათ შორის სილიკონ-ჰიდროგელური ლინზების პოზიციონირება, როგორც დღისით სატარებელი ლინზების, რომელთა უწყვეტად ტარება მხოლოდ აუცილებელ შემთხვევაშია შესაძლებელი. ე.ი. ეს არის ლინზები მხოლოდ ექსტრემალური ან არასტანდარული სიტუაციებისათვის, ერთის მხრივ საჭიროებს მინიმალურ მოვლას და მეორეს მხრივ მხედველობის კორექციის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას იძლევა მათი დღისით ტარებისას მაღალკომფორტულ რეჟიმში.

ამრიგად, სილიკონ-ჰიდროგელური ლინზები თანდათან თავის აღილს პოულობენ მხედველობის კონტაქტური კორექციის ბაზარზე. როგორც ყველაფერი ახალი და პროგრესული, ერთის მხრივ მათაც აქვთ უპირატესობა (მაღალი

აირშელტევადობა) და მეორეს მხრივ მათ პოპულარიზაციას წინააღმდეგობა ექმნება (მაღალი ფასი) და მესამე – არსებობს მათი მომავლის გაურკვეულობის გარეკვეული ელემენტი და მხოლოდ ექსპერიმენტებით არის შესაძლებელი მათი გამოყენების უფექტურობის გარკვევა.

სილიკონ-პილოგელური კონტაქტური ლინზები ბაზარზე 10 წლის წინ გამოჩნდა. სხვა ლინზებთან შედარებით, მათი უპირატესობაა ის, რომ სილიკონ-პილოგელური კონტაქტური ლინზები რქოვანამდე უშევებს გაცილებით მეტ ჟანგბადს, რომელიც აუცილებელია თვალის ჯანმრთელი მდგრამარეობათვის.

რისთვის არის ეს საჭირო?

თვალის რქოვანაში არ არის სისხლძარღვები, რომელთა საშუალებითაც ჟანგბადი სისხლთან ერთად ხელება ადამიანის ყველა ორგანოში. ჟანგბადი, რომელიც აუცილებელია რქოვანას უჯრედების სიცოცხლისათვის მასთან აღწევს ატმოსფეროდან (ჟანგბადი დიფუნდირებს ატმოსფეროდან თვალის ლორწოს გავლით რქოვანას ზედაპირამდე და შემდეგ მის შიგნით). როცა თვალი დახურულია ქუთუთოთი (ძილის დროს), ჟანგბადის ნაკადი მცირდება, მაგრამ ის საქმარისია რქოვანასნორმალური ფუნქციონირებისათვის. ჟანგბადის ეს დონე (როცა თვალები დახურულია) მინიმალურად დასაშენებად ითვლება ჯანმრთელი რქოვანას შესანარჩუნებლად.

რბილი კონტაქტური ლინზა რქოვანას დიდ ნაწილს ფარავს და ჟანგბადის თავისუფალ შეღწევას ეწინააღმდეგება. ის რქოვანამდე ლინზის მასალის გავლით აღწევს. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია მასალის გამტარობა ჟანგბადის მიმართ.

ჩვეულებრივი პილოგელური კონტაქტური ლინზები ამას უზრუნველყოფს დღისით ტარებისას.

თუმცა, კონტაქტური ლინზების პროლონგირებული ტარება, რომელიც უშეებს ძილს კონტაქტური ლინზებით რამდენიმე დღის განმავლობაში, უაგბადის გატარების უნარს განსაკუთრებულ მოთხოვნებს უყენებს, რადგან ძილის დროს უანგბადის გატარება შეზღუდულია ქუთუთოებითაც. პილროგელური კონტაქტური ლინზების მხილოდ მცირე რაოდენობაა დაშვებული პროლონგირებული ტარებისათვის და მხილოდ სილიკონ-პილროგელურ კონტაქტურ ლინზებს აქვს რქოვანამდე უანგბადის გამტარობის მაღალი უნარი და დაშვებულია მათი პროლონგირებული და უწყვეტი ტარებაც 30 დღის განმავლობაში.

აღსანიშნავია, რომ სპეციალისტების აზრით, რაც მეტია უანგბადის გამტარებლობა კონტაქტური ლინზის მასალის მიერ, მით უყრო კარგია ეს თვალის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ დღეს ექიმები თვლიან, რომ სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები მშვენიერი არჩევანია დღისით სატარებლად.

რატომ ატარებს სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები მეტ უანგბადს?

ჩეეულებრივი კონტაქტური ლინზები მზადდება პილროგელური პილიმერებისაგან, რომლებიც თავად არ ატარებენ უანგბადს. უანგბადი გაღის კონტაქტურ ლინზაში არსებული წყლის საშუალებით (წყალი აღწევს პილროგელის ფორმვან სტრუქტურაში, უანგბადი იხსნება წყალში და დისუნდირებს მისი გაყლით რქოვანისაკენ). ამიტომ, პილროგელური კონტაქტური ლინზებისათვის სრულდება შემდეგი წესი: რაც მეტია კონტაქტურ ლინზაში წყალი, მით მეტს უანგბადს ატარებს ის. წყლის შემცველობა პილროგელურ კონტაქტურ ლინზებში შეზღუდულია – თუ წყალი ძალიან ბევრია, კონტაქტური ლინზა ცუდად ინარჩუნებს ფორმას, მისი შეხება

ძნელდება, ის ძლიერად დგვიდრიდება (გაუწყლოვდება) დღის ბოლოს, რის შედეგადაც კონტაქტური ლინზის ტარება მეტად არაკომფირობული ხდება. წყლის მაქსიმალური შემცველობა დღეისათვის არსებულ პიდროგელურ კონტაქტურ ლინზებში 80%-ზე ნაკლებია. უანგბალის გამტარობა კონტაქტური ლინზის მიერ დამოკიდებულია აგრეთვე ლინზის სისქეზე. დღეისათვის წყლის მაღალი შემცველობის მქონე ძალიან თხელი ლინზების მიღება შეუძლებელია.

უანგბალის მაქსიმალური გამტარებლობა თანამედროვე პიდროგელურ კონტაქტურ ლინზებში არ აღემატება 40 პირობით ერთეულს (ამ თვისების მახასიათებელი კოეფიციენტი $Dk/t < 40$). მრავალ გამოკვლევაში იქნა ნაჩვენები, რომ თვალის ჯანმრთელი მდგრამარეობის შესანარჩუნებლად კონტაქტური ლინზების ტარებისას აუცილებელია უანგბალის უფრო მაღალი გამტარებლობა (Dk/t უნდა იყოს დაახლოებით 80 პირობითი ერთეულის ტოლი და მეტიც).

ამ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია სილიკონ-პიდროგელური კონტაქტური ლინზების საშუალებით. ეს მასალები ორი ფაზისაგან შედგება: სილიკონი და პიდროგელი. უანგბალის გამტარებლობა ასეთ მასალაში განისაზღვრება სილიკონური ფაზით, რომელიც მუშაობს როგორც „უანგბალური ტუმბო“.

სილიკონური ფაზა უზრუნველყოფს უანგბალის უფრო მაღალი გამტარებლობას, ხოლო პიდროგელური – სილიკონ-პიდროგელური კონტაქტური ლინზების ტარების მაღალ კომფორტს.

სილიკონ-პიდროგელური კონტაქტური ლინზების უპირატესობა. სილიკონ-პიდროგელური კონტაქტური ლინზები ხსნიან თვალის სიმშრალის პრობლემას, რომელიც ძალიან ბევრს აწუხებს ლინზების ტარებისას. პიდროგელური კონ-
226

ტაქტური ლინზების დეპილრატაციის გამო ზოგიერთ პაციენტს დღის ბოლოს უჩნდება სიმშრალის შეგრძნება თვალებში, თვალები წითლდება, იქმნება დისკომფორტი. სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები, პილროგელური-საგან განსხვავებით არა მარტო ატარებს მეტ ჟანგბადს რქოვანამდე, არამედ დეპილრატაციასაც არ განიცდის. ისინი უზრუნველყოფენ მომხმარებელისთვის მაღალი ხარისხის კომუნირებს დღის ბოლოსათვის.

სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები მაღალი ხარისხის კომუნირებს უზრუნველყოფენ კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობის დროსაც, გარემოს არასასურულ პირობებში მუშაობისას (სიმშრალე, მტკერი და სხვ). ეს ლინზები საშუალებას იძლევა თავიდან ავიცილოთ თვალის სიმშრალე.

მრავალი სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზის გამოყენებაა დაშვებული პროლოგირებული (7 დღე ზედიზედ) და ხაგრძლივი დროით უწყვეტი ტარებისათვის (30 დღემდე). ეს ხელსაყრელ პირობებს ქმნის ამ ლინზების სატარებლად დაშქრობებში. სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები სატარებლად რეკომენდირებულია ისეთი პროცესიების აღამიანებისათვის, რომლებიც პროცესიულ მოვალეობას ხანგრძლივი დროის განმავლობაში ასრულებენ (ექიმი, სამხედრო, მეხანიკები).

როგორც გამოელეგები აჩვენებს, კონტაქტური ლინზების მატარებელთა უმრავლესობა არღვევს ლინზების ტარების წესს და სიმგჯერ არ იხსნის მათ ძალის წინ. სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები ამ შემთხვევაში უფრო მეტად უსაფრთხოა პილროგელურ კონტაქტურ ლინზებთან შედარებით.

სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები მათში სილიკონის შემცველობის გამო უფრო მყიფეა, ვიდრე პილროგელური. ამიტომ მათი გამოყენება უფრო ადვილია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მომხმარებლისათვის, ვინც სიძნელებს წააწყდა პილროგელური კონტაქტური ლინზების, განსაკუთრებით კი წყლის მაღალი შემცველობის პილროგელური კონტაქტური ლინზების დელიკატურ მოვლასთან დაკავშირებით.

სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზების მასალის სტრუქტურის წყალობით, მათზე არ ხდება დალექვა, განსხვავებით პილროგელური კონტაქტური ლინზებისაგან. ეს უზრუნველყოფს კომფორტის მაღალ დონეს, ხელვის საუკეთსო ხარისხს ლინზის ტარების მთელი პერიოდის განმავლობაში, ხოლო იმ მომხმარებლისათვის, ვინც არ იცავს ლინზების მოვლის წესებს (მაგალითად, ძილი ისეთი ლინზებით, რომლებიც ამისათვის არ არის განკუთვნილი) – უფრო მეტ უსაფრთხოებას.

ამჟამად ხელმისაწვდომია სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები Acuvue OASYS, Acuvue Advance და 1-Day Acuvue TruEye (Jonson&Jonson Vision Care), AirOptix (CIBA Vision), PureVision (Bausch & Lomb), Biofinity (CooperVision), Clariti (Sauflon) და Premio (Menison). გარდა სუერული კონტაქტური ლინზებისა, ხელმისაწვდომია აგრეთვე თორული და მულტიფოკალური სილიკონ-პილროგელური კონტაქტური ლინზები (PureVision Toric, PureVisions MultiFocal, AirOptix for Astigmatism, Acuvue Oasys for Astigmatism).

ଲୋକେରାଟିଆ

1. Cox M.S., Trese T.M., Murphy L.P. Silicone oil for advanced proliferative vitreoretinopathy. *Ophthalmology* 1986, 93, 646-650.
2. Yang W.Z., Deng F.G. Trabeculectomy with Implantation of silicon rubber slice for meovascular glaucoma. *Asian J. of Ophthalmology*, 2000, 2(1), 18-20.
3. Nakamura K., Refojo M.F., Crabtree DV. Factors contributing to the emulsification of intraocular silicone and fluorosilicone oils. *Invest Ophthalmol Vis. Sci.*, 1990, 31(4), 647-656.
4. Werner L., Hunter B., Stevens S., Chew J.J.L., Mamalis N. Role of silicon contamination on calcification of hydrophilic acrylic intraocular lenses. *Am. J. Ophthalmol.*, 2006, 141, 35-43.
5. Doi M., Refojo M.F. Histopathology of rabbit eyes with silicone-fluorosilicone copolymer oil as six months internal retinal tamponade. *Exp Eye Res.*, 1995, 61(4), 469-478.
6. Werner L., Kollarits C.R., Mamalis N., Olson R.J. Surface calcification of a three-piece silicone intraocular lens in a patient with asteroid hyalosis: A clinicopathologic case report. *Ophthalmology* 2005, 112, 447-452.
7. Ho-Kyung Choung, M.D., Jin Hak Lee, M.D. Comparison of the Short-term Clinical Results of Silicone and Acrylic Intraocular Lens in Patients with Diabetes Mellitus *Korean J. Ophthalmol*, 2001, 15, 15-21.
5. Nam Ju Kim, Jong Hyun Kim, Sang Won Hwang, Ho Kyung Choung, Yong Jae Lee, Sang In Khwarg. Lacrimal Silicon intrubation for anatomically successful but functionally faild external dacryocystorhinostomy. American Academy of ophthalmology Annual Meeting, Chicago, Illinois, 2005, 70-73.

6. Delaney Y.M., Khooshabeh R. Fluorescein transit test time and symptomatic outcomes after external dacryocystorhinostomy. *Ophthalm Plst Reconst Surg* 2002, 18, 281-284.
7. Amin M., Moseley I.F., Rose G.E. The value of intubation dacryocystography after Dacryocystorhinostomy. *Br. J Radiol.*, 2000, 7, 604-607.
8. Feng-Chi Lin¹, Han-Yin Sun², Ming-Liang Tsai³, Jeng-Shuan Shiang⁴, Shang-Tao Chien⁵, Chi-Ting Horng. Opacification of a CeeON 911A Silicone Intraocular Lens Caused by Deposits on the Optic without Asteroid Hyalosis. *Life Science Journal*, 2010, 7 (4), 173-176.
9. Werner L., Kollarits C.R., Mamalis N., Olson R.J. Surface calcification of a 3-piece silicone intraocular lens in a patient with asteroid hyalosis: a clinicopathologic case report. *Ophthalmology* 2005, 112(3), 447-52.
10. Wackernagel W., Ettinger K., Weitgasser U., Bakir B.G., Goessler W., Faschinger C. Opacification of a silicone intraocular lens caused by calcium deposits on the optic. *J. Cataract Refract. Surg.*, 2004, 30(2), 517-20.
11. Fuchihata M., Saito Y., Kitaguchi Y., Nishida K., Hamanaka N., Sakamoto Y., Nakae K., Kiuchi Y., Tatebayashi M. Calcification on the posterior surface of an implanted silicone intraocular lens in a patient with asteroid hyalosis. *Nippon Ganka Gakkai Zasshi* 2006, 110(9), 736-40.
12. Foot L., Werner L., Gills J.P., Shoemaker D.W., Phillips P.S., Mamalis N., Olsen R.J., Apple D.J. Surface calcification of silicone plate intraocular lenses in patients with asteroid hyalosis. *Am. J. Ophthalmol* 2004, 137(6), 979-987.
13. Ashok Verma, Mazin Al Khabori, Rajiv Zutshi. Endonasal carbon-dioxide laser assisted dacryocystorhinostomy verses external dac-

ryocystorhinostomy. Indian Journal of Otolaryngology and Head and Neck Surgery 2006, 58(1), 9-14.

14. Alan Y., Vincent Y., Kirk H., John S.; Gholam A., Ronald S., "The Artificial Silicon Retina microchip for Treatment of Vision Loss from Retinitis Pigmentosa." Arch ophthalmol, 2004, 122, 460-470.
15. Nam Ju kim; Jong Hyun Kim; Sang Won Hwang; Ho Kyung Choung; Yong Jae Lee; Sang In Khwarg. "Lacrimal Silicone Intubation for Anatomically successful but functionally failed external Dacryocystorhinostomy". Presented at American Academy of ophthalmology Annual meeting, octomber 2005, Chicago, Illinois.
16. McCuen B.W., Landers M.B., Machemer R. The use of silicone oil following failed vitrectomy for retinal detachment with advanced proliferative vitreoretinopathy. Ophthalmology 1985, 92(8), 1029 1034.
17. Ando F. Intraocular hypertension resulting from pupillary block by silicone oil. Am. J. Ophthalmol 1985, 99(1), 87 88.
18. Crisp A., de Juan E Jr, Tiedeman J. Effect of silicone oil viscosity on emulsification. Arch. Ophthalmol 1987, 105(4), 546 550.
19. Nguyen Q.H., Lloyd M.A., Heuer D.K., et al. Incidence and management of glaucoma after intravitreal silicone oil injection for complicated retinal detachments. Ophthalmology 1992, 99(10), 1520 1526.

შინაარსი

წინასიტყვაობა.....	3
I. სამკურნალო დანიშნულების სილიციუმორგანული ნაერთები.....	4
II. სამედიცინო სილოქსანური კაუჩუკები და მათ ბაზაზე მიღებული მასალები	67
III. სილიციუმორგანული მასალები სტომატოლოგიაში.....	152
IV. სილიკონები პლასტიკურ ქირურგიასა და კოსმეტოლოგიაში.....	196
V. ოფთალმოლოგია/სილიკონ-პიდროგელური ლინზები	218

გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, გ. თავარების გამზ. 19, ტ: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



